



ილორი



№ 32 (101) 15 სექტემბერი 2009 სანაღბო მოკრობა "სამეგრელოს" ორგანო 50 თმბრი

ზავშვეზო!

გილორჯეთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას!



**ილია
ჭავჭავაძე**

**სიზყვა
ნინამკვრიანთ-
კარის სამეურნეო
სკოლის
გახსნაზე 2**

ღავით
დაღიანისა და
ეკატერინე
ჭავჭავაძის
მოდვაწობა
სამეგრელოში

7




**ამის
დაპარბვის.
ან
დავიწყების
უფლება
არც რუსსა
აქმს და არც
ქართველს!**

6

ნაწყვეტები ვ-ველიძის
წიგნიდან "გაშვასია"

**ლავრენტი 4
ბერია —
ქართული
გენია**



გავითი "ილორი"
აბრელებს წირილების
ციკლის გეგმას,
ამჟერალ შვევე
მსოფლიოს უღიღოს
ფეხბურთელებზე

12

იოჰან კრუივი




**10
კახოგრიოგის
ისტორია
კოლხათით
იწყება**

კლიმენტი შელია

**ღემოკაგის
ნიღბით
გოგალიგარიგისაკენ,
სირბიღით იარ!!!**



8,11



9

**მეგრელები 12
ნავოლონის
არბიანში**



სიტყვა წინამძღვრიანთ-კარის სამეურნეო სკოლის განხილვა

ილია ჭავჭავაძე

ერთი ორიოდე სიტყვა მეც მინდა გითხრა, და ყური რომ მათხოვოთ, მაღლობელი ვიქნები.

დმერთმა რომ ქვეყანა გააჩინა, დედამიწას გული გადაუხსნა, შიგ აუარებელი, უღვევი სიმდიდრე ჩაუდგა და ადამიანს უანდერძა: იშრომე, გაისარჯეო და ეგ სიმდიდრე დედამიწის გულიდან ამოიღე და შენს სადღეგრძელოდ მოიხმარეო.

თქვენში და თქვენგან ხშირად გამიგონია, რომ ქრისტიანულ-დემოკრატიული უხევისა აქ, ამ პატარა ქვეყანაში დაიბლერტაო. ამას ამიტომ ამბობენ, რომ ჩვენი ქვეყანა ბევრს სხვა ქვეყანაზე უფრო მდიდარია, უფრო სასუსა. არც ჩვენ თვითონ ვართ უხეირონი, დემოკრატიული. მკლავ-ძარღვად კარგები ვართ, ჯანი და ძალი-ლონგე მოგვდევს, არც ხალისი გვაკლია. ეს ყველაფერი გვაქვს. ეს მდიდარი, პატარხალსავით მორთული ქვეყანა, ეს ჯანიანი, მკლავ-ძლიერი ხალხი, გამრჯეული და ოფლის მღვრელი, - მაშ რაღა ვართ ღარიბნი? მითხაროთ თქვენ.

ამიტომ, რომ არ ვიცით, სად რა სიმდიდრე ძევს, სად რა განძია. არ ვიცით - საიღამ რა ამოვიღოთ, რა ხერხით და ოსტატობით ამოვიღოთ, რომ ჯაფაც ადვილი იყოს და ნაჯაფვეიც ბლომად. ავი ვამბობ, ყველაფერი გვაქვს, მარტო ერთი რამ გვაკლია, სახელდობრ - ისა, რაც თქვენსავე სიტყვით, თვითონ ღონესაცა სჯობია, რაც ძლიერს მკლავს ხერხიანად აამოქმედებს, რაც კაცის თვალს დედამიწის გულში ჩაახედებს, რაც კაცს წინ მიუძღვება ხოლმე და უტყუარად ეუბნება: აი, აქ ეს სიმდიდრეა, დვითსაგან შენთვის მიბარებულო, ამას ამ ხერხით, ამ ოსტატობით - უფრო ადვილად, უფრო ბლომად ამოიღებო.

მაგისთანა დვითსიერს წინამძღვლს ცოდნა ჰქვია. უამისოდ დედამიწა თავის უხეს და უხარებულს გულს არ გადაგვიხსნის, ის უხვად არ მოგვაბარებს, რამოდენადაც ჩვენთვის მიბარებული აქვს. სხვა ქვეყანაში, საცა ცოდნა აქვს ხალხსა, ოთხის დღის მიწა ისე უჭირველად აცხოვრებს მთელს ოჯახს, რომ ჩვენში ოცისა და ორმოცის დღის პატრონი ვერა სცხოვრობს. რათა? განა იმითი, რომ ისინი მკლავ-ძარღვით ჩვენა გვჯობიან?! არა, იმათ ცოდნა აქვთ, ხერხი იციან. **“ხერხი სჯობია ღონესაო”**, - თქვენგანვე თქმულა და მართალიც არის.

ცოდნა რომ ხერხია, მაგრამ თითონ, თავის-თავადაც სიმდიდრე არის, მერე იმისთანა, რომ კაცი საცა წავა, თან მისდევს უხარჯოდ და უბარგოდ, ვერცა ვინ მოჰპარავს, ვერცა ვინ წინ დაუდგება. ეს-ლანდელ დროში ცოდნა ყველაფერია:

ფულზედ უფრო დიდი ფასი აქვს, ხმაზედ უფრო მეტადა სჭრის და ზარბაზანზე უფრო ძლიერი.

ღონიერი და ჭირთა მძლევი ის არის, ვისაც ჭკუა ცოდნით მოურთავს, ცოდნით აუწყავებია, ცოდნის ძუძუთი გაუზრდია. **“კაცი უნდა ხერხი იყოს, გააჭონდეს და გამოჭონდესო”**, თქვენგანვე მაქვს გაგონილი და დასწავლული. მართალიც არის: კაცი სხვის მარგეც უნდა იყოს და თავის-თავისაც. კაცი მარტო მაშინ არის ხერხი, როცა ცოდნა აქვს, როცა ცოდნა ჭკუით გაუღვსია, ცოდნის ჩარხზე გაუჩარხავს. მაშინ ხერხსავით სხვისთვისაც გააქვს და თავისთვისაც შემოაქვს.

ეგ თქვენ თითონაც კარგად იცით. თქვენ თითონ ყოველდღე ჰხედავთ, რომ ეგ ვერცა. ალღოში გუთნის-დედას მეტს არ გუგებთ ხოლმე, ვიდრე მეხერხა. რათა? იმით რომ გუთნისდედა - მცოდნეა და მეხერხე კი არა. ურმის-მკეთებელი უფრო მეტადა ჰჭირს მოჯამაგირედ რომ დგება, ვიდრე უბრალო მუშაკაცი, თუნდაც ერთი-ორად იმაზე მეტი იყოს მკლავითაც და ჯანითაც. რათა? კიდევ იმით, რომ ურმის ხელოსანი მცოდნე კაცია და უბრალო მუშა კი არა.

ამიტომ ვამბობ, რომ მცოდნე თითონ, თავის-თავადაც სიმდიდრეა მეთქი, მერე იმისთანა მადლიანი სიმდიდრეა, რომ რაც უნდა ბევრს დაურთავს, ბევრს გაუწილადო, შენ არა დაგაკლდება რა, თუ არ მოგემატება. ამ შემთხვევაში ცოდნა ანთებულს სანთელსა ჰგავს: ერთ სანთელზედ რომ ათასს სხვა სანთელს მოუკიდო, სანთელს

იმით არც ალი დააკლდება, არც სინათლე, არც სიცხოვლე. პირიქით, იმატებს კიდევ, რადგანაც ერთის მაგიერ ათასი სხვა სანთელი ამასთან ერთად დაიწყებს ღაპლაპლა.

სანთელს კიდევ იმაში ჰგავს ცოდნა, რომ თუნდაც ცოტად ბუტრავდეს შორს სადმე ბნელაში, ქურდს, მპარავს, მტერს აფრთხოვს. იქ სინათლეა - სხანს ჰვლიძავთო, და დაგვიანებულს მოყვარეს კი ახარებს კიდევ იმით, რომ იქ ღვიძილია, მღვიძარები დამხვდებიანო.

სანთელს მარტო იმაში არა ჰგავს, რომ სანთელი, როცა იქნება, ჩაიწვის და გააჭრება ხოლმე; ერთხელ ანთებული ცოდნა კი თავის-დღეში არა: მამიდამ შეიღვად გადადის, შეიღვიდამ შეიღვის-შეიღვად, უფრო გადიდებული, უფრო გაძლიერებული.

ცოდნა იმითია კიდევ კარგი, რომ იმან უფროს-უმცროსობა არ იცის. როგორც საყდარი, როგორც ეკლესია, როგორც თვითონ დმერთი, - ერთნაირად შეიკედლებს, ერთნაირად შეიკედლებს, ერთნაირად იშვილებს ხოლმე ძონძეში გახვეულ გლეხსაც და ბუზმენტებით მორთულს თავადსაც. ყველას ერთნაირად მოუხედავს, ყველას ერთნაირად დაამშვენებს ხოლმე, ოღონდ კი კაცი გულმონობილი და მოწადინებული მივიდეს ცოდნის კარამდისა.

ახლა სად არის ეგ კარი? როგორ შევიძინოთ ის სანატრელი განძი, რომელსაც ცოდნა ჰქვია და რომელიც ჩვენ და ჩვენს ქვეყანას ეგრე უჭირს? გამოვიდა ჩვენში

ერთი გულმტკიცებული კაცი და გვიტხრა: გზას მე განჩვენებთო, თქვენ ოღონდ ხალისი გამოიჩინეთო. ის კაცი მარტო თავის თაოსნობით, დაუდალავის მცდელობით, თავგამოდებით, მხნეობით შეუდგა ამ ძნელს საქმეს და თავის სასახელოდ და ჩვენდა საზღვნიეროდ აქ, ამ სოფელში, აკვანი დაღვა ცოდნის გასაზრდელად და ძუძუსათვის ძიძები მოიწვია. ის კაცი ილია წინამძღვრიშვილია, ის აკვანი - აი ის პატარა შენობაა, რომელიც ასე ღამაზად უხდება ამ პატარა სოფელს, ძიძები კიდევ მისგან მოწვეულნი ოსტატები არიან.

აი, სად და ვისის ხელით აინთება აქ ის სასიხარულო სანთელი, რომლის სინათლემც მტერს დააფრთხოვს და მოყვარეს გაახარებს და რომელსაც ცოდნა ჰქვია. აი, ამ პატარა სახლიდამ გამოვა ის დიდი ღონე, ის დიდი ხერხი, ის ყოველთვის და ყველგან გამარჯვებული ფარ-ხმალი ადამიანისა, რომელსაც ცოდნა ჰქვია. მაგას გამოიტანენ თქვენი შვილები და მოყვარენ ქვეყანასა ჩვენდა სადღეგრძელოდ, ჩვენდა საზღვნიეროდ.

ცოდნა ბევრნაირია. ხოლო აქედამ ჩვენი შვილები, თქვენი შვილები, გამოიტანენ იმისთანა ცოდნას, რომელიც დედამიწის გულში ჩაგვახედებს, მიგვანიშნებს - სად რა სიმდიდრე სძევს და რარიგის ოსტატობით შეიძლება იმ სიმდიდრეს ხელი დაგაწვდინოთ, ამოვიღოთ და მოვიხმაროთ ქვეყნისა და ჩვენის თავის სადღეგრძელოდ.

მაშ გაუმარჯოს, ხალხნო, ამ სკოლას, ამ ცოდნის აკვანსა! გაუმარჯოს ილია წინამძღვრიშვილს; ამ აკვნის დამდგმელსა! გაუმარჯოს ამ სკოლის ოსტატებსა, რომელნიც ამ აკვანს გაარწვევენ დასაძინებლად კი არა, გასაზრდელად, გასადივიებლად! გაუმარჯოს ა იმ პატარა კაცსაც, თავად ბეუთაშვილს, რომელმაც გაუზოგველად, უსასყიდლოდ, მარტო ერთის საქმის სიყვარულისა გამო, თავის დრო და ცოდნა ამ სკოლის აშენებას მოახმარა! დმერთმა თქვენც გამარჯვება მოგცეთ ყველგან და ყოველთვის! დმერთმა შეგასწოროთ იმ დროს, რომ აქედამ, ამ სკოლიდამ გამოსულს შეიღვს შეხაროდეთ და იმის ცოდნით ფეხზე წამოყენებულმა ოჯახმა, გამოკეთებულმა მამულმა, თქვენის თვალთ დაგანახოთ, რომ მართლა **“ხერხი სჯობნება ღონესა”**. მაშინ იქნება ჩვენმა თვალმავე ისიც გვიმოწმოს, რომ გულში მამა-პაპათაგან მარტო ანდერძად ჩაგვრჩენია: **“ის ურჩვენია მამულსაო, რომ შვილი სჯობდეს მამასაო”**.

თქვენ იცით ხოლმე, როცა სიმღერას გაათავებთ, იტყვიოთ: თქვენი გამარჯვებისა იყოსო. მეც გავათავებ, რაც სათქმელი მქონდა და თქვენებურად, ჩვენებურად გეუბნებით: **“თქვენი გამარჯვებისა იყოს!”**



ნუ დაგავიწყდება, რომ 1992 წელს ქართველების მიერ დანგრეული ამ ისტორიული სკოლის შენობა მოსკოვის მერიამ აღადგინა.

გილოცავთ ასალს სასწავლო წლის დაწყებას!

სკოლებსა და უმაღლეს სასწავლო ბლებში, როგორც წესი, სწავლის დაწყების მაშუკვებელი ზარი პირველ სექტემბერს ჩამოკრავდა ხოლმე. ბევრი რამ შეიცვალა მას შემდეგ არა მხოლოდ კალენდარში. უამრავი რამ შეიცვალა თვით სწავლის მეთოდიკაში, და რაც მთავარია, უარესობისაკენ შეიცვალა ყმაწვილის სულიერი ფორმირების პროცესებიც.

მაგალითად, განათლების სისტემას კარგა ხნის განმავლობაში თავკაცობდა პროფესიით სანტექნიკოსი კახა ლომია, რომელმაც ბავშვების თვალწინ (გაი სირცხვილო?) დაფაზე ცარცით ვერ დაწერა სიტყვა **“ბავშვი”** და კარგა ხნის ცოდვილობისა და ოფლისღვრის შემდეგ გამოიყვანა სიტყვა **“ბავშვი”**. როგორც ამბობენ, აღხანას ჩალხანას რა გამოუღვებს და **“ოროსან”** ღომიანის წამსვე გამოუწინდა დამცველად **“ხუთოსანი”** გრიგალაშვილი (უდავოდ ნიჭიერი ლიტერატორი, მაგრამ, მისი უტიფარი განცხადებებიდან გამომდინარე, საკმაოდ არაკეთილსინდისიერი პოლიტიკოსი და სახელმწიფო მოღვაწე), რომელმაც გვაუწყა, რომ ასე სწერდა ილია ჭავჭავაძეო. დამატებითი უხერხულობების თავიდან ასაცილებლად ალბათ ისიც განუმარტა კახა ლომიას, თუ ვინ იყო ილია ჭავჭავაძე.

თუ გაითვალისწინებთ ხალხურ სიბრძნეს: **“რაც ერთი, ის ბერიო”**, ძნელი დასადგენი არ გახლავთ - როგორ კადრებს გაუზრდიდა სამშობლოს ამგვარი **“განათლების”** მქონე მინისტრი, რომლის უმცირესამ იმდენად შეაწუხა საქართველოს უმაღლესი ხელისუფალი, რომ ღომიანა თანამდებობასაც ჩამოაშორეს და საქართველოდანაც შორს უკრეს თავი.

მაგრამ, რას შესძენს დღეს საქართველოს უაზროდ დამახინჯებულ საგანმანათლებლო სისტემას თუნდაც ერთი გაუნათლებელი მინისტრის მოხსნა? ბევრს არაფერს, რადგან შესაცვლელია არა მინისტრი, არამედ შერყენილი სისტემა, რომელიც საქართველოს ახალგაზრდობას მოახვია თავს აშკარად არაქართულმა საქართველოს ხელისუფლებამ. თუნდაც ერთი **“წერილმანი”** მოვიყვანოთ იმ სისტემიდან, ახლა **“უნარ-ჩვევები”** რომ ჰქვია.

ბავშვობიდან გვასწავლიდნენ უფროსებისადმი მოწიწებას და მათ პატივისცემას. უნარ-ჩვევებში კი ბავშვი იწავლება არაქართული მოძღვრებით: **“თუ შენ ბილეთი ადგები, გაქვს საზოგადოებრივ ტრანსპორტში და თავზე უფროსი ადამიანი წამოგადგა, ადგილი არ დაუთმო!”**

ერის დეგრადაცია მაშინ იწყება, როცა

ბავშვი სავარძელში არის მოკალათებული და მხცოვან ადამიანს ადგილს არ დაუთმობს იმით, რომ მას ამ ადგილზე იურიდიული უფლება გააჩნია! დმერთმა არ მაჩვენოს ჩემი შვილი ან შვილისშვილი ამგვარ სამარცხვინო ამბლუაში.

პედაგოგის მიმართ მოწიწებას გვინერგავდნენ უფროსები. მაგრამ პედაგოგისადმი რიდი და კრძალვა სულაც არ ნიშნავდა ჩვენს შორის გაუცხოებას. პირიქით, პედაგოგები ჩვენი მერე მშობლები იყვნენ და მშობლიურ მზრუნველობას არ გვაკლებდნენ. ქვეყნისათვის მიძიმე ვაჰმს თავისთვის ბევრი არაფერი სანოვანე გააჩნდათ, მაგრამ დამშუელი მოსწავლე-ბავშვებისათვის ჯობით მოჰქონდათ მჭადის ნატეხი ან პურის ნატეხი. ტყუილად კი არა აქვს ნათქვამი შესანიშნავ პოეტს იოსებ ნონეშვილს:

მასწავლებელი, ზოგჯერ უშვილო, მაგრამ მრავალი შვილის მშობელი...

ეუჯერებლით, ვენდობლით, გვიყვარდნენ, პატივს ვცემდით და მათ ნებას უსიტყვოდ ვემორჩილებოდით, რადგან გვეჯეროდა, რომ ისინი ჩვენი კეთილისმყოფელები იყვნენ (დმერთმა გაანათლოს მათი სულიერი). მათი სიტყვა ჩვენთვის მაგიური იყო, რომელიც განსჯას არ ექვემდებარებოდა.

გაისხენოთ, როცა ილია მერე მოსკოვში ჩავიდა და მას მუხლზედანიჭილი მიეახლნენ მედვედევი და პუტინი და აღუთქვეს, რომ პერევიდან ჯარებს გაიყვანდნენ. ასეც ხდებოდა, რომ არა სააკაშვილის დაუფიქრებელი (იქნებ - შეგნებულიც) განცხადება: **“ილია მერე ისე მოიტყდა, როგორც დაგარიგე და ამიტომაც დაგვიბრუნეს პერევიო!”**. მერე დღესვე, გასასვლელად გამზადებული რუსული ჯარი უკან დაბრუნდა და დღესაც პერევიში დგანან.

აი, როგორ საგადალოდ შეიძლება დახვდეს წინ მიულე ქვეყანას ერთი ადამიანის დაუკვირვებელი სიტყვა და უპატივცემულობა ერის იმ დიდი მასწავლებლის მიმართ, რომელსაც მისი უწმინდესობა ილია მერე ჰქვია!

ყოველთვის გახსოვდეთ, ბავშვებო, რომ მასწავლებელი თქვენი დმერთია, სკოლა კი ის ტაძარია, რომელიც თქვენი სიბეჯითის წყალობით ბედნიერების გზაზე გატარებს და ყველა კეთილ სურვილს აგისრულებს!

ინდიკო ქობალია, ქართული ეროვნული მოძრაობის ვეტერანი, ზუგდიდი

გაზეთი ილორის რედაქციას

გვიან გავიგე, რომ „ილორის“ საიუბილეო მე-100 ნომერი მოდიოდა. იგი გასულ შაბათს მივიღე PDF ფაილით. გული არ დამწყვეტია ჩემი მისალოცი წერილი საიუბილეო ნომრის მიღმა რომ დარჩა, რადგან იმედი მაქვს იგი, მეორე ასეულის პირველ ნომერში მაინც გამოქვეყნდება და მეც მასთან ერთად შევუძლებ ახალ ასკიბიან ადმარტს – ქართული ეროვნული იდეის გამარჯვებისაკენ.

ახალი წლიდან მოყოლებული, რეგულარულად ვაღვებებ თვალს გაზეთ „ილორს“, ამ ბოლო დროს კი მისი ხშირი სტუმარიც გახვდი. იგი მკითხველის თვალწინ, უმოკლეს დროში ჩამოყალიბდა სულის დამამშვიდებელ, ღამის ერთადერთ საინფორმაციო საშუალებად, რომელიც არასოდეს ძველებს და როდინდელი ნომერიც არ უნდა გეჭიროს ხელთ, დღევანდლობას ეხმარება!

...ვაგლახ, რომ არც ჩვენი სამშობლოს პრობლემები ძველებს და იგი ჩვენს თვალწინ მარადისი ხდება!

„ილორი“ იმით განსხვავდება სხვა გაზეთებისგან, რომ მის გვერდებზე ქვეყნის პრობლემების, სახელმწიფოს სათავეებში მოკალათებულ, კრიმინალურად ქცეულ მოხელეთა არა მარტო რეალურად აღწერა და მხილება ხდება, არამედ მათი გამომწვევი მიზეზების ანალიზიც კეთდება.

მე მთლიანად ვიხიარე და ვუერთდები „ილორის“ მოწოდებას:

„ამ ბოლო დროს, მაგანთან, თვალსა და ხელს შუა ვაღებებ ჩვენი სამშობლოს თანამედროვე ისტორია (იგივე ხალხი, არც შორეულ წარსულს აკლებს ხელს), ჩვენ ვაღებებელი ვართ, მომავალ თაობებს არ დავუტოვოთ ამოუხსნელი თავსატეხი – ჩვენი დროის „გიორგი სააკაძე“ ქვეყნის მტერი იყო თუ მისთვის თავდადებული გმირი!.. გაყალბებულ ისტორიაზე გაზრდილი თაობები ვერასოდეს მოუტანენ ქვეყანას სიკეთეს!“

მართალია მე გვიან ჩავერთე „ილორის მართლმად“ მარტო, მაგრამ ამას სულაც არ ვანობ, რადგან უცხოებაში მყოფი შეგებს „ილორთან“ ურთიერთობისას ვგრძნობ და ჩემი სამშობლოს ჭირ-ვარამი მასთან ერთად შემოიძლია გავიზიარო.

უცხოეთში მცხოვრებ ქართველთა იმ ნაწილისთვის, რომლებიც აქ საშოვარს არ ვართ გამოყოფილი, ორმაგად მტკივნეულია ჩვენი სამშობლოს გასაჭირი. გველის ნაკბენივით მასხენდება გასულ ზაფხულს, საქართველოში ყოფნისას გაცონილი – „ქართველებს რა გაგვიჭირდება სომხებისთანა ღობი რომ გვაყავდეს უცხოეთში!“ მისაუბრე, „სომხურ ღობში“ ფულიან სომხებს გულისხმობდა და მათი შეშურდა... მე კიდევ, იმ წუთას ჩემი მისამართით გამოთქმულ საყვედურად მივიღე იგი და გული დამწყდა, რადგან მე და ჩემისთანები მდიდრები არ ვართ და ალბათ, ვერც ვერასოდეს გავმდიდრდებით, რადგან უცხოეთში ყოფნასთან ერთად ისიც გვიშლის ხელს რომ, ნებისმიერი გზით მიღებული ფული და სიმდიდრე, არც სამშობლოში

იყო ჩვენთვის მისაღები და უცხოებაში მიტოვებულ – ჩვენი მიზეზით იმ მცირედი პარტიკულარების გრძობას, რომელიც ჯერ კიდევ არის აქ. ქართველებისადმი დარჩენილი, „მოხვეჭის“ გამო ვერ გავწირავთ!

უნებლიედ, დიდი ექვთიმე თავისუფალი გამახსენდა – „აუწონავი სიმდიდრის პატრონს, პარიზთან ახლოს, ლევილის ქართველთა დასახლებაში თხა ჰყოლია თურმე და მისი რძით ირჩენდა თავს... დღენიადღა იმაზე ფიქრში იყო სამშობლოში უკლებლივ ჩაეტანა ეროვნული განძი, რომელსაც არამც თუ რაიმე დააკლო, საქართველოდან ადრე გატანილი სიმდიდრეებიც დაამატა, ადგილზე რომ მოიბიდა და კეთილი ადამიანების თანადგომით შეიძინა...“ საოცრება ის იყო, თურმე, როცა ათწლეულების ნაოცნებარის აღსრულების დღე დაუდგა – „ქართული ეროვნული განძი საგანგებოდ გამოგზავნილმა კომისიამ ჩაიბარა და მასაც თხოვეს გამზადებული სამშობლოში წამოსასვლელად, ვეუღლასათვის მოულოდნელად უარი განაცხადა...“

გვიან გაირკვა, ქართული ეროვნული განძის დარაჯს, იმ დროისათვის, ალბათ მსოფლიოში ერთ-ერთ უმდიდრეს ადამიანს, ტანსაცმელი არ ჰქონია და ფეხზე გაცვეთილი კალთები ეცვა.

ესირცხვილებოდა თურმე – ასეთი როგორ ვერგეოთ ქართველ ხალხს!

ასეთი იყო ბოლშევიკების მიერ უცხოეთში განდევნილ ჭეშმარიტ ქართველთა დიდი უმრავლესობის დამოკიდებულება სამშობლოსთან. ქართულ, ეროვნულ, სულიერ და მატერიალურ განძეულობასთან.

შემთხვევით არ გამახსენებია დიდი ქმეითიმე – თავისი საქმიანობით „ილორმა“ და მისმა შემოქმედებამ მომაგონეს იგი.

ისეთი ვამი გვიდავს დღეს ჩვენს სამშობლოში – ქართულ წეს-ჩვეულებას, ტრადიციებს, კულტურას, ათასწლეულებამოვილი ისტორიისა და კულტურის ძეგლებს, ზნეობასა და ბოლოს ადამიანურ ურთიერთობებს (მაგანი რომ ცხოველური „უნარჩვევებით“ გვიცვლიან) საგანგებო მოვლა-პატრონობა, ურჯულთა ხელყოფისგან დაცვა სჭირდება.

„ილორიც“ სწორედ იმ დაუღალავ მცირერიცხოვან პატრიოტთა რიგებში დგას, რომელთათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და ღირებულია ყოველივე ზემოთწარმოთქმული.

თურმე სამშობლოშიც შეიძლება სამშობლოწარმოქმელი იყო!.. აქაც თვალს გვიხელს და გვაფხიზლებს „ილორი“. ამაზე მოგვიანებით. არც საკუთარ თავს და არც „ილორის“ მკითხველებს მინდა საზეიმო განწყობა გავუფუჭო. ამიტომ, ამ თემას საგანგებოდ მივუბრუნდები მომდევნო ნომერებში.

შემოდგომა ჩემს სამშობლოში. შემოდგომა გერმანიაშიც, რომელიც მე და უამრავ ჩემისთანას სამშობლოს მაგივრობას გვიწევს. მორწმუნე ადამიანი უფლის მადლიერი უნდა იყო, რომ ახალი, მშვიდობიანი დილა გაგიტენა. მადლიერი

უნდა იყო იმ მიწის და ხალხის, რომელმაც გატირვების ეამს შეგიფარა. მადლიერი უნდა იყო იმის გამო, რომ შემოდგომისას, მართალია უცხოებაში, მაგრამ შენც გაგანინა რაღაც დასათვლელი და გეთქმის – გასული წელი უქმად არ გამოტარებიაო.

დარდი მკლავს, რომ ჩემს სამშობლოში უამრავ ჩემს თანამემამულეს არაფერი აქვს ამ შემოდგომას დასათვლელი. უტიფარი პრეზიდენტი და მთავრობა კი რუსეთის პრესპექტს კეტავს და სახელმწიფოს და მისი მთავრობის მიღწევების გამოფენას აწყობს. არაფერ კეთიხება შარშანდელი აგვისტოს „გამარჯვებული ომის“ შედეგად განწინდ ათათასობით უსახლკაროს, სად აპირებენ შემოდგომაზე წიწილების დათვლას. ათასობით ბავშვი ვერ დადის სკოლაში მშობლების უსახსრობის (არა მარტო უსახლკარობის) გამო. არ ვიცი ჩვენ რამდენს გავწვდებით, მაგრამ, რასაც შევიძლებთ – გვერდში დაგიდგებით საქართველოს პრეზიდენტისგან და მისი კრიმინალი მთავრობისგან განწირულებს.

მასხენდება პირველი სექტემბერი. რამდენი სიხარული ახლდა მას ჩემი ბავშვობისას. მან წელსაც უწუმრად ჩაიარა საქართველოში. გული მომიკვდა, როცა მომიყვინ – „მრავალშვილიან მშობლებს სექტემბრის დადგომის ეშინიათო!“ არა და წიგნიერებაში, სწავლაშია ჩვენი ხსნა მხოლოდ. ჩვენისთანა მცირერიცხოვანი ერი ვერავის გაუწევს კონკურენციას, მიტოვებულ უწიგნურად და უსწავლელად. საბოლოოდ კი მაშინ ვართ განწირული, როცა ქართულ სახეს დაკარგავთ და „ამრიკული უნარჩვევებით“ გავლთ ცხოვრების დაუნდობელ ასპარეზზე, რომელსაც უხსოვარი დროიდან – „ბრძოლა არსებობისათვის“ შეარქვეს!

ჩვენ, უცხოეთში მაცხოვრებელი ქართველების გარკვეული ნაწილი, დიდი ხანია მივხვდით – აქ გაგერმანელებული ქართველი არავის არავფრში დაგჭირდებით, რადგან მათ თავიანთი „ორიგინალი“ გერმანელები ყავთ პირველ რიგში მისახელი და მოსაგვლელი!

ამიტომაც, ვისაც სექტემბერში ჯერ კიდევ გიწევთ სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში მისვლა, მოგიწოდებთ – ათმაგად ბეჯითი და მოწადინებული იყავით, ვიდრე ოდესმე ჩვენი წინაპარი ყოფილა. გახსოვდეთ, ასეთი განწირულ დღეში ჩვენი ხალხი და სამშობლო არასოდეს ყოფილა! თუ კი ვინმეს გაგვეზიარებთ – ათი თავით უნდა ვჯობდეთ მას. სხვა შანსი ჩვენ არ გაგვანია!

წიგნიერება და რწმენა თუ გვიშველის, სხვა გზა ჩვენ ტარამდე ვერ მიგვიყვანს!.. საზეიმო რა გვაქვს ჩვენს დატანჯულ სამშობლოში, იმედის გარდა. სწორედ „ილორი“ მესახება, ამ გაუსაძლის ყოფაში, ასეთ იმედად.

ღმერთმა და ილორის წმინდა გიორგის მადლმა ნუ მოგვიშლის იგი!

დავით შოთაძე
კობლენცი, გერმანია

P.S. ადრე თუ საოცნებოდ მიგვანდა სატელეწიური არხები, რომელთა მეშვეობითაც შეგვეძლო საკუთარ სახლში გვეგრძნოთ თავი და ღამის ნებისმიერი მოვლენის თანამონაწილე გამხდარიყავით, დღეს იგი სულიერ სასჯელად გვექცა!..

მტერს არ გაუხარდებოდა გუშინ – საქართველოს პრეზიდენტის ნახვა კახეთში, მისი ბრძნული გამოსვლის თვალსაჩინოებისთვის უნიჭოდ მოწოდებდა ძველი „საბჭოთა მანქანების გამოფენაზე“, ტაშის-სდამკრეველად მიყვანილი ხალხი რომ შეცბუნებული უყურებდა და ყველა მათგანს სახეზე გარკვევით ეწერა: „ამას რას მიძქარამს, ჯოროო!!!“

დააკვირდით ვიდეოკადრებს, გაოგნებულნი, ღობის მოაჯირს დაყრდნობილი, ჯანიანი მამაკაცის სახის გამომეტყველებას – პრეზიდენტის „შემოქმედებით“ რომ ვერ აღფრთოვანდ... რეჟისორმა მალევე შენიშნა იგი და მიშას ავტოკატორი ახალგაზრდა ქალბატონით გადაფარა.

„მიშა მაგარიას“ კახეთში გაჯლივინებაში გენიალური ქართული ფილმი „სიყვარული ყველას უნდა“ გამახსენა – პაკიპუკა და მისი გუნდი „სამუშაო და გამოსასვლელი ტანსაცმლის ჩვენების“ დაუვიწყარ სცენას რომ დგამენ, სადაც მაყურებელი აღფრთოვანებული ხვდება ყოველი, მორიგი „მოდელის“ პოლიუმზე გამოსვლას!..

აღფრთოვანების რა მოგახსენოთ, მაგრამ უზარმაზარი სიბრალულის გრძობა რომ დაეუფლა გუშინდელი „გაბოფენის“ ნახვის შემდეგ მთელს საქართველოს, დავა არ სჭირდება.

უფალმა უწყის რა ახარებდა!.. ყურებადმე გახეული „მიშა მაგარია“ გონებადქვეითებული ბავშვივით უაზროდ იღრეჯებოდა თეთრი მერსედეს-კაბრიოლეტიდან ჯაფისგან ქანცგაღებული კახელების წინაშე (მხვედვლობაში არ მაქვს რამდენიმე ათეული პრეზიდენტის თანმსლები უსაქმური), სახეზე გამოკვეთილად რომ ეწერათ – ღმერთო ისენ საქართველო და მისი უიმედოდ ავადმყოფი პრეზიდენტი!

კიდევ ერთი მინაწერი: ვინ შენმა ცოდვით სავესმე გირჩია, ამ, ვითომც „ორიგინალური“ ფორმით, საზოგადოების ყველაზე ბრძენ და გონიერ ნაწილთან, გლეხობასთან შეხვედრა?

ვინ არიან შენი მრჩეველები? სასწრაფოდ დასაჭერი და დასახველია ისინი, მაგრამ რა გინდა ქნა, მე ვიკითხე და ამისხნეს – ავადმყოფის დაცინვა არ ისჯებაო საქართველოში მოქმედი კანონით. ალბათ ეს მართლაც ასეა, მაგრამ ხმამაღლა ვაცხადებ ეს უსამართლობა, კანონში უნდა იყოს საგანგებო ჩანაწერი:

„ქვეყნის სულიერად ავადმყოფი პრეზიდენტის დაცინვა კანონით ისჯება, რადგან იგი, პრეზიდენტობისას, არა მარტო საკუთარ თავს, ქვეყნის მთელ მოსახლეობას წარმოადგენს!“

ქალაქ თბილისის 53-ე სკოლის მე-10 მეორე კლასის 1958 წლის გამოშვების კურსდამთავრებულთა მისაღმება კლასის დამრიგებლის ქალბატონ თამარ ხაბაზიშვილისადმი



ჩვენო პატივცემულო და საყვარელო თამარ მასწავლებლო! 51 წელიწადი გაიდა მას შემდეგ, რაც საშუალო სკოლა დავაშთავრეთ და სევდით გამოგვაყოლეთ თვალი. ჩვენ უკვე სამოცდაათ წელს ვუახლოვდებით და თქვენი ასაკი – 90 წელი არ მიგვანია ადამიანისათვის მოხუცობის ზღვრად. ჩვენთვის თქვენ კვლავ ის თამაზიანი თამარა

მასწავლებელი ხართ, რომელიც კიდევაც გვეუფრებოდით და კიდევაც გმტუქსავდით, როცა ამას ვიმსახურებდით. ნურავინ იტყვის, რომ თამარა მასწავლებლებს შვილები არ ჰყოლიაო. ყოველი ჩვენთანა თქვენი შვილია და თქვენადმი, როგორც საკუთარი მშობლისადმი დამოკიდებულებას ისიც გვიმეფრებს, რომ ჩვენი

მშობლები დღეს უკვე ცოცხლები აღარ არიან და მათ მოსალონად მხოლოდ თქვენი სახე გვაქვს დარჩენილი. სამწუხაროდ, დღეს ცოცხალი აღარც ბევრი ჩვენი თანაკლასელია, რომელთაც თქვენ ასეთი რულუნებით აღზრდიდით და ადამიანურ სიტბოს არ იშურებდით მათთვის. თამარა მასწავლებლო! ჩვენ ყველაფერი გაგაკეთეთ იმისათვის, რომ თქვენი თავდაუზოგავი შრომა წყალში არ ჩაგვეყარა. სწორედ თქვენი და სხვა სულმნათი პედაგოგების დამსახურებაა, რომ ჩვენმა კლასმა სამშობლოს გაუხარდა ორი აკადემიკოსი, ექვსი პროფესორი, ოთხი მეცნიერებათა კანდიდატი, მხატვარი, არქიტექტორი, ექიმი, დეპუტატი, ინჟინერი... დიდი მადლობა თქვენ ამისათვის! წლების სიმრავლე გვისურვე

ბია თქვენითვის, ჩვენო საყვარელო თამარ მასწავლებლო! მოწიწებით: ბაბუნაშვილი გია, გეგეშიძე ნუნუ, გელაშვილი შუჟუნა, გოშაძე ვალიკო, ვარდანაშვილი ლალი, ვეფხვაძე შოთა, კერესელიძე დალი, კუხაშვილი მალხაზი, მანაბელი

გივი, ოქროპირიძე ვენერა, ფალავანდიშვილი ილო, ფირცხალიშვილი ოთარი, ქვეანიშვილი ზურაბი, დვანია ტულუ, შალამბერიძე რეზო, შატბერაშვილი აიდა, შენგელია გულიკო, ჩიტიშვილი გურამი, ჩხაიძე ჯულუ, ჯალაღანია როლანდი.



ლაპრენტი ბერია — ქართული გენია



2001 წელს გამომცემლობა "რუსეთის პოლიტიკურმა ენციკლოპედიამ" და რუსეთის ფედერალურმა საარქივო სამსახურმა გამოსცეს 2.000 ტირაჟით სტალინისა და კავანოვის მიწერ-მოწერა 1931-1936 წლებში. ეს უაღრესად საინტერესო წიგნია, რომელიც დიუმას ნაწარმოებით წავიკითხე! მე ის პრაქტიკულად გამოვადგა — იგი არც თუ იშვიათად (მაგრამ არც ძალიან ხშირად) ნახსენებია ბერია.

და რაც ყველაზე საინტერესოა! 1995 წელს გამოიცა სტალინისა და მოლოტოვის მიწერ-მოწერა 1925-1936 წლებში. როგორც ხედავთ, ეს მეორე წიგნი ხუთი წლით უფრო დიდ დროს მოიცავს პირველთან შედარებით. მით უმეტეს, მოლოტოვთან მიწერ-მოწერაში ბერიას სახელი საერთოდ არ არის ნახსენები.

რატომ? იმიტომ ხომ არა, რომ მოლოტოვ-სტალინის მიწერ-მოწერა მხოლოდ 86 წერილს მოიცავს (რომელიც 79 წლის მოლოტოვმა თავისი სურვილით ჩააბარა ცენტრალურ პარტიულ არქივს 1969 წლის დეკემბერში), მაშინ, როცა კავანოვთან მიწერ-მოწერაში 826 წერილისაგან შედგება? ან იქნებ მოლოტოვის ცენზურასთან გვაქვს საქმე?

მე ვთვლი, რომ ბერიას სახელის არ-მოსხენება მოლოტოვთან მიწერ-მოწერაში, მრავალმხრივად შეგუბებული ფაქტია. ალბათ არ სურდა ვიანხლავ მიხედის ძე მოლოტოვს, რომ შორეული წარსულის ობიექტური სურათი დაეტოვებინა მომავალი თაობებისათვის.

მაგრამ, როგორც არ უნდა იყოს, ჩემს განკარგულებაში იყო სტალინისა და კავანოვის ვრცელი მიწერ-მოწერა, სადაც უამრავი საინტერესო რამ აღმოვაჩინე. დავიწვევ პირველი წერილის კომენტარებით.

1931 წლის 17 აგვისტოს სტალინი სამხრეთიდან წერდა კავანოვის მოსკოვში:

"ახლა ჩემთვის ნათელია, რომ ქართველი შვილმა (1929 წლამდე საქართველოს საკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, 1929-1931 წლებში უკრაინის კომპარტიის (ბ) ცეკას მეორე მდივანი და უკრაინის სამხედრო ოქტის პოლიტ-სამმართველოს უფროსი, 1931 წლიდან კი ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი) და საქართველოს ცეკას სამდივნომ "პურის დამზადების" უზადო კამპანიით შიმშილამდე მიიყვანეს დასავლეთ საქართველო. არ ესმით, რომ ხორბლის მოყვანის უკრაინული მეთოდი უნდა დაინერგოს მესობრბელობის რაიონებში, მაგრამ მანებლობა მისი დანერგვა არასახორბლე რეგიონებში. ასობით ადამიანს აპატიმრებენ, მათ შორის პარტიის წევრებსაც, რომლებიც უკმაყოფილებას გამოთქვამენ საქართველოს პარტიის ცეკას ამ პოლიტიკის გამო. მაგრამ, ხალხის დაპატიმრება სასურველ შედეგს ვერ მოგვცემს, გარდა იმისა, რომ "პურის ბუნტების" პროვოცირებას მოახ-

ბერია — XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი

თარგმანი როლანდ ჯალაღანიანი

დენს, მიუხედავად იმისა, რომ პურის პრობლემა ქვეყანაში უკვე გადაწყვეტილია. პოლიტიკურად სასწრაფოდ უნდა დააუკლოს მიქოიანს დასავლეთ საქართველოში პურის შეტანა... წინააღმდეგ შემთხვევაში პოლიტიკური სკანდალი გარდაუვალია".

ორი დღის შემდეგ, 19 აგვისტოს, სტალინი მომდევნო წერილს წერს, რომელიც ამ სიტყვებით მთავრდება:

"...მეოთხე. წინადადებას გაძღვეთ, რომ დასავლეთ საქართველოს მეჩაიეებისათვის და მეთამბაქოეებისათვის პურის ახალი საწყობების მშენებლობის საქმეში ჩართული იქნას მაკონტროლებელ ორგანოდ პარტიული კონტროლის კომისია, ადგილზე გაგზავნილ იქნას ხალხი და ჩაერთოს საქმეში ამიერკავკასიის საგანგებო კომისია, კერძოდ, ბერია და დაუსვით ამოცანა, რომ საწყობები აშენდეს დროულად, არა უგვიანეს ნოემბრისა".

პურის ეშელონები დასავლეთ საქართველოსაკენ დაიძრა და საწყობები სწრაფად შენდებოდა (რახან ამ საქმეში ბერია ჩაერთო). მაგრამ, როგორც ჩანს, მთლიანად ამიერკავკასიაში სიტუაცია არადაამაკმაყოფილებელი იყო, რაზეც მიანიშნებს 1931 წლის 26 აგვისტოს სტალინის მიერ კავანოვისადმი მიწერილი ბარათი:

"გამარჯობათ, ამხანაგო კავანოვი. გწერ ამიერკავკასიის საქმეებზე. ამ დღეებში ჩემთან იყვნენ ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის და საქართველოს კომპარტიის ცეკას მდივანი, ახერბაიჯანელი მუშაკები (მათ შორის პოლონსკი). მათ ურთიერთდაპირისპირებას ზღვარი არ უდევს და ალბათ მალე არ დამთავრდება..."

მე ისინი როგორცაც მოვარიგე, მაგრამ სიმშვიდემ დიდხანს არ გასტანა. არ ტყუიან ბერია, პოლონსკი და ორახელაშვილი. მაგრამ, პოლონსკი უშვებს უტაქტობას, შეცდომებს. ყველაზე არასასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს მამულია (საქართველოს პარტიის ცეკას მდივანი)... კომიკური ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს საქართველოს სახკომსაბჭოს თავმჯდომარე სუხიშვილი — უიმედო ბაღბეჯი...

თუ საქმეში არ ჩავერევით, ეს ხალხი თავისი სისულელით დაღუპვს საქმეს. მათ უკვე გააფუჭეს ურთიერთობა ქართველ და ახერბაიჯანელ გლეხებთან. ჩვენი დახმარების გარეშე საქართველოს პარტიის ცეკა და ქართველი შვილი საქმეებს ვერ მოაგვარებენ. მათ კი ამის სურვილი აქვთ.

როგორ მოვიქცეთ?

- საჭიროა: 1) დაინიშნოს... სექტემბრის მიწურულს მოხსენება ორგანიზაციისთვის;
- 2) მკაცრად მიეთითოთ მათ და მამულიას ტიპის ადამიანები განთავისუფლდნენ დაკავებული თანამდებობებიდან;
- 3) ამიერკავკასიის კომიტეტის მდივნად დაინიშნოს ახალი კადრი (მე გთავაზობთ მეერზონის კანდიდატურას) და მიეცეს მას შესაბამისი მითითება...

ამ დონისძიებების გარეშე საქმე წინ ვერ წავა.

ისტალინი 26 აგვისტო, 1931 წელი".

როგორც ხედავთ, 1931 წლისათვის სტალინს აშკარად არ ჰყავს ბერია ფავორიტა რიცხვში. მაგრამ, სტალინი იგი უკვე შეამჩნია.

სექტემბერი მიიწურა, სტალინი მოსკოვში დაბრუნდა. 19 ოქტომბერს ორგანიზაციის სხდომა შედგა, 31 სექტემბერს კი პოლიტიკურად რიგი გადაწყვეტილებები მიიღო ამიერკავკასიის საკითხებზე. ამიერკავკასიის ფედერაციის პირველი მდივანი გახდა საქართველოს საკომსაბჭოს თავმჯდომარე მ.პ. ორახელაშვილი, მეორე მდივანი — ლ.პ. ბერია, მესამე კი ახერბაიჯანის კომპარტიის (ბ) ცეკას პირველი მდივანი ვ.ი. პოლონსკი.

ბერია შეთავსებით დაინიშნა საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად.

ორახელაშვილმა მეორედ დაიკავა ამიერკავკასიის ფედერაციის პირველი მდივნის პოსტი. ამ თანამდებობაზე იგი უკვე მუშაობდა 1926-1929 წლებში.

როგორც ამბობენ, "არ გასულა ნახევარი წელიც, რომ" უფრო ზუსტად, გავიდა არასრული რვა თვე და 1932 წლის 20 ივნისს სტალინი წერდა კავანოვის, პოლონსკის და ორჯონიკიძის: "მაშ ასე, ძვირფასო ამხანაგებო, კვლავ ინტრიგები. მე მხედველობაში მყავს ბერია და ორახელაშვილი..."

დაიხ, პირველ და მეორე მდივანს შორის ურთიერთობა მკვეთრად დაიძაბა. ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება მივიჩნიოთ ფრაზა: "ეძებე ქალი". ამ შემთხვევაში საქმე ეხება მამია ორახელაშვილის მეუღლეს, 45 წლის უღამაზეს და ჭირვეულ ქალბატონს მარიამ პლატონის ასულ ორახელაშვილს, ასევე ძველ ბოლშევიკს (1903 წლიდან).

30-იან წლებში მოსკოვში მრავალკავკასიელ ხელმძღვანელ მუშაკს აუწიეს ყური კადრების შერჩევაში დაკავშირებულ გადახრებთან დაკავშირებით. მართლაც, ვერც კი მოასწრო მამია ორახელაშვილმა მეორეჯერ კავკასიის ფედერაციის თავმჯდომარის თანამდებობის დაკავება, რომ მარიამ ორახელაშვილი საქართველოს განათლების სახალხო კომისრად დაინიშნა.

ესეც შენ! მაგრამ, მეორე მხრივ, შეიძლება კი ამიერკავკასიის "პირველი ლედი" აღმოჩნდეს მალე თანამდებობის ვარემე? ცოლ-ქმარი ორახელაშვილები "ინტელიგენტა" წრეს ეკუთვნოდნენ. უფრო მეტიც — მამია თავადთა შთამომავალი იყო. მარიამ ორახელაშვილის თვალში კი ბერია შემთხვევით აღზევებული გლეხი გახლდათ, თანაც გაუნათლებელი...

როგორ შეიძლებოდა მისთვის შეედარებინათ მამია ორახელაშვილი, რომელმაც 1908 წელს დაამთავრა სამხედრო-სამედიცინო აკადემია?

ამას გარდა, მამია ხომ "პრაგდის" რედაქციის წევრი იყო.

ბერია კი... მოკლედ, 1932 წლის 10 ივნისს საქართველოს კომპარტიის ცეკას ბიურომ განიხილა საკითხი მარიამ ორახელაშვილის დარღვევებით დაინიშნის თაობაზე და ისიც, რომ "ზოგიერთი არაკეთილსინდისიერი პირი ავრცელებს ჭორებს და ცდილობს ერთმანეთს დაუპირისპიროს ამიერკავკასიის ფედერაცია და საქართველოს პარტიული ორგანიზაცია და ლაფი შეასხას ზოგიერთ მუშაკს (კერძოდ, ამხანაგ ბერიას).

ლამაზმანმა მარიამ საყვედური მიიღო პარტიული ხაზით და თანამდებობას დაემშვიდობა. მაგრამ, მან მაინც არ მოისვენა და მოსკოვში გაემგზავრა იაროსლავსკისთან. მამიამ კი წერილი მისწერა სტალინსა და ორჯონიკიძეს, რომელიც შემდეგ სტალინიმ კავანოვის გადასცა.

ბერიას კი არავისთვის არავითარი წერილი არ მიუწერია.

სტალინიმ ორახელაშვილის წერილი

რომ წაიკითხა, კავანოვის უთხრა:

"...მიუხედავად ბერიას საქციელში არსებული ზოგი "გადაჭარბებისა", მე მაინც მიმაჩნია, რომ მთელ ამ ოსტორიაში სწორედ მამია ორახელაშვილი ტყუის. ორახელაშვილს თხოვნაზე უარი უნდა ეთხრა... იგი არ უნდა წავიდეს. ვშიშობ, რომ ორახელაშვილს საქმეზე მეტად პატივმოყვარეობა უფრო აწუხებს, და იგი წყრება, რადგან "მის ხალხს" ყური აუწიეს..."

სტალინს ჯერ კიდევ არ სურს ორახელაშვილის შეცვლა და 20 ივნისის წერილი ამ სიტყვებით მთავრდება:

"ყველა ამბობს, რომ საქართველოში საქმეები კარგად მიდის, გლეხთა განწყობა უკეთესობისაკენ შეიცვალა. ეს კი მთავარია.

სალმით, სტალინი".

აღვნიშნავ, რომ სტალინის ეს კონსტატაცია ბევრ რამეს ამბობს ბერიაზე. მაშინ, როცა საქართველოს კომპარტიის ცეკას პირველი მდივანი მამულია იყო, გლეხები დედადნენ, ბერიას მმართველობისას კი მათი განწყობა "გაუმჯობესდა".

აი, რას ნიშნავს იყო კომპეტენტური! კავანოვინი გაეცნო რა ცოლ-ქმარ ორახელაშვილების საჩივარსა და პრეტენზიებს, თავისი 23 ივნისის ვრცელ წერილში სტალინს აუწყებდა:

"...II) ამიერკავკასიაში მართლაც იწყება ახალი დაპირისპირება, მაგრამ ხედავ, რომ სიმართლე ბერიას მხარესაა. ორახელაშვილი წარმოადგენს მოწუწუნე "აქტივისტთა" წრეს..."

საქმიან "აქტივისტთა" წრე კი უკვე ბერიას ჰყავდა შემოკრებილი.

მით უმეტეს, რომ საქმეები საქართველოში მთლად სახარბიელოდ ვერ იყო, მაგრამ რესპუბლიკას სათავეში ჩაუდგა ახალი ადამიანი და გაირკვა, რომ თურმე მხოლო საქართველოში საქმე არც ისე ცუდად ყოფილა.

მაგრამ აქტიური აქტივია, ძველი ბოლშევიკები კი ძველი ბოლშევიკები არიან... აქტივს გააჩნია ენერგია, პარტიარქებს — დამსახურება. მარია პლატონის ასული ორახელაშვილი კი, ყველაფერ ამასთან ერთად, "გადასარევი სილამაზის" ბანოვანია.

სერიოზულად თუ ვიტყვით, მარია ორახელაშვილის ამბიციები და ანტიპატიები ანგარიშგასაწევი იყო მხოლოდ მამიასათვის. ბერიასათვის კი, ამ კონფლიქტში, როგორც სტალინიმ შენიშნა, მთავარი იყო საქმიანი მხარე. საბოლოო ჯამში, ეს გახლდათ კონფლიქტი ბერიას (რომლის კომპეტენცია იზრდებოდა) და ორახელაშვილებს (რომელთა კომპეტენცია კლებულობდა) შორის.

უფრო ზუსტად თუ ვიტყვით — დაპირისპირება საქართველოს ძველ და ახალ პარტიელებს შორის.

13 ივლისს ბერიამ კავანოვის აცნობა: "ორჯერ გახლდით ამხანაგ კობასთან და საშუალება მომეცა, რომ დაწერილებით გამეცნო მისთვის ჩვენი საქმეები".

ზუსტად ერთი თვის შემდეგ, სტალინი კავანოვის სწერდა:

"ბერია დადებით შთაბეჭდილებას ტოვებს. კარგი ორგანიზატორია, საქმიანი, უნარიანი მუშაკი. ვაკვირდები და ამიერკავკასიის საქმეებს და უფრო და უფრო ვრწმუნდები, რომ სერგოს მიერ შერჩეული უთავბოლო კადრები. სწორედ სერგომ გაიყვანა საქართველოს კომპარტიის პირველ მდივნად მამულია, ახლა კი ნათელია, რომ მამულია ბერიას ფეხის ფრჩხილადაც კი არ ღირს".

ხედავთ, როგორაა საქმე!

გაგრძელება იქნება

სამეგრელოში გავრცელებული ძველი კოლხური ვაზის ჯიშები

მევენახეობის საქართველოში უსოველი დროიდან მისდევდნენ.

„და იყო ნოე კაცმა საქმედ ქვეყნისა, და დაასხა ვენახი და ღვინო მისგან დაითრო“ ამბობს ბიბლია და ამით ამტკიცებს, რომ სივცოცხლის აღორძინება ვაზით დაიწყო.

ვაზი ღმრთის რჩეულია, შეიდ საიდუმლო შორის ერთ-ერთი ზიარება, რომელსაც მორწმუნე პურის-ღვინის სახით იღებს ქრისტეს ჰემარტი ხორცისა და სისხლის საცხონებლად.

ცხადია, რომ საქართველოს კულტურული ვაზის წარმოქმნის სფეროში ფრიად მნიშვნელოვანი ადგილი უკუთვას. ამის ნათელი დადასტურება ვაზის ჯიშთა სიმრავლეა.

არქეოლოგიური, გეოპალეონტოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალები და კულტურული მევენახეობის საწილები საქართველოში ქვის ხანაში არის დამოწმებული.

მევენახეობა იყო საქართველოს ეკონომიკური ძლიერების საძირკველი, კეთილმოა შინაგანი კულტურის, აგრეთვე ხასიათის, ზნეობრივი სიმტკიცის ძირითადი საყრდენი.

ილია ჭავჭავაძე წერს: „ვაზის ნახსენებია კალმის აღნაგობის, შეიძლება არ გამოდგეს საუკეთესო მასალად ჯვრის შესაქმნელად. მიუხედავად ამისა, იგი საოცრად მტკიცე აღმოჩნდა და საუკუნეებს გაუძლო, გაუძლო იმით, რომ თეთი ვაზისადმი, ღვინისადმი იბერთა მიმართება იყო საკრძალო“.

ფ. სიგუა აღნიშნავს: „ვაზი წარმოადგენს ადამიანისათვის ოჯახისა და მამულის, არსებობისა და რწმენის ქვაკუთხედს. ზნეობრივი სახის და სულიერი მიმართულების განმსაზღვრელს, მომავლის სტიმულს ჭირის გამჭარბებულს და ღვინის მეგობარს, აღფრთოვანებისა და შთაგონების წყაროს, ლექსისა და სიძლიერის მფარვეს“.

საქართველოში მევენახეობის ვაზის ჯიშები. აქ წყნე ვხვდებით ჯიშების მორფოლოგიურ და საწარმოო თვისებების მრავალრიცხოვანობას. ვაზის ჯიშთა სიმრავლე და მრავალფეროვნება შედეგია საქართველოს მევენახეობის რაიონების ურთიერთგანსხვავებული ბუნებრივი პირობებისა. პროფესორი ნიკო კვციხელი აღნიშნავს, რომ „ძნელია წარმოვადგინოთ შირაქის ტრამალების ოაზისში და სიონის სანაპიროზე ერთი და იგივე ჯიშის იყოს გავრცელებული. ეკონომიკური, ბუნებრივი, ყოფა-ცხოვრებითი პირობები უმჯობესად გავლენას ახდენს ხილის ჯიშობრივ სხვადასხვაობაზე“.

საქართველოში მევენახეობის მიერ 500-მდე ვაზის ჯიშია აღრიცხული, რომელთაგან ბევრი იძლევა მაღალხარისხოვან პროდუქციას. როცა საქართველოს მევენახეობაზე ლაპარაკი, იგი შეუძლებელია წარმოვიდგინოთ სამეგრელოს მევენახეობის გარეშე.

ი. ჯავახიშვილს თავის წიგნში „საქართველოს ეკონომიკა“ აღრიცხული აქვს 54-მდე მეგრული ჯიშის, რომელთაგან ეხლა ნაწილი მოგვეპოვება და აღწერილია ამჟღად გარდაცემული კოლექციებიც, ხოლო ნაწილი შემონახულია თითო-ორი ძირის სახით საკარმიდამო ნაკვეთებზე, ნაწილი უკვალდ გაქრა.

ჯერ კიდევ 1846 წ. ბოტანიკოსი კოხი მოგვითხრობს შემდეგს:

„კავკასიის პონტოს და კასპიის ახლო მდებარე ქვეყნები თოვლად ვაზის სამშობლოდ, აქედან იგი მეზღვაურებისა და ვაჭრების წყალობით გავრცელდა მთელ მსოფლიოში“.

ზარდენი მევენახეობის სპეციფიკურობის შესახებ სამეგრელოში საინტერესო ცნობებს ვაწვდის და მეგრულ ღვინოებს მაღალ შეფასებას აძლევს. შევიცარიელი მკვლევარი სკოლა წერდა: „ძნელია ვაზის სამშობლოს დანამდვილებით დასახელება, მაგრამ იგი უნდა ვეძიოთ სამეგრელოსა და საქართველოს კავკასიონის არარატის და ტავრის შუა მდებარე მხარეში“.

თამაზ ელიავა აღნიშნავს, რომ ისტორიული კოლხეთი უძველესი დროიდან მაღალი სამეურნეო სამიწათმოქმედო კულტურის ცნობილი ქვეყანა იყო. მის დაწინაურებულ უბანს წარმოადგენდა აბაშის და ტეხურის ხეობები, ხოლო ძირითად დარგს მევენახეობა. მევენახეობისა და მეღვინეობის შესახებ შორეულ წარსულიდან ნათელ წარმოდგენას იძლევა ის მდიდარი ტრადიციები, რომლებიც ამჟამად ქართულია.

მეცნიერ-მუშაკი გ. ფარულავა აღნიშნავს, რომ კოლხეთის შემადგენლობაში თითქმის მთელი დასავლეთ საქართველო შედიოდა. მისი ცენტრი იყო სამეგრელოს დღევანდელი ტერიტორია, სადაც მევენახეობის განვითარების მაღალი დონე აღინიშნებოდა.

მუხუშვილის ექსპედიცია ბატონი გივი ელიავას მეთაურობით შეუდგა იშვიათი ეგზემპლარების დაძველებული ნახატივების, სენაკის, აბაშის, მარტვილის რაიონებში. ექსპედიციის ნაყოფიერი მუშაობის შედეგად შეგროვილი იქნა მეგრული აბორიგენული ვაზის 15 ჯიშის.

შემდგომში გივი და თამაზ ელიავეები აგრძელებენ მუშაობას ამ მიმართულებით და 1971 წელს მეგრული აბორიგენული ვაზის საკოლექციო ნაკვეთი გაიზარდა 22 ჯიშით. საკოლექციო ნაკვეთში შესწავლილი იქნა ჯიშების ბოტანიკა, ბიოლოგია და სამეურნეო ტექნოლოგიური მარცხვლები.

საწიის მასალად აღებული იყო ნოვას და შხუშვილის ვაზის ჯიშები, რომელთა შეჯავრების შედეგად მოპოვებულ ახალ ჯიშს ჭურჭილიური შეარქვეს. გამოიკვლია გივი ელიავას ავტორობით მუხუშვილის საკოლექციო ნაკვეთის ვაზის ჯიშთა კატალოგის ორი კრებული, სადაც ჩამოთვლილია ძველკოლხური ვაზის ჯიშთა სახეობები:

აბშილური

თეთრყურძინი ვაზის ჯიშია. ახასიათებს ძლიერი ვეგეტაცია. ფოთლი ფართოა გონივრულად კბილული ქვედა მხარე ბუხუსიანია. ავადმყოფობის მიმართ შედარებით გამძლეა. იკრიფება ოქტომბრის მეორე დეკადაში. შაქრიანობა 19-19,5%-მდე აღწევს.

ღვინდური

მაღალმოსავლიანი ვაზის ჯიშია. იცის წიწვოვანი ცილინდრული კონუსური მტკვნელები. ნაყოფს აქვს იშაბელას სუნი და გემო. ამიტომ მას ადგილობრივი მოსახლეობა „თეთრ იშაბელას“ ეძახის. გამოიყენება როგორც სასუფრედ, ასევე საღვინედ. შაქრიანობა აღწევს 17%-ს.

მშობური

თეთრყურძინი ვაზის ჯიშია. ფოთლი საშუალოა. შეფერილია მოწითალო ფერით და დაფარულია ბუხუსებით. მტკვანი მსხვილი ცილინდრული-კონუსური ფორმისაა. იკრიფება ოქტომბრში. შაქრიანობა 23%. მისგან დგება საუკეთესო ხარისხის სუფრის ღვინეები.

კამური

თეთრყურძინი ვაზის ჯიშია. აქვს კონუსური ფორმის მტკვანი 13-16 სმ სიგრძის. მწიფე ნაყოფი დიაგამჭვირვალე ფერის. იკრიფება ოქტომბრის პირველ დეკადაში. შაქრიანობა აღწევს 22%-ს. მისგან დგება განსაკუთრებული სურნელის და გემოს ღვინეები.

კოლოში

წითელყურძინი ვაზის ჯიშია. ყლორტზე ხშირად 3-5 მტკვანია. იკრიფება სექტემბრში. შაქრიანობა 21-22%-ს. ყურძენი მწარეა (აქედან სახელწოდება – კოლოში, მწარე). მისგან მზადდება მაღალი ღვინეების წითელი ღვინეები.

მახვარია

წითელყურძინი ვაზის ჯიშია. მწიფე ნაყოფი გომრისფერია. იკრიფება ოქტომბრის ბოლოს, ნოემბრის პირველ დეკადაში. ადგილობრივი მკვიდრი ამბობენ: „ღვემბერშიც ხეზე იყო და მოკრფას ვერ ვისწრებდით. ყლორტიდან მტკვანი თესონი წყდებოდა“.

ხელიც „მახვარია“ – მოწვევა). შაქრიანობა 25%. მაღალმოსავლიანი ვაზის ჯიშია. ღვინე შედარებით თხელია სურნელოვანი, დამახასიათებელი გემოთი.

მანგატილი (მანგატილი)

წითელყურძინი ვაზის ჯიშია. მტკვანი კუმის კონუსური ფორმისაა მსხვილი მარცვლებით. ღვინე გამოირჩევა განსაკუთრებული სისქით, გემოთი და სურნელებით. იკრიფება ოქტომბრის ბოლოს. შაქრიანობა აღწევს 21%.

პანური

სამეგრელოში გავრცელებული წითელყურძინი ვაზის ჯიშია. ზრდადამთავრებულია. ფოთლი საშუალოზე დიდია. სქელი და ოდნავ ოვალური. შემოსული რქა საშუალო სიმსხისა და ყავისფერი ყვავილი ორსქესიანია. მტკვანის საერთო ფორმა ცილინდრული – კონუსისებურია მტკვანი საშუალო სიკუმისაა. მარცვლით თითქმის შავია და საშუალოზე დიდი. სიკოვანი ავადმყოფობათა მიმართ მეტად მგრძობიარეა. იკრიფება ოქტომბრის მესამე დეკადაში. შაქრიანობა აღწევს 21%-მდე. პანური საკმაოდ ხარისხოვანი პროდუქციის მომცემი საღვინე ჯიშია. შეიძლება გამოყენებულ იქნას საჭმელად. ყურძენს დიდხანს შენახვის უნარი აქვს.

პუშკული

თეთრყურძინი ვაზის ჯიშია. გივი ელიავას განმარტებით რაიონის პირთათვის, სოფელ შუაქალაქსა, ნავსაკოსა, კოდორსა, გუდგაურისა, კეთილიარისათვისა დამახასიათებელი. მის მომვლელად ჭყონდიდულები კოლხეთში და შუა ქალაქში ასახელებდნენ ინსურულ მევენახეებს. სილაგაძეებს, უხავეებსა და ა. შ. „უბუშული ჩვენი იყოს – სხვა ყველა ვაღვლებულებებისაგან გამიზნავს“.

საარგო ნიშნი

თეთრყურძინი ვაზის ჯიშია. ფოთლი საშუალოა. შედარებით მცირე ზომისაა ქვედა მხარე შეზღუდულია თეთრი ბუხუსებით. მუხლთშორისები მოკლეა. მსხმოიარობის დროს ვაზი იშვიათი სილაგაზისაა. მტკვანი კონუსური ფორმისაა, მენხერი მტკვნელები აქვს. იკრიფება ყველა ჯიშზე ადრე ვაზი იშვიათი სილაგაზისაა. მტკვანი კონუსური ფორმისაა, მენხერი მტკვნელები აქვს. იკრიფება ყველა ჯიშზე ადრე აგვიანდობს დასაწყისში. ამ ჯიშით იწყება კოლხეთში რთველი. შაქრიანობა აღწევს 10%-ს.

ტორეშინი

წითელყურძინი ვაზის ჯიშია. დაბალი მოსავლიანია, იკრიფება ოქტომბრის მესამე დეკადაში. შაქრიანობა 20%-მდე აღწევს.

შინური

წითელყურძინი ვაზის ჯიშია. ოჯალეშისა და შინურის შორის მსგავსებასთან ერთად განსხვავება მტკვანის ფოთლი შედარებით ოვალურია, საშუალოა. ქვედა მხარე შედარებით სუსტადაა შეზღუდული ბუხუსით. აქვს მოწითალო ფერის ყლორტი – მოკლე მუხლთშორისები. მტკვანი მცირე ზომისაა. ნაყოფი გომრისფერია. იკრიფება ნოემბრის მეორე დეკადაში. შაქრიანობა 23%-ია. ოჯალეშისაგან განსხვავებით ღვინე უფრო რბილია. განსხვავებული გემოთი და სურნელებით.

შხურაში

თეთრყურძინი ვაზის ჯიშია. ახალგაზრდა ყლორტი მოწითალო-მოწითალო ფერისაა. მუხლთშორისები საკმაოდ დაშორებულია, ფოთლი საშუალოა, დიდი და სქელია, ფოთლის კიდეები დაკბილულია.

ხერხისებურად. მტკვანი დიდი (14-16 სმ) ცილინდრული ფორმისაა. სიმწიფეში დებულობა ქარვისფერს, მცირე მოსავლიანია. იკრიფება ოქტომბრის ბოლოს, შაქრიანობა 18% აღწევს.

ნიშნური

თეთრყურძინი ვაზის ჯიშია. ნერგული მეგრული სიტყვაა და „თეთრმრგვალს“ ნიშნავს. სუფრის ყურძენი დებულობა გამოყენებულ იქნას ორდინალური ტიპის ღვინოების დასამზადებლად. ზრდის კონუსი დია – მოწითალოა. ერთწლიანი რქა მრგვალია და საშუალო სიმსხისა. იგი მოწითალო-ყავისფერია. ფოთლი საშუალო სიდიდისაა, ოვალური, საშუალოა, ფოთლის ქვედა მხარის შეზღუდვა ქმნისურია.

ყვავილები ორსქესიანია. მარცვლი დია მწვანეა, საკმაოდ მსხვილი და მომრგვალო, იგი სქელკანიანია. საკმაოდ ხორციანი, იკრიფება ოქტომბრის მეორე დეკადაში. შაქრიანობა აღწევს 21%.

ნიშნური

თეთრყურძინი ვაზის ჯიშია. ჩეჭიფეში მეგრული სიტყვაა და ნიშნავს „თეთრწიფეს“. ენაიდან ის სხვა ადგილობრივ ჯიშებთან შედარებით უფრო მომცრო ნაზი აგებულების მარცვლებს იხსოვრება. ახალგაზრდა ყლორტი დია მწვანეა. შემოსული რქა საშუალო ან საშუალოზე წვრილია, მუქი ყავისფერი. ფოთლი საშუალო ზომისაა. მოყვანილობით მრგვალი, ფოთლის ქვედა მხარე ქმნისებრ დაფარულია მონაცრისფერი ბუხუსებით. ყვავილი ორსქესიანია, მტკვანი ცილინდრული კონუსისებურია, საშუალო სიკუმის მარცვლი დია ქარვისფერია. იკრიფება ოქტომბრის მეორე დეკადაში. შაქრიანობა აღწევს 17%. სიკოვანი ავადმყოფობათა მიმართ ჩეჭიფეში სუსტ გამძლეობას იხსენს. ჩეჭიფეში საღვინე ჯიშია, მაგრამ მისი პროდუქცია წარმატებით შეიძლება გამოყენებულ იქნას სუფრის ყურძინად.

ნიხარდანი

თეთრყურძინი სახარდანე ვაზის ჯიშია. ხარობს მთელ კოლხეთში. ხასიათდება ძლიერი ზრდით. ყლორტს მომწვანო-მოყვითალო ფერი გადაჰკრავს. მტკვანი საკმაოდ დიდი ზომისაა, კონუსური ფორმისაა. სიმწიფეში დებულობა ქარვისფერს, რომელიც სასიამოვნო გემოთი და სურნელებით გამოირჩევა. ღვინო კარგი ხარისხისაა. იკრიფება ოქტომბრის მეორე დეკადაში. შაქრიანობა 21% აღწევს.

პიტილიური

თეთრყურძინი ვაზის ჯიშია. ახალგაზრდა ყლორტი დია მწვანეა, მოწითალო-ღვინისფერი ზოლები გადაჰკრავს. შემოსული რქა მოწითალო ფერისაა. ვაზზე დატოვებული ჭეჭიფეების ყურძენი საკმაოდ დიდხანს ინახება და არ აღებდა. იგი გემური თვისებებით საქართველოს ხარისხოვან ვაზის საღვინე ჯიშთა ჯგუფს მიეკუთვნება. იკრიფება ოქტომბრის მეორე დეკადაში. შაქრიანობა 22% აღწევს.

პილი

წითელყურძინი ვაზის ჯიშია. ახალგაზრდა ყლორტი რუხი მოწითალო ფერისაა. გამოირჩევა მოკლე მუხლთშორისებით. ფოთლი საშუალოა, კონუსური-ცილინდრულია, მენხერი დატოვებით, რომელზედაც მენხერად ახსია, მარცვლის მომწიფების დროს მტკვანს ნაცრისფერი ფიჭვი ვარავს. რომელიც მხოლოდ ამ ჯიშში ვახსივსება დამახასიათებელი. იკრიფება ოქტომბრის მესამე დეკადაში. შაქრიანობა 22% აღწევს. ამ ყურძენის ღვინე იმდენად მაღალი ხარისხისაა, რომ „სახელაშენს“ ეძახიან.

პუშკური

თეთრყურძინი ვაზის ჯიშია. ყლორტი რუხი მოწითალო ფერისაა. აქვს პატარა ზომის ძლიერ დანაკეთული ფოთლი. მარცვლი წვრილია სიმწიფეში დაკრავს რუხი ღვინისფერი. იკრიფება ოქტომბრის მეორე დეკადაში. შაქრიანობა 21%

აღწევს. ღვინო დეგო კარგი დამახასიათებელი გემოთი და ბუკებით.

ხოჯაიშვილი

წითელყურძინი ვაზის ჯიშია. ყლორტს მოწითალო ფერი გადაჰკრავს, ძლიერი ზრდით ფოთლი საშუალოა, სქელი ფართოდ დაკბილული, რომლის ქვედა მხარე დაფარულია ბუხუსებით. მტკვანი გრძელი (20 სმ) კონუსური ფორმისაა, მარცვლი სქელკანიანია, გამოყენება როგორც სასუფრე ჯიშია, აყენებენ ღვინოსაც, იკრიფება ოქტომბრის მეორე დეკადაში, შაქრიანობა 16% აღწევს.

ოჯალეში

ჩვენთან გავრცელებულ ვაზის ჯიშებს შორის ოჯალეშს თვალსაჩინო ადგილი უკავია.

წითელყურძინი ვაზის ჯიშია. ჩეჭიფეში მეგრული სიტყვაა და ნიშნავს „თეთრწიფეს“. ენაიდან ის სხვა ადგილობრივ ჯიშებთან შედარებით უფრო მომცრო ნაზი აგებულების მარცვლებს იხსოვრება. ახალგაზრდა ყლორტი დია მწვანეა. შემოსული რქა საშუალო ან საშუალოზე წვრილია, მუქი ყავისფერი. ფოთლი საშუალო ზომისაა. მოყვანილობით მრგვალი, ფოთლის ქვედა მხარე ქმნისებრ დაფარულია მონაცრისფერი ბუხუსებით. ყვავილი ორსქესიანია, მტკვანი ცილინდრული კონუსისებურია, საშუალო სიკუმის მარცვლი დია ქარვისფერია. იკრიფება ოქტომბრის მეორე დეკადაში. შაქრიანობა აღწევს 17%.

სიკოვანი ავადმყოფობათა მიმართ ჩეჭიფეში სუსტ გამძლეობას იხსენს. ჩეჭიფეში საღვინე ჯიშია, მაგრამ მისი პროდუქცია წარმატებით შეიძლება გამოყენებულ იქნას სუფრის ყურძინად.

წითელია, რომ ვაზის ფორმირების ერთ-ერთ საფუძველს სპეციფიკური ნიშნები წარმოადგენს. (ზრდის სიძლიერე, სიმადლეე ან სიგამტეე განვითარების მდგრადი ქვეყნები). ჩვენი აზრით, „ოჯალეში“-სათვის ამ სახელის მიკუთვნება თვით ამ ჯიშის სპეციფიკიდან უნდა გამოიმდინარებოდეს. ოჯალეში ნაწარმოები უნდა იყოს მეგრული სიტყვა „ბუა“-საგან, რაც მგზ ნიშნავს. აქედან „ობუალეში“ სამხურთ, მზარე ადგილს ამ სიტყვის დამახინჯების შედეგად თითქოსდა წარმოიშვა „ოჯალეში“. ასეთივე შესხედულებას იხიარებს კ. ა. ბორხინი (1885 წ.), რაც სწორად არ მიგვაჩნია („ობუალეში“). ეს უფრო ადგილმდებარეობის გამოშაბტველი სახელია, ვიდრე ვაზის ჯიშის „ობუალეში“.

ამას დასტურებს ისიც, რომ მარტვილის რაიონში კალამუნას მთის ფერდობზე არის ადგილი „ობუალეშის“ სახელწოდებით. ალბათ აქ ადრე გაშენებული იყო ვაზი და კერძოდ, ოჯალეში.

აღსანიშნავია ოჯალეშის მეორე ხინონიმი „შინური“, რაც სვანურს ნიშნავს. თანახმად ძველი მევენახე მარკო სურმაგას ნაამბობისა, იგი გამოირჩევა ოჯალეშის ღვინის ხარისხით, რადგან ოჯალეშისაგან მიღებული ღვინო ხასიათდება მაღალი ალკოჰოლით. ე. ი. სიმძვრით. ამას კი მეგრული მოსახლეობა თითქოსდა სვანის ძალად ადარებდა და აქედან წარმოიშვა ოჯალეშის ხინონიმი „შინური“, რაც საუკვოდ მიგვაჩნია. იმანე ჯავახიშვილს 1934 წელს ჩამოთვლილი აქვს მეგრული ვაზის ჯიშები, მათ შორის „შინური“.

ქვემო სვანეთში ვხვდებით ვაზს, მაგრამ ისინი აბორიგენული არ არის (იხაბება). ჩვენი აზრით, ამ ჯიშისათვის „შინურის“ დარქმევა რომ იყო ნიშანი სვანეთის ცხოვრების სამეგრელოს მთისპირა ზონაში ძველ დროში, რასაც ადასტურებს რომაელი მწიფე პლინიუსი. იგი აღნიშნავს, რომ „კავკასიონის ქედებიდან სვანების მიწა-წყალზე ჩამოდის მდინარე სობო“. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ „შინურს“ თავისი ისტორია აქვს და ოჯალეშისაგან განსხვავებულია.

წითელყურძინი ვაზის ჯიშია. ახალგაზრდა ყლორტი რუხი მოწითალო ფერისაა. გამოირჩევა მოკლე მუხლთშორისებით. ფოთლი საშუალოა, კონუსური-ცილინდრულია, მენხერი დატოვებით, რომელზედაც მენხერად ახსია, მარცვლის მომწიფების დროს მტკვანს ნაცრისფერი ფიჭვი ვარავს. რომელიც მხოლოდ ამ ჯიშში ვახსივსება დამახასიათებელი. იკრიფება ოქტომბრის მესამე დეკადაში. შაქრიანობა 22% აღწევს. ამ ყურძენის ღვინე იმდენად მაღალი ხარისხისაა, რომ „სახელაშენს“ ეძახიან.

წითელყურძინი ვაზის ჯიშია. ახალგაზრდა ყლორტი მომწვანო-მოწითალო ფერისაა. მუხლთშორისები საკმაოდ დაშორებულია, ფოთლი საშუალოა, დიდი და სქელია, ფოთლის კიდეები დაკბილულია.

წითელყურძინი ვაზის ჯიშია. ახალგაზრდა ყლორტი მომწვანო-მოწითალო ფერისაა. მუხლთშორისები საკმაოდ დაშორებულია, ფოთლი საშუალოა, დიდი და სქელია, ფოთლის კიდეები დაკბილულია.

წითელყურძინი ვაზის ჯიშია. ახალგაზრდა ყლორტი მომწვანო-მოწითალო ფერისაა. მუხლთშორისები საკმაოდ დაშორებულია, ფოთლი საშუალოა, დიდი და სქელია, ფოთლის კიდეები დაკბილულია.

ამის დაბრუნების, ან დაბრუნების უფლება არც რუსსა აქვს და არც ქართველს!

(ნაწევრები ვასილ ველიცკოს წიგნიდან "კავკასია")

1904 წელს, ამ წიგნის ავტორის ვასილ ველიცკოს გარდაცვალების შემდეგ, მისი მოსწავლეების მიერ „კავკასიის“ წიგნად გამოცემა ძალზე ააფორიქა მთელი პლანეტის სომხური მოსახლეობა. ინგლისში მცხოვრებმა სომეხმა დიდგვარმა გულბეგიანმა იმ დროისათვის ზღაპრული თანხა – ხუთი მილიონი ფუნტი სტერლინგი (დღევანდელი კურსით, დაახლოებით სამასი მილიონი დოლარი) – გადაიხადა, რათა ამ წიგნის მთელი ტირაჟი გაყიდულიყო ამოღებულ და გაუნადგურებინათ, მაგრამ, როგორც ხედავთ, ვერაფერს გახდა. თუმცა, სომეხებმა ნაწილობრივ მაინც მიაღწიეს საწადელს, რადგან წინამდებარე წიგნი გახლავთ ვასილ ველიცკოს მილიონი ნაშრომის პირველი ტომი, მეორე ტომი კი, საერთოდ აღარ გამოშვალა და, ჩვენი დიდი ძიებების მიუხედავად, მაინც ვერ მოვახერხეთ მისი პოვნა. როგორც ჩანს, ამ ტომის ხელში ჩაგდება და განადგურება გარკვეული საზღაურის ფასად მაინც მოახერხეს სომეხებმა.



დრო უნდა "განვაახლოთ".

17. რუსი ადამიანები კავკასიაში

რუსული სახალხო-სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით ძალზე მნიშვნელოვანი საკითხია ის, თუ როგორ ცხოვრობს იმპერიის განაპირა მხარეებში **რუსი ხალხი** და როგორ აკეთებს იგი **რუსულ საქმეს**. ამ წიგნის წინა თავებში მოყვანილი მასალის საფუძველზე თუ ვიმსჯელებთ, ამ მხრივ საზრუნველი არაფერი გვაქვს. მაგრამ, განა შეიძლება, რომ კავკასიის მიჯნაზე რუსი ხალხის შედარებით ცუდად გაწყვილით საშუალო მთლიანად ამ ხალხს რომ გადავაბრალდოთ! არავითარ შემთხვევაში! ამ საკითხზე საფუძვლიანად მსჯელობისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ადგილობრივი ბუნებრივი პირობები, კავკასიის მკვიდრი ხასიათი, რომლებიც 50-ჯერ უფრო მეტი არიან, ვიდრე რუსები კავკასიაში, და ისტორიული პირობები, რაც მოიცავს ჩვენს პოლიტიკასაც კავკასიასთან მიმართებაში.

სხვ თუ გადავრგავთ მისთვის აქამდე უცხო ნიადაგში, თუ მას ჩავეყენებთ მისთვის აბსოლუტურად უცხო ბუნებრივ პირობებში, იგი დაიდუგება, ან, თუ ახალ პირობებს შევეუბნა, აუცილებლად **გადაჯიშდება**, რაც აისახება მის იერზე და ნაყოფზე. ოდნავი ეჭვის შეტანაც კი არ შეიძლება იმაში, რომ შესაბამისი ცვლილება მოხდება ადამიანშიც, როგორც ფსიქო-ფიზიკურ არსებაში. ეს მით უმეტეს გარდაუვალია მაშინ, როცა ახალ ბუნებრივ პირობებში მას მჭიდრო ურთიერთობის დამყარება უწევს სულ სხვა სულიერი და ფიზიკური მონაცემების მქონე ადამიანებთან. ინდოეთის მცოდნე მოგზაურები, რომლებიც წლობით აკვირდებიან ინგლისელთა ცხოვრებას, ერთპირად ამტკიცებენ, რომ თვით რკინისბურთი ანგლო-საქსური რასის წარმომადგენლებიც კი, მიუხედავად თავიანთი ამპარტაუნული დამოკიდებულებისა ადგილობრივი მოსახლეობისადმი და მათ მიმართ შედარებითი გაუცხოებისა, რამდენიმე წლის განმავლობაში მკვეთრად იცვლებიან საკვების, კლიმატის, მალარიის და სხვა ფაქტორების გავლენით. ხდება **ცვლილება გაურესებისკენ**, რადგან ეროვნულ-ტომობრივი ხასიათის მატარებელი დადებითი შტრისები ნაწილობრივ კვდომას განიცდიან, ნაწილობრივ კი მახინჯდებიან, ხოლო ნაწილობრივ მათ გამოაძევენ ხოლმე ადგილობრივ მკვიდრთა ნიშან-თვისებები. არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ ინდოეთში მცხოვრები ინგლისელები – თანამედრობის პირები და ვაჭრები – შეიძლება ითქვას, აქ ბრწყინვალედ ცხოვრობენ, ბევრად უფრო უკეთესად, ვიდრე რუსები ცხოვრობენ კავკასიაში. ამის მიუხედავად, ისინი იცვლებიან უარესობისაკენ, რის გამოც ინგლისის მთავრობის თავის ქვეშემდგომ მოქალაქეებს ინდოეთში დიდ ხნით ყოფნის საშუალებას არ აძლევს და თვით ყველაზე ჭკვიანი, ყველაზე სასარგებლო მოღვაწეებიც კი ხუთი-ექვსი წლის სამსახურის შემდეგ სამშობლოში ბრუნდებიან ხოლმე. ჩვენ, ერთის მხრივ, შორს ვართ ამგვარი კულტურულ-სახელმწიფოებრივი შეხედულებებისგან, მეორეს მხრივ კი, იძულებული ვართ მოვიქცეთ სხვანაირად, ვინაიდან კავკასია არ გახლავთ კოლონია და იგი მხოლოდ სახელმწიფოს განაპირა ნაწილია: კავშირი რომა რ გაწყდეს, **იქ აუცილებელია მოხდეს ყოველივე რუსულის მყარად ჩადგობა**, მოსამსახურე კლასი კი დროდა-

18. კახაკები

კავკასიის მოწინავე ტალღად ითვლებიან კახაკები – ჯერ თერგის, მოგვიანებით კი – ყუბანელები. მათ რკინის დობე აღმართეს მთიელთა თავდასხმებისაგან მაშინდელი სამხრეთ რუსეთის სასაზღვრო ტერიტორიების დასაცავად, თუმცა, მნიშვნელოვანწილად, სახიერებითა და სულიერი წყობით, დაემსგავსნენ თავიანთ მოწინააღმდეგეებს, რომელთაც, ყველაფერთან ერთად, დაუნათესავდნენ კიდევ. ამ უკანასკნელმა გარემოებამ, განსაკუთრებით იმის ფონზე, რომ მე-19 ასწლეულში მკვეთრად შეიცვალა ცხოვრების ფორმა და პირობები, არასასიკეთო კვალი დაატოო კახაკობას.

იგი უდავოდ წარმოადგენს შენანიშნავ საომარ ძალას – ტყუილად არ არის ხელმწიფი-იმპერატორის დაცვა კახაკებისაგან დამოკიდებულებით. მაგრამ, კულტურულ-ეკონომიკური თვალსაზრისით, კავკასიელი კახაკები აშკარად ჩამორჩებიან. მათი სოფლის მეურნეობა, სერიოზული აგრონომიული თვალსაზრისიდან გამომდინარე, აშკარად მტაცებელია. დაეუშვათ, სტეპები თვალწინდელია და შემოქანთადაც იანი ზოლიც უსასრულოა, მაგრამ, განა შეიძლება არ ვიფიქროთ მომავალზე? შუაგული რუსეთის ასიათასობით მოსახლე აწყდება თერგისა და ყუბანის ტერიტორიებს, რომლებიც გვევლინებიან არენდატორებად, ვაჭრებად და – მათი აბსოლუტური უმრავლესობა – სოფლის მეურნეობის მუშაკებად; კახაკებსა და მათ შორის ჩამოყალიბებულ ურთიერთობებს კარგს ვერ უწოდებ: ყოველი შემთხვევისათვის, ორივე მხარე ერთმანეთით უკმაყოფილოა.

სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში კახაკებს აშკარად არ ჰყოფნით სრული თვითგამორკვევის საშუალებები, მეორეს მხრივ კი, მათ ინტინქტურად აფრთხობთ რუსული სახალხო ტალღის ამგვარი შემოტევა, რაც ნირს უცვლის ცხოვრებას.

კახაკებს ქანცს აცლის მუდმივად მზარდი ოფიციალური მიმოქვარა როგორც სამხედრო, ასევე სხვა დაწესებულებებთან, რაც მნიშვნელოვნად ურთულებს მათ ცხოვრებას. კახაკთა აბსოლუტურ უმრავლესობას, თვით განათლებულულებსაც კი, არად ეპიტნავენ მზარდი წყობითი სამუშაოები, მაგრამ, თვით სხვადასხვა სამხედრო დაწესებულებებშიც კი დიდ ძალას წარმოადგენენ "მწერალი" კახაკები, რომლებიც "ჩერკესიანი" ბიუროკრატის განსა-

კუთრებულ ტიპს წარმოადგენენ, საბოლოო ჯამში, არც მთლად სიმპათიურს. როცა რომელიმე საქმე ცნობილია ადამიანთა შეზღუდულ წრისათვის და, ამდენად, მასზე საზოგადოებრივ კრიტიკას ხელი არ მიუწვდება, მაშინ მასში ვითარდება განსაკუთრებული სახის "ქურუმობა", აქედან გამომდინარე ყველა უარყოფითი შედეგით, სამართლიანობისა და მოსახლეობის ინტერესების საზიანოდ. ამგვარი ნიშნები შეიმჩნევა ზოგიერთი ადგილობრივი ადმინისტრაციული ინსტანციების მუშაობაში.

ჩრდილოეთ კავკასიის კახაკობა საერთოდ აღმოჩნდა იმ პირობებში, რომელიც არ პასუხობდა მის პირველდაწყებით დაწინაურებას და ამიტომაც ვერ შეეგუა მას. ერთის მხრივ, რუსეთის საზღვარმა მნიშვნელოვნად გადაინაცვლა წინ იმ ადგილებიდან, სადაც საზღვრად კახაკური სტანიცები იდგა. საზღვარგარეთელი მტერი, რომლის დარბევითაც შეიძლებოდა ქონებისა და სახელის მოხვეჭა, ახლა უკვე ახლოს აღარ იყო. მეორეს მხრივ, მიუხედავად ამისა, კახაკობის ადგილობრივი საომარი ამოცანა არ შეიძლება ჩაითვალოს ყავლ-გასულად, და მისი საკითხი ამოწურული არ არის, რადგან მთიელი მოსახლეობა მშვიდობიანი ცხოვრებისადმი არასტაბილური დამოკიდებულებით გამოირჩევა და შედარებითი სიმშვიდის დამყარება აქ მხოლოდ ძალის დემონსტრირებითაა შესაძლებელი. ადგილობრივი პირობებთან შედარებით მორგებულია კახაკთა ნაწილების ფუნქციონირება, რომლებმაც აითვისეს ადგილობრივი მოსახლეობის წესები და ბრძოლის მეთოდები. დამატებით, არ შეიძლება შეუმჩნეველი დავგრძელოთ ის გარემოება, რომ მათ მათე და დამანერგველი "ნახევრადცივილიზაციის" შედეგად ჩრდილოეთ კავკასიის მკვიდრი მოსახლეობა (და მთელი კავკასიის მოსახლეობაც) თანდათან ჰკარგავს ისეთ თავის ძირძველ კეთილშობილურ თვისებებს, როგორიცაა მაღალი სულიერება და წესიერება მკვებრობისადმი დამოკიდებულებაში, არ ეძებს კეთილმოქმედ ადამიანებს და, უბრალოდ რომ ვთქვათ, ზნეობრივად იხრწნება. ის, რაც ადრე თავისუფლებისათვის ბრძოლად ითვლებოდა, **ახლა უფრო სწორად დანაშაულის სახეს იძენს, რომელიც თავაშეგებული ინსტინქტით არის განპირობებული.**

ყოველივე ეს ღრმავდება ეკონომიკური პირობების გაუარესებით – და შეიძლება ითქვას, რომ ყოველივე ამას სახელმწიფოსათვის საშიში ფორმების მიღებაც კი შეუძლია. საქმეს ისიც ართულებს, რომ მაწანწალის სენით ავადდება რუსი ხალხის მასაც, და ისიც, რომ, მეორეს მხრივ, ცირკულარების ქსელითა და რთული კანონებით შეპორობილი კახაკთა ვეღარ ახერხებს თავისი ნაციონალური ამოცანის შესრულებას.

მაგალითად, თუ სტანიცელი კახაკების რაზმი სიმშვიდისა და წესრიგის შენარჩუნებაზე ოდესღაც ნაცად ხერხს გამოიყენებს, ე.ი. ჩვენების ან ინგუშების ქურდულ ბუდეს დაარბევს, აქედან გამომავალი დიდი სისხლის სამართლის საქმე, ხოლო ადგი-

ლობრივი სომხურ-ებრაელურ-ნიჰილისტური პრესა, დაახლოებით ისეთი, როგორიცაა "ჩრდილოეთ კავკასია" და სხვანი, უსაშველოდ აყაენდებიან. ჩვენები და ინგუშები ჯერ კიდევ არ გამოსულან იმ პერიოდთან, რომ ჩათვალონ სისხლიანი ადმინისტრაციული რეაგირება მათთვის სასარგებლო ქმედებად. ამდენად, მათი შიში კახაკთა მიმართ, ალბათ, ზემოქმედების უფრო სასარგებლო ფორმა იქნებოდა. მხარეში გახსნილია ის დაწესებულებები, რომელიც ინგლისს ამ საფრანგეთს უფრო დაამშვენებდა. მოხდება მკვლელობა, რიგი მკვლელობებისა, მარცვა, საქონლის წართმევა და ა.შ. – თქვენ კი, მაპატიეთ, მაგრამ სასამართლოს უნდა მიმართოთ, სადაც, საქმე უეჭველად გექნებათ ცრუ მოწმესთან, რომელიც გაამართლებს დამნაშავეს, რაც, საბოლოო ჯამში, მომწივანს ახალი უსიამოვნებების მეტს არაფერს მოუტანს.

თავიანთ საქმესთან ახლოს დგანან ის კახაკები, რომლებიც თურქეთისა და სპარსეთის საზღვრებთან მსახურობენ; ისინი ისეთ ადგილებში დგანან, სადაც, ადამიანს თვლით არ მიუწვდება – არაქსის ისლიან ნაპირებთან, ართვინის მთიანეთში – და ყველაგან წარმოადგენენ მრისხანე რუსულ ძალას. სასაზღვრო ზოლზე ყველაგან რომ კახაკთა სტანიცები იდგეს და არა დროებითი პოსტები, ახლა კავკასიაში სულ სხვა სურათი გვექნებოდა. მაგალითად, ათეულ ათასობით თურქეთის სომეხი, რომელიც მხარის ჭკმშია რუბედურებას წარმოადგენენ, ვერ გადმოლახავდა საზღვარს.

ასეა თუ ისე, რა უარყოფითი თვისებაც არ უნდა გააჩნდეთ კახაკებს და მათ დღევანდელ ყოფას, **იგი მაინც წარმოადგენს დადებით რუსულ ძალას მხარეში და მისი შესაძლებლობები ჯერ ამოწურული არ არის** ახლო მომავალში მოსალოდნელი უსიამოვნებების გამო.

19. კავკასიის სახელოვანი არმია
შენ, დევგმირების დიდო ოჯახო, მოკითხვას გითვლის მთელი რუსეთი, სტეპებიც, მთებიც, დათოვლილები, თვალწინდელი ზღვათა ტალღა ყოჩაღი. ყოჩაღ შენ, დიდი გმირობის ნაცვლად, ჯილდოს არ ითხოვ არავისაგან, კვალს სტოვებ ძველი საზღვრებისაგან, სიმართლეს იმი სიცოცხლის ფასად. სისხლში მყარად გაქვს გამჯდარი წლობით, ტანჯვა-წამების ატანის ნება, შენი წინაპარ გმირთა დიდება, მძინვარებით და ომით ნაშობი. შენ შორს მიგქონდა ჩაუქრობელი, ცოდნის, შრომის და ომის ღამპარი, ვეღარ გიძლებთა მტერთა საზღვარი, არ დაგიშვია ხმლიანი ხელი. მიწა აფასებს შენს მძიმე შრომას როცა მშვიდობის თანს ასწევ მადლა, განიხვენებან მყისვე საზღვრები, ყველა შეგაბახებს "ალავერდი მას!"



დავით დადიანისა და ეკატერინე ჭავჭავაძის მოღვაწეობა სამეგრელოში

დადიანთა საგვარეულო გენეალოგია, ფართო განხილვის საკითხს წარმოადგენს. მათი მოღვაწეობა და სამეგრელოს მთავრად ყოფნის პერიოდი, იმდროინდელი ეპოქის შეხებასა და, რა თქმა უნდა, ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს მკვლევართათვის. დადიანთა მოღვაწეობა სამეგრელოს მთავრის პოსტზე არაერთ ავტორს აქვს დამუშავებული და გამოქვეყნებული.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია, მოკლედ მიმოვიხილოთ სამეგრელოს დედოფლის, „წინანდლის ვარდის“ – ეკატერინე ჭავჭავაძისა და სამეგრელოს მთავრის დავით დადიანის მოღვაწეობა სამეგრელოში.

სამეგრელო, საქართველოს ერთ-ერთი უღამაზესი მხარე, დადიანებს სამოღვაწეოდ შემთხვევით არ აურჩევიათ. ზუგდიდი-სალხინო-გორდის, აი, მათი ძირითადი მოღვაწეობის ადგილსამყოფელი. სათანადო წყაროებიდან არის ცნობილი ის, რომ გორდის სამეგრელოს სამთავროს შემადგენლობაში შედიოდა.

როგორც ისტორიული და სხვა წყაროები გვაძეგნობენ, დავით ლევანის ძე დადიანი დაიბადა 1813 წლის 26 იანვარს. ეს განსაკუთრებული მნიშვნელობის თარიღია საქართველოს ისტორიაში, რომელიც სრულიად საქართველოს მეფეთ-მეფის – დავით აღმაშენებლის სსონის დღეა.

დადიანებისა და მიურატების ურთიერთნათესაობის შესახებ თავიანთი გამოკვლევები აქვთ მოუღო რეკავტორებს – მწერალსა და პროფესორს სერგი ჭილაიას, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ მაშანტი პაპკორიას, ცნობილ მკვლევარსა და მუსიკოს-მეცნიერს ავთანდილ ფაილოძეს, ასევე, ცნობილ ეთნოგრაფსა და ისტორიკოსს პროფესორ სერგი მაკალათიასა და სხვებს.

დავით დადიანი, როგორც მკვლევარი ავთანდილ ფაილოძე აღნიშნავს, „იმ დროის კვალობაზე განათლებული, ნაკითხი და ნახიანი კაცი იყო, რომელიც გამორჩეულად მტკიცე ხასიათით და ნათელი გონებით“ აქვე ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ თავისი მმართველობის პერიოდში, მთავარმა დავით დადიანმა აქცენტი აიღო განათ-

ლების სრულყოფაზე. მან, როგორც დიდმა ორგანიზატორმა და რეფორმატორმა, ქვეყნის შინაური მართვის პროცესში შეუძღვებელი შესძლო, როგორც დამოუკიდებელმა მმართველმა, რომელიც, ზოგი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწეებით, არ იყო მართონეტი, სხვისი ნება-სურვილის შემსრულებელი.

მთავარმა დავით დადიანმა, როგორც ავთანდილ ფაილოძე აღნიშნავს, „ლათინურიდან პირველმა თარგმნა ტაციტის „ისტორია“, დაიწყო „ჟეოგრაფიკოსის“ რუსულად თარგმნა, რომელიც შემდეგ რუსმა პოეტმა ბარატინსკიმ გააგრძელა“. დავით დადიანის მაღალ ინტელექტსა და განათლებას მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ მას ძალზე ახლო ურთიერთობა ჰქონდა ისეთ გამოჩენილ მოღვაწეებთან, როგორებიც იყვნენ: ცნობილი ენათმეცნიერი, ქართველოლოგი და ქართული კულტურის უდიდესი მკვლევარი მარი ბროსე, პლატონ იოსელიანი, დიმიტრი ყიფიანი, მეფისნაცვალ ვორონცოვი და სხვები, რაზედაც ნათლად დადასტურებს ის მიმოწერები, რომელიც, როგორც მკვლევარი ავტორი ფაილოძე აღნიშნავს „დაცულია გორდისა“.

დავით დადიანს, როგორც ახალგაზრდა მმართველს, ჰყავდა მრჩეველთა ისეთი ინსტიტუტი, რომელთაც წარმატებით განახორციელებს ის რეფორმები, რომელიც მან დაიწყო. აი, ის გამოჩენილი მოღვაწეები: ქართული რომანტიზმის მამამთავარი ალექსანდრე ჭავჭავაძე, რუსი მოღვაწე ვასილ ბუბუთოვი, ბარონი ნიკოლაი, გიორგი და იოვანე მუხრანბატონები.

როგორც სხვადასხვა ისტორიული წყაროები მიუთითებენ, დავითმა სამთავროსა მაზრად დაიწყო. თუკი მკვლევარ ავთანდილ ფაილოძეს დავესხვებით, გორდის და შორიხლო სოფლები მარტვილის მაზრაში შედიოდა. „მაზრის უფროსი ჯერ ანტონ ახელდებიან, შემდეგ კი მაქსიმე ქიჩაკი იყვნენ“.

სამეგრელოს მთავრის დავით დადიანის ცხოვრება ძალზე ტრაგიკული იყო. 1853 წლის 30 აგვისტოს, მთავარი გორდში გარდაიცვალა. ასეთია მოკლე, დავით დადი-

ანის, როგორც სამეგრელოს მთავრის მოღვაწეობა.

რამდენიმე სიტყვით გვინდა შევეხოთ დედოფალ ეკატერინეს. „წინანდლის ვარდის“ მოღვაწეობას. იგი დაიბადა 1816 წლის 19 მარტს. მამამისი ალექსანდრე გარსევანის ძე ჭავჭავაძე ბრძანდებოდა პოეტი-რომანტიკოსი, რუსეთის არმიის გენერალი, ხოლო მამა-მეცნიერს „დედა სალომე მომხიბლავი გარეგნობის, დიდი განათლებისა და ენების მცოდნე სათნო ბანოვანი იყო“. მატერიალურად შეძლებულმა ოჯახმა შეძლო ის, რომ შეიღებოთ ევროპული ტიპის ყაიდაზე იქნენ აღზრდილი.

ალექსანდრე ჭავჭავაძის უფროსი ქალიშვილი ნინო იყო მეუღლე ცნობილი რუსი მწერლისა და დიპლომატის ალექსანდრე გრიბოედოვისა.

1829 წელს, თეიარას ელნად მივლინებული გრიბოედოვი, კი არ მოკლეს, არამედ დაკლეს. ნინო დაქვრივდა.

დავით ჭავჭავაძეს, ალექსანდრე ჭავჭავაძის ვაჟს, ძალზე უყვარდა ზუგდიდსა და გორდში დასთან და სიძესთან სტუმრობა. მას ცოლად ჰყავდა ერეკლე მეორის შვილიშვილი ანნა ბაგრატიონი. დავითი კი, რუსეთის არმიის გენერალი და დიდი მემამულე გახლდათ; ხოლო ჭავჭავაძეთა უმცროსი ასულის – სოფიის მეუღლე გახლდათ რუსი მოხელე ბარონი ნიკოლაი.

დედოფალ ეკატერინეს ჰყავდა ურიცხვი თაყვანისმცემელი, მაგრამ მან არჩევანი დავით დადიანზე შეაჩერა. 1839 წლის 18 მაისს, შედგა მათი ქორწინება. ეკატერინე დედოფალს მიხნდა არასოდეს დაუსახავს სამეგრელოს ადმინისტრაციულ საქმეებში ჩარევა, სამაგეროდ მის პერეოვატივში შედიოდა კულტურული ღონისძიებებისა და აღმშენებლობის წარმართვა.

„წინანდლის ვარდი“, თავადის ჭავჭავაძის ასული ეკატერინე, როგორც დედა, გაუბედურებული ადამიანი იყო, რომელსაც ხუთი შვილი ნაადრევად დაეღუპა. 1882 წლის 13 აგვისტოს, სამეგრელოს უკანასკნელი დედოფალი გარდაიცვალა.

მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის საგამოფენო დარბაზს ამშვენებს მთა-

ვარ დავით დადიანის, პოეტისა და გენერლის ალექსანდრე ჭავჭავაძის, ნინო და ეკატერინე ჭავჭავაძეების, რუსი პოეტისა და დიპლომატის ალექსანდრე გრიბოედოვის, სალომე და აშელ მიურატების ფოტოსურათები, აგრეთვე დადიანთა საგვარეულო გერბი. მუზეუმში დაცულია დადიანების უნიკალური ხელნაწერი მასალები და სხვ.

მუზეუმთან მიმართებაში ცალკე უნდა შევეხოთ, მატერიალური კულტურის ძეგლებს, რომლებიც სასურველია აყვანილ იქნას აღრიცხვაზე. მეცნიერმა ვარლამ ართილაყვამ საფუძვლიანად შეისწავლა მე-15-18 საუკუნეების „ქართული მატერიალური კულტურის ისტორია“, სადაც საზგასმით არის აღნიშნული „საკურცხალ“-ი, საუფროსო სკამები, რომელიც ჩვენს მუზეუმშია.

თავისი უნიკალური მნიშვნელობით დამთავალიერებელთა ყურადღებას იპყრობს კაკლის კარები, მე-19 საუკუნისა, რომელიც სოფ. სალხინოს დადიანის სასახლიდან არის წარმოდგენილი, რომლის შემოქმედნი არიან ძეგლები თოდუები.

იმდროინდელი სამეგრელოს დედოფალი და მთავარი, ეკატერინე ჭავჭავაძე და დავით დადიანი სამუდამოდ მიიბარა ღვთის კურთხეულმა მარტვილის მიწამ. მათ გარდა, მარტვილის მონასტერში დამარხული არიან ლევან, ნიკო და ანდრია დადიანები.

„ქართლის ცხოვრების“ ცნობით, მარტვილის მონასტერში დაუმარხაუთ საქართველოს გამაერთიანებელი მეფე ბაგრატ IV.

ექვთიმე თაყაიშვილის ცნობით, სიამაყით უნდა აღვნიშნოთ, რომ მარტვილის ტაძრის საფლავის ქვების წარწერათა გაშიფვრა პირველად მოახდინა კიევის სასულიერო აკადემიის სტუდენტმა, მარტვილელმა მღვდელმა ანტონ ფირცხალავამ.

ამრიგად, ჩვენ ზოგადი სახით შეგვიძინებთ მთავარ დავით დადიანისა და დედოფალ ეკატერინე ჭავჭავაძის მოღვაწეობა წარმოგვედგინა მკითხველისათვის.

ამბროს ფაილოძე
მეცნიერ-მუშაკი

წარმოგიდგენთ მეცნიერ-მუშაკ პეტრე კირთაძის წერილებს სამეგრელოში კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის მიმდინარეობის თაობაზე

ცოდნის კვალდაკვალ

ბიბლიოთეკის განვითარება თან სდევს ადამიანთა სულიერი ცხოვრების ამაღლებულ-განვითარებას. ადამიანთა საზოგადოების ყოველდღიური აღმა თუ დაღმა სვლა აისახება წერილობით ძეგლებში, ხოლო ძეგლები თაობიდან თაობამდე აწვდიან ცნობებს კულტურულ საზოგადოებას წარსულის შესახებ. წერილობითი ცნობებს დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა შორეული წარსულიდან. ცნობილია, რომ შეუბრალებული და არც თუ დიდად კულტურული მონღოლები მეტად დიდ ფასად კრებდნენ, ძარცვავდნენ, რუდუნებით აგროვებდნენ კულტურის დასაცავს და გაძლიერებული დავით გზავნიდნენ თავიანთი სატახტო ქალაქისაკენ. ისტორიის წინსვლის კვალდაკვალ წინ მიდის და მდიდარი ხდება ბიბლიოთეკაც.

ბიბლიოთეკა ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს დაწესებულებას, სადაც თავმოყრილია წიგნები, ჟურნალები, გაზეთები, ჰყავს მკითხველი, რომელსაც ემსახურება დარბაზი, წიგნსაცავი. ბიბლიოთეკა პქვია კერძო პირების წიგნების ერთობლიობას ან წიგნების სერვის რაიმე ნიშნის მიხედვით, მაგალითად, მოსწავლის ბიბლიოთეკა, მასწავლებლის ბიბლიოთეკა და ა. შ.

ყოველ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებას გააჩნია ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკა უწინარეს ყოვლისა ყალიბდება საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში, სკოლებში, კულტურის სახლებსა და სასახლეებში, მუ-

ზეუმებში. დროთა განმავლობაში წიგნი ძველდება და ხმარებიდან გადის, ასეთ წიგნზე ვაძიებთ, ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა. რაც უფრო იშვიათია წიგნი, მით უფრო ძვირად ფასობს. ასეთი წიგნები დაცულია სამეცნიერო და იშვიათი გამოცემების წიგნსაცავებში. ეს ბუნებრივიცაა. მუზეუმის მეშვეობით ბევრი რამ საცნაური ხდება არა მარტო მუზეუმის ფონდის, არამედ ექსპონატისა და წერილობითი წყაროების მიხედვით.

როცა დაიბადა მარტვილში აზრი მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დაარსების შესახებ, თავისთავად სამეცნიერო ბიბლიოთეკის შექმნის იდეაც გაჩნდა. ცხადია, არც ერთი ცალი წიგნი არ იდო მუზეუმის პირველი ბინის თაროზე. დაიწყო მოძრაობა მუზეუმის ბიბლიოთეკის შესაქმნელად. შტატიანი და უშტატო მუზეუმები მიუძღნენ სოფლებს და უცნაურად ჰგავდნენ ისინი მეროტიკე ბერებს. უკან დაბრუნებულს ხელთ ეპყრათ წიგნები, ზოგი კარგი, ზოგი გამოუსადეგარი, ზოგი დახეულ-დაფხვრული, ზოგი ბიბლიოგრაფიულად ახალი. ბატონი გივი ყველა მათგანით „გახარებულნი“ და „მოდიმილი“, „აღტაცებულნი“ იყო. დადიანდნენ „მეროტიკენი“ და იქნებოდა სამეცნიერო ბიბლიოთეკა.

და თქვენ როგორ ფიქრობთ, ტყვილად სიარული შეგვრჩა? მუზეუმის დაარსებიდან მის ოფიციალურ გახსნამდე შეგროვდა 1200 წიგნი. ალბათ, გახსოვთ, რომ 1830

წელს მარტვილის მონასტერთან გაიხსნა უმაღლესი დაწესებითი სასწავლებელი. პირველი ბიბლიოთეკაც აქ გაიხსნა სახელმწიფოს ხარჯზე. როცა ეს სასწავლებელი ქალ-ვაჟთა გიმნაზიად გადაკეთდა, მისი ბიბლიოთეკა მეკვიდრებოდათ ერგო გიმნაზიას.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ბიბლიოთეკა განათლების განყოფილების პედაგოგებთან გადაეცა საქართველოს უფლებით. ეს ბიბლიოთეკა უნიკალურია თავისი უძველესი გამოცემებით. დავასახელოთ რამდენიმე:

1. Энциклопедический словарь, асტომეული რუსულ ენაზე. ტ. 1-80, 1890-1904 წ.წ.
2. Пушкин – полное собрание сочинения, 1869 г.
3. Всемирная история, 1500-1950 гг.
4. Всемирная история, 1650-1815 гг.
5. Достоевский, 25 том.
6. История Греции, 1896 г.
7. Новый энциклопедический словарь, т. 1-27. 1904 г.
8. История земли. и др.

ბიბლიოთეკაში ამჟამად 5000-ზე მეტი უნიკალური გამოცემაა, ჰარბობს ძველი გამოცემები, რაც კიდევ უფრო ზრდის მოთხოვნილებას მათზე. უკანასკნელ 10 წელიწადში ბიბლიოთეკით ისარგებლა 15-მდე მეცნიერებათა კანდიდატისა და დოქტორობის მაძიებელმა მეცნიერ-მუშაკმა.

მუზეუმის სამეცნიერო ბიბლიოთეკის გამგეა ბიბლიოგრაფი ნელი ოდიშარია.

მოგონების ერთი ფურცელი

1969 წლის ზაფხულში კურორტ ლეზარდეს ეწვია დიდი ქართველი მეცნიერი, აკადემიკოსი აკაკი შანიძე.

ერთი შეხვედრით, დასასვენებლად მოზრძანებული მოხუცი სწავლული დრმა სამეცნიერო მუშაობაში ჩაება.

ადგილობრივი რაიონული გაზეთის რედაქტორმა ქალბატონმა ლუდმილა მოწერულამ მიხმო, ბაგეზე მარჯვენა დაიღო, ეშმაკურად გამოდიმა და მოთხრა, თუ ვერ მიხვდი რაზე დაგიახებ, კაპიკია შენი ნაპურდლისტობის ფასიო.

– როდის უნდა იყო მასალა მზად? – შევაგებე პასუხად და პასუხს დაველოდე.
– თუ ამაღამ არ მოხერხდება, დილით მაინც. მაქანა უკვე მზად არის და გელოდება.
საღამო იყო, უფრო სწორად, ღამდებოდა. „ვილისის“ ძრავის მონოტონურმა ხმამ გააღვიძა მიძინებული ხევენი და ხეობები...
დავაგებინა...

თაყვანისმცემლებით გარემოცული, გარს მოსხდომოდნენ „დასასვენებლად“ ამობრძანებულ მასწავლებელს. შორიდანვე შევიცანი აკადემიკოსი სერგი ჯიქია, დოცენტი ოთარ ქაჯაია, ლილა ციცხვაია, ალექსანდრე ცანავა, ორი უცნობი და ბატონი აკაკი რადაცაზე საუბრობდა, მეც შეუფრთხილ მოსაუბრე. ბატონმა აკაკიმ კმაყოფილებით მიმოლო. ლილა ციცხვაიას წარდგენის შემდეგ დამაკვირდა და ისე ბრძანა, თითქოს მე არც მეხებოდა:

– მგონი გიცნობთ, მაგონდებით.
ქართული ენის პატრიარქი, კურორტ ლეზარდეს რომ ესტუმრა, დაინტერესებული იყო მეგრული ენის ზეპირსიტყვიერებით. „აგური ქალ-ვაჟიანის“ შემკრებ-გამომცემელი ბევრ საინტერესო აზრს გამოთქვამდა მეგრულის შესახებ. მისი აზრით, ძველისძველი მეგრული სიტყვა სწავლებოდა ტრაპიზონამდე და უფრო ღრმად მცირე აზიის ქვეყნებში. ლაზური ძლიერ გავლენას ახდენდა სხვა ენებზე. სიტყვა ჭანჯი კოლხურიდან, ანუ მეგრულ-ჭანურიდან შევიდა სომხურში და უძველეს წერილობით ძეგლებში ვხვდებით ჭანჯის სახით. ასევე შესული სომხურში ლაკოტ („ლაკეტი“) და გორტ („გორდო“). პირველი მეგრულში გამოითქმის – ლაკეი ლაკეი, მეორეში – გორდი (ბაყაყი). სომხურსავე გამოუყენებია სიტყვა ჯინჯი, რომლისგანაც სომხურში ნაწარმოებია ზმნა ჯინჯელ, რაც ნიშნავს ძირიანად ამოთხრას. დია კომპლექსი დღე ქვეულა და მივიღეთ დიაკონია, რომელიც შემდგომში ჯაკონიად მოგვეკვლინა და მსხვერპლის მნიშვნელობა აქვს. ქართული დიაკეული მეგრული ჯაკეის სახით გვაქვს. ოსორიშიდია – ოსოჯად, რაც ჭანურში დია-სახლის ნიშნავს. ამის კვალობაზე სახელი ჯოშიდედ. აქედან კი ნაწარმოებია გვარი ჯოშიდავა...

თენდებოდა...
რედაქციის სამორიგოს კარი მოვიხინჯე. უცებ გაიღო. მივიანი წამოიჭრა, დაეკლდა მუშაობის შემომხველა, დამოქანარა და რას უცდი, გვაგვიანდებოდა და... საამწიფო საამქროში მუშაობა გაჩაღდა. იმ დღის გაზეთის ნომერი პლანტაციასი რიგდებოდა.

დემოკრატიის ნიღბით გოგალიტარიაჟისაკენ, სირბილით იარ!!!

“ბევრი რამ ხდება, პორაციო, ზეცად და ქვეყნად, რაც ფილოსოფოსი, სიზმრადაც არ მოლანდებიათ”.



გიორგი (გონი) ცაავა

უილიამ შექსპირის ეს საბუდისწერო სიტყვები ნამდვილად დღევანდელ საქართველოზეა დაწერილი. სააკაშვილი და მისი “ნაციონალები” საქართველოს ხელისუფლებაში მოვიდნენ მომავალდღევანდელი ლოზუნგით, ხალხს პირდებოდნენ საყოველთაო ბედნიერებას, მაგრამ მის ნაცვლად უკვე ხუთი წელია, თანდათან ვმორდებით ეფემერულ მიზანს და სატანისათვის სულმთვინედ საქართველოს მომტერო ხელისუფალთა ცოდვისა და უფსკრულისაკენ მიყავთ ქვეყანა. “ნაციონალები” დღემდე ვერ გარკვეულან, თუ როგორ ქვეყანას აშენებენ, ან საერთოდ აშენებენ კი?.. თავად ამბობენ, დემოკრატიულ ქვეყანას ვაშენებთო, რაც ხალხის ინტერესების გათვალისწინების გარეშე არ შეიძლება. ის არა აქვთ გაცნობიერებული, რომ ყოველგვარ წინსვლას, პროგრესს ადამიანის ფაქტორი განსაზღვრავს, ანუ დამოკიდებულია ადამიანისადმი, როგორც უმძლავესი საზოგადოებრივი ღირებულებისადმი.

თავისთავად იბადება კითხვა: რა მდგომარეობაა ამ მხრივ დღეს საქართველოში?

რაც “ნაციონალები” ხელისუფლებაში მოვიდნენ, ყველა საშუალებით იბრძვიან მისი ერთსახოვნებისათვის, ერთგვარი აზროვნებისათვის. ის კი, ვინც ამ შებენს გადაუხვევს მოქმედებაში და აზროვნებაში, ადმინისტრირებით ითრგუნება იმისათვის, რომ ადვილად მართონ და უსიტყვო მორჩილებაში იყოლიონ. სააკაშვილმა შეკრიბა ისეთი კაცები, რომელსაც არავითარი საზოგადოებრივი და ეროვნული ინტერესი არ გააჩნია. მათ დაუკარგეს საზოგადოებას მომავლის რწმენა, სოციალური პერსპექტივა, რამაც შეარყია ხალხის სულიერება. “ნაციონის” ხელისუფლებაში მოსვლამდე კიდევ ფეთქავდა ქვეყანაში დემოკრატიის ნაპერწკალი, რაც ამჟამად სართოდ აღარ არსებობს. სააკაშვილმა და მისმა ხროვამ ისეთი სახელმწიფო შექმნეს, რომელიც თვითგერმანულ “ნაციონალისტ სოციალისტებსაც” კი გააოცებდა.

როგორც კი “ნაციონის” მიერ ჩატარებულმა რეპრესიების ტალღამ გადაუარა ქვეყანას, დარდად ამეკვიცაბა – ოღონდაც 1937 წელი ნუ განმეორდება-მეთქი. მე ხომ რეპრესირებული ოჯახის შვილი ვარ. მაშინ, 9 წლისა ვიყავი და კარგად მახსოვს, თუ როგორ მიყვავდით ოჯახის წევრები უშიშროებაში დაკითხვაზე კვირაში ორჯერ. მათ სურდათ დაეკვინათ “ხალხის მტერი” მამანემის ადვილსამიფიფელი. ერთ-ერთი დაკითხვისას დღევანემი შეუძლოდ გახდა და სასწრაფოთი საავად-

მყოფოში წაიყვანეს. მე და ჩემი უფროსი ძმა უშიშროების ერთ-ერთ ოთახში დაერჩით. უფროსმა შემოიხედა და ბრძანა: ბავშვები მშვიდები იქნებიან და დააპურეთო. მოიტანეს ორცხობილა, აადუღეს ჩაი და გაგვიმასპინძლდნენ. განა შეიძლება ახლანდელი და მაშინდელი ძალოვნების ერთმანეთთან შედარება? სირცხვილია, რომ დღეს ის დრო სანატორიული გვაქვს!

ამიტომაც იბადება კითხვა: აჯობებდა თუ არა მაშინდელი დემოკრატია დღევანდელს, მაშინდელი დამსმენები, სადისტები და ცილისმწამებლები დღევანდელს? ვისაუბროთ ფაქტებით – 1937 წელს საქართველოში ცხოვრობდა 3,5 მილიონი კაცი, რომელთაგან ციხეში იჯდა სულ 8 ათასი ადამიანი. დღეს საქართველოში ოდნავ მეტი რაოდენობის ხალხი ცხოვრობს, რომელთა შორის ციხეებში გამოკეტულია 25 ათასი ადამიანი.

ეს არის სააკაშვილის დემოკრატია? ამიტომ ვრწმუნდები, რომ მეოცე საუკუნის უმძიმესი ოცდაათიანი წლების მმართველები დღევანდელთან შედარებით ბევრად დემოკრატიები და პუმიანურები იყვნენ.

დემოკრატია მხოლოდ მაშინ არის რეალური, როცა იგი სიკეთეს, სიმართლეს ამკვიდრებს. ნაციონალებთან ამაზე საუბარი უაზრობაა. ქვეყანაში დღეს არის ერთი კაცის დიქტატურა. საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება მხოლოდ მის ხელშია ახრულებს. ნაციონალები ქვეყანაში შიშის სინდრომს ამკვიდრებენ. (არა)სამართალდამცავებს განუსაზღვრელი უფლებები აქვთ მიჩნეული და მათ საქმიანობაზე კონტროლი არ ხორციელდება. უდანაშაულო ხალხის მკვლელობაზე პასუხს არავენ აგებს. მათთვის არასასურველ პირებს უდებენ ნარკოტიკებს, იარაღს, ცემენ, აინვალიდებენ – მათს თავხედობას ზღვარი არ უდევს. ამას წინათ ტელეარხმა “კავკასიაში” უჩვენა ახალგაზრდათა ჯგუფი, რომლებიც მშვიდობიან აქციებში მონაწილეობისათვის დააპატიმრეს. გაირკვა, რომ მათ უდემართოდ აწამებდნენ, საჭმელს არ აძლევდნენ, ამყოფებდნენ უპაერო სივრცეში.

საინტერესოა, როგორ მოახერხა ხელისუფლებამ, რომ სპეცრაზმელი ახალგაზრდები მოკლე ხანში ექცია კაცთმოძულე ბარბაროსებად, ჯადათებად, სადისტებად. საღმისი ღირსად არ უნდა გავხადოთ მათი ახლობელნათესავები, ზურგი უნდა შევაქციოთ ყველამ იმ ოჯახებს და მათ აღზდილებს, რომელთაც მაცხოვრის შეგონებაც კი არ ესმით: **შეეშვიტ მათ, ბრძმები არიან და ბრძმათა წინამძღოლნი, ხოლო ბრძმას ბრძმა მიყავს და ორივენი ორმომი ჩაცვივდებიან.**

ახლა კულუარებში საუბრის დრო არ არის – სასწრაფოდ უნდა მოვიშორეთ სხვა ქვეყანაზე სულმიყიდული არამზადები, შინაური მტრები – გადავიჩინოთ თავი და გადავარჩინოთ სამშობლო. სხვა რა უნდა მოვთხოვოთ პრეზიდენტს, რომელზედაც მსოფლიოს 7 ფსიქიატრული კლინიკა ფრიად საუკუო დასკვნას იძლევა? მისი საქციელიც ხომ ამას ამტკიცებს. კარგად გვახსოვს, ხალხს რომ პირდებოდა – ოთხ დღეში ფსოლუხე თუ არა, სოხუმში მინც ადემართავ

ქართულ დროშასო, რუსებს კი კუდით ქვას ვასროლინებთო, 2008 წლის აგვისტოში რომ ნახავენ, ასეთი დამარცხება რუსებს არ უნახიათო და ა.შ.

ბევრი ვეძებუ ამის ახსნა და მსოფლიო ომების ისტორიაშიც ღრმად ჩაიხედე, მაგრამ მსგავსი ვერაფერი აღმოვაჩინე – დღენახევარიან ომში სასტიკად დაზარცხებულ და ღამის განახევრებული ქვეყნის მეთაურს ასე უტიფრად ეთქვას: გამარჯვებული ვარო!

საკაშვილისა და მისი ხროვის გასაგონად ვამბობთ: უკანასკნელ პერიოდში საზოგადოებაში მყარად დამკვიდრდა აზრი, რომ ნაციონალები “ომის პარტიას” წარმოადგენენ, რომელთაც ხელისუფლების შენარჩუნებაზე გათვლილ დანაშაულებრივ ქმედებებს შესწირა მშვიდობიანი მოსახლეობა და ქართველი მეომრები, შედეგად მივიღეთ დენილთა ახალი ტალღა, სამარცხვინო კაპიტულაციაზე ხელმოწერის შემდეგ კი დე იურედ დაეკარგეთ საქართველოს ტერიტორიების მეხუთედი – ავხაზეთი და სამაჩაბლო, დამატებით დიაკარვა 142 დასახლებული პუნქტი, სოფელი, დაბა, რაიონი, მამისონის უღელტეხილის 18-კილომეტრიანი ზოლი კი მოდლატურად ჩავაბარეთ სეპარატისტებს... მეზობელი სახელმწიფოები აზერბაიჯანი, სომხეთი და თურქეთი მცოცავ ოკუპაციას ეწვევიან, იტაცებენ ქართულ კულტურის ძეგლებს და თუ ასე გაგრძელდა, ჩვენი ხელისუფლების ხელშეწყობით მალე თბილისის კარიბჭეებს მოადგებიან.

ნუთუ მიხედა სააკაშვილს ნორმალურად მიანია ის, რომ, როცა თავად “ჭრელი აბანოს” ნომრებსა და ბუნკერებში იმალებოდა, საქართველოს პატრიარქს კი სამაჩაბლოს ტყეებიდან პირადად გამოჰყავდა ტყეები და ქართველი მეომრების გახრწნილი გვამები. ბრძოლის ველიდან სამარცხვინოდ გაქცეული სააკაშვილი კი, ამ დროს, მაამებელ ამალასთან ერთად ერთობოდა და შიშით ბუნკერიდან ვერ ყოფდა ცხვირს. გასაჭირის დღეებში კი გერმანიიდან ძვირადღირებული მასაჟისტი ქალი ჩამოიყვანა და მასთან ერთად ერთობოდა.

არ შეიძლება გვერდი ავუბროთ მის მანიაკალურ მიდრეკილებას ტრიბუნისადმი – სადაც კი შემადგებულ ადგილს ნახავს, წამსვე წამოსკუპდება და სიტურისა და ორპირობის კორიანტელს დაიყენებს სოღმე. ცხოვრების წესად ექცა ხალხის მოტყუება, არარსებულ წარმატებებზე უზომო ტრაბახი, ცხოვრებით შეჭირვებულ ადამიანებთან ყალბი განცდების გადმოფრქვევა და ნიანგის ცრემლების ღვარღვარი. სააკაშვილი საქართველოს ზოგჯერ ისე წარმოაჩენს, თითქოს ქვეყნის გეოსტრატეგიული მდგომარეობა მისი პირადი დამსახურება იყოს. ხალხმა კი კარგად იცის, თუ ეს მოძალადე ადამიანი ვისი და რისი წყალობით მოხვდა საქართველოს უმაღლესი ხელისუფლის სავარძელში.

გაიხსენეთ, ქრისტემ რომ უთხრა თავის მოწაფეებს: რომ უბედურია ის, ვინც სიკეთეს მალე ივიწყებსო. სააკაშვილი და სააკაშვილის ბრძმად მხარდამტკიცებო, თქვენი ამპარტავნობა იმაზე მიაწინებს, რომ დღის წყალობისა

არა გწამთ და ყველაფერს საკუთარ პიროვნულ დამსახურებად წარმოაჩენთ! ალბათ არ იცით, რომ უმადურობის ბოლო – მარცხია. თქვენი დამსახურება მხოლოდ ისაა, რომ არჩევნების გავალბების გზით შეინარჩუნეთ სახელისუფლებო სავარძლები, ხოლო თქვენს ანტიეროვნულ საქმიანობას ასიათასობით ადამიანმა გამოუცხადა მტკიცე პროტესტი, რასაც თქვენ ანგარიში არ გაუწიეთ. პროტესტს კი გამოთქვამს უამრავი სახელგანთქანი მამულიშვილი, მეცნიერი, მწერალი, ხელოვნებისა და კულტურის სფეროს მოღვაწე. ისინი მოითხოვენ, რომ ქვეყანა ეროვნული ცნობიერებით იმართებოდეს და არა გაუწონასწორებელი ადამიანის ქვეგრძნობიერი იმპულსებით. თქვენს გარემოცვას კი მხოლოდ ფულისა და ქონების მოხვეჭის სურვილი ამოძრავებს და ამიტომ გკიდიათ ფეხებზე ქვეყნისა და ქართველი ხალხის ბედი. ხელისუფალთაგან (ციცკარიშვილები, წერეთლები, ხერხეულიძეები, წიკლაურები და სხვანი და სხვანი) ზოგი ნარკოტიკებით ვაჭრობს, ზოგი – სამედიცინო პრეპარატებით, ზოგი კი მორალითა და ზნეობით. მარტო უწიგნური ციცკარიშვილის განცხადება რად ღირს: პოლანდიდან “ქალი ძროხები” ჩამოვიყვანეთო! “კაც-ხარებზე” კი არაფერი უთქვამს. და ეს ადამიანი წლების განმავლობაში იყო სოფლის მეურნეობის მინისტრი, ამჟამად კი “ნაციონალების” ლიდერი გახლავთ. აღარაფერს ვამბობ განათლების ექსმინისტრ, გაუნათლებელ სანტექნიკოს კახა ლომიაზე, რომელმაც სასკოლო დაფაზე გამართულად ვერ დაწერა სიტყვა “ბავშვი”.

მართლაც უბედურია ჩვენი ქვეყანა ამათ ხელში!

ამხანაგო სააკაშვილო! “კორუფცია” ლათინური სიტყვა გახლავთ და ნიშნავს სახელმწიფო და პოლიტიკურ მოღვაწეთა და თანამდებობის პირთა მოსყიდვას. თქვენ კორუფცია კი არ მოსპეთ, არამედ მყარად დაამკვიდრეთ თქვენი გარემოცვის ყოველდღიურობაში, რომელთაც ყველაფრის უფლებას აძლევთ თანამდებობისა და პირადი კეთილდღეობის შესანარჩუნებლად. შიშველ-მშვიერი ხალხი მოიყვანეთ ქვეყნის სათავეში, რომლებიც ისედაც გაჭირვებული ქართველი ხალხის ხარჯზე გამდიდრდნენ – შეიძინეს სახლები, ავარაკები, ავტომობილები და სხვა.

საიდან? თქვენ ეს არ გაინტერესებთ! სწორედ ამით უხდით თქვენს გარემოცვას მათ მიერ გამოცხადებული უსიტყვო მორჩილებისათვის!

ზღვარი არ უდევს თქვენს ცინიზმს, როცა საპროტესტოდ გამოსულ ხალხს განუცხადეთ – “გაღებში” სხედხართო. გაღებაში ხომ მხოლოდ ცხოველის ან გარეული ფრინველის ადგილია. თქვენ იმდენი ცოდვა გაქვთ ჩადენილი ქართული სახელმწიფოსა და ხალხის წინაშე, რომ თქვენი და თქვენი გარემოცვის ადგილი მართლაც გაღიაშია. ამის ფონზე მართლაც დაცინვად გვესახება ამერიკის ვიცე-პრეზიდენტ ბაიდენის სიტყვები იმის თაობაზე, რომ საქართველო წარმატებული დემოკრატიული ქვეყანააო. მაგრამ ამერიკელები ერთხანს აფრიკელ კაციჭამია ბოკასოსაც ხომ “დემოკრატს” უწოდებდნენ. ასევე ავად გვენიშნა

ბაიდენის სიტყვები: “პრეზიდენტად მიკი-მაუსიც რომ გყავდეთ, მასაც კი პატივი უნდა სცეთო!” განა ეს არ გახლავთ ამერიკული ძალადობის დემონსტრირება, რადგან ქართველ ხალხს პრეზიდენტად ჭკვიანი მმართველი სურს, ამერიკელები კი მოსულელო თოჯინას “გვატყნიან”. ეს კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ ამერიკელებს არაფრად სჭირდება საქართველო და ქართველი ხალხი – მათ მხოლოდ ჩვენი ტერიტორია აინტერესებთ, როგორც ტრანზიტული არტერია.

ჩვენ დიდ იმედებს ვამყარებდით ობამასა და მედვედევის შესხვედრაზე, მაგრამ არც ამან მოგვიტანა სასურველი შედეგი. ობამამ რუსებს პირობა მისცა, რომ პოსტსაბოტოთა სივრცეში თქვენს ინტერესებს გაეთვალისწინებოთ და ამით ყველაფერი თქვა!


იმის იმედი მაინც გვქონდა, რომ ობამა-პუტინის შესხვედრის დროს საქართველოს საკითხს განიხილავდნენ, მაგრამ ეს იმედიც ჩაგვიფლავდა. მათ დიდი დროს დაუთმეს ვარაზის პრობლემის განხილვას, რადგან ამერიკაში სომხური ლობი ძლიერია და ობამას დიდად დაეხმარა საპრეზიდენტო არჩევნებისას. ობამამ განაცხადა, რომ ამ ეტაპზე ამერიკას არ შეუძლია ავხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება. ისიც თქვა, რომ საქართველოსა და უკრაინის ნატოში გაწევრიანების საკითხი ამჟამად დღის წესრიგში არ დგასო.

ობამას რუსეთში ვიზიტის შემდეგ ნათელი გახდა, რომ ამერიკა მზად არის დაეთმოს რუსეთს საქართველო და სანაცვლოდ მიიღოს მისთვის მეტად საჭირო სარფი – ავღანეთის საპაერო კორიდორი, სადაც 4.500 ამერიკული თვითმფრინავი იმობრავებს. ობამას პროტესტი არ განუცხადებია რუსეთის ჯარების ავხაზეთისა და სამაჩაბლოს ტერიტორიებზე ყოფნისათვის, არც იმაზე, რომ იქ რუსული სამხედრო ბაზები შენდება და მხოლოდ რბილად განაცხადა: ამ საკითხზე ამერიკის პოზიცია უცვლელიაო.

ქართველები ჯერ კიდევ ვერ გაეთვალისუფლდით პროვინციული ხმისადმი და მუდმივად აშშ-ს, გაეროს, ევროკავშირისა და ნატოს იმედად ვიმყოფებით. ვერ შევიგნეთ, რომ საქართველოს გულისათვის ამერიკა არასოდეს დაუპირისპირდება რუსეთს. ამერიკას ხმა არც მაშინ ამოუღია, როცა ებრაელებმა არაბებს გახს სექტორი წართვეს. ასე ხდება საქართველოშიც. ჩვენ თავს ჩვენვე უნდა ვუპატრონოთ, მაგრამ ქვეყნის გაუწონასწორებელი მეთაური ამას ვერ შესძლებს.

საკაშვილს რომ ვუყურებ, გრაფი სუკელის სიტყვები მახსენდება “დათა თუთაშხიადან”: “სახელმწიფოს მართვისათვის დაბადებულად თავის თავს, სწორედ და უპირველესად ყოვლისა, შეზღუდული და სულელოდ ხელმოკლე კაცები სთვლიან”. მე კვლავ კიდევ 2005 წლის 18 ნოემბერს, გაზეთ “ლიტერატურული საქართველოს” გვერდებიდან გავაფრთხილე სააკაშვილი, რომ მსოფლიოში ხელახალი გაღანა იწყებოდა, რასაც დიდი სიფრთხილე სჭირდებოდა, მაგრამ მან ეს გაფრთხილება “ყივინად”

სამეგრელო და სვანეთი



ამ წიგნის ავტორის, კორნელი ბორჯინის სამსახურებრივი კარიერა კავკასიაში დაიწყო. იგი ჯერ მთავარმართებლის კანცელარიაში მუშაობდა, შემდეგ კი (1854 წელს) სამეგრელოს დედოფალთან მიაგლინეს მიწურ-მოწურის საწარმოებლად და მისი შვილების აღზრდელად. 1858 წელს დაინიშნა სენაკის ოლქის უფროსად, სადაც 1867 წლამდე იმსახურა. სწორედ აქ გაეცნო იგი სამეგრელოს მოსახლეობის ყოფას, რომელიც საინტერესოდ აღწერა თავის წიგნში. ბორჯინის მოგონებებში საკმაოდ ვრცლად არის გადმოცემული ოსმალეთის ჯარების მიერ სამეგრელოს აწიოება, რომელიც შემდეგ რუსმა ჯარისკაცებმა ალაგმეს.

კორნელი ბორჯინი

სამ დღეს უკან გორდში მოვიდნენ ლატალის საზოგადოების გამოგზავნილი კაცები. ორმოცდა ათი იყვნენ. ახოვანები, ჩამკვრივლები ხოხოლების ტიპს მოგვაგონებდათ; ტანთ ემოსათ მატელის მსხვილ ბაწრისაგან მოქსოვილი ჩოხები, ჩვენებური ქუდების მაგიერ თავს ეხურათ რაღაც პატარა მრგვალი შალის ქუდები, რომლებიც თავზე დაამარტული ჰქონდათ გაპარსულ ნიკაპს ქვეშიდან ამოდებულ გრეხილით; ეს თავის სარქმელი, ამავე დროს საშურდულეც იყო, რომლითაც სვანები მეტად მარჯვედ ისვრიან ხოლმე ქვეს. მათი ფეხსაცმელი, ანუ ქალამანი ძალიანა ჰგავს ძველი დროის სანდლებს და ამოსხმულია ტყავისაგან, რომელსაც ბაღანი ზევიდანა აქვს დარჩენილი და თასმებით შეკრულია.

მთელი გარეგნობა ამ ხალხისა მანვენებელი იყო სისასტიკისა, სიღარბისა, ვეღურობისა. რომ ლაპარაკობდნენ, ასე გვეგონებოდათ, ბუკებს ამახებენო; ჩუმათ ლაპარაკი ლატალელებმა არ იცოდნენ, და როცა მათთან მოლაპარაკება გაიმართა, ისე ხმამაღლა გაჰყვიროდნენ, იფიქრებდით – ალბათ რაღაცაზე ჯავრობენო, თუმცა ბაასი სრულებით მშვიდ საგანზედა ჰქონდათ. ყველანი ერთად ჰყვიროდნენ. მათს ლაპარაკში მრავალი ქართული სიტყვა ერია, თუმცა ქართველი მათს ნათქვამს ვერაფერს გაიგებდა. ყველაზე ტიპური იყო საზოგადოების მოხუცი მამასახლისი. დაბალი ტანისა იყო, დაგლეჯილი ჩოხა ეცვა, გადაღვილი გული გაჭადარავებულ თმითა ჰქონდა დაფარული, თავის გარეგნობით თითქოს ყველაზე უკანასკნელი ის იყო, მაგრამ, ეტყობოდა, ყველანი მას ჰმორჩილობდნენ; მასზე ცოტა მოშორებით იდგა მისი მოსამსახურე, ყარაჩელი (ყარაჩა – თავისუფალ სვანეთის მოსახლდრე მხარეა, იალბუხის მწვერვალის ჩრდილოეთის მხარეზე მდებარე. თავისუფალ სვანეთიდან ჩრდილოეთში გადასვლა მხოლოდ ყარაჩით თუ შეიძლება), ტანთ ეცვა სირმიანი ჩოხა და ხელში კიდურ მამასახლისის ჩიბუხი და სათუთუნე სავესე ქისა ეჭირა. აშკარათ ეტყობოდა, რომ უკიდურეს დემოკრატიზმის ამ თავისებურ წარმომადგენელსაც სწევოდა არისტოკრატიული გემოვნება.

ლატალელებმა არეის ხის ქერქისაგან გაკეთებულ კოლოფებში ჩალაგებული ძღვენი მართლაც დედოფალს. ეს ძღვენი შესდგებოდა: ცვილისა, თაფლისა და არაყისაგან. შერეოდნენ და ესენიც დასხვეს გასამასპინძლებლად. მეორე დღეს დედოფალთან დადებული პირობა ფიცით განამტკიცეს. შემოვიდნენ ეკლესიაში, პირში ეკლიონგანრიდები, თითქო გარეთ ყოფილიყვნენ, ისეთი ხმაურობა ასტეხეს, საითთაოდ მიდიოდნენ სახარებასთან,

ემთხვეოდნენ, მერე პირში თითს ჩაიდებდნენ, გამოიღებდნენ, მაღლა აიშვერდნენ და შეუბრალებდნენ. ვიკითხე მნიშვნელობა ამ უცნაურ ჩვეულებისა და ამისხნეს – ამით თავიანთ ფიცის მოწმედ სული წმინდას მოუწოდებენო.

მეორე დღეს ლატალელები გორდიდან გავიდნენ, დედოფლის მიერ დასაჩუქრებულნი, და მათ მთელ გაჰყვენენ ჯამსუხი, მისი შვილები და ამაღა.

რაც მოხდა გორდში ჯამსუხის ჩამოსვლის დროს, ყველაფერი მაშინათვე გაიგეს სადაღმქველიანო სვანეთში. კონსტანტინე, ალექსანდრე და მისი მცირეწლოვანი შვილი მოსოსტრი ამ დროს ტფილისში იყვნენ: მოსოსტრი სასწავლებელში შესყვანად ჩამოყვანათ ქალაქში; მათს მაგიერ უფროსად სვანეთში დარჩა მისი მესამე ძმა, ისლამი, რომელიც თავისს სამშობლო მთებს თავის დღეში არ გასცვლიდა და რომელიც თავის გრძობებითა და სხედულებით სრულებით ხელუხლებელ და ნამდვილ ვეღურად იყო დარჩენილი. დედოფალმა ჩემი მტერი ჯამსუხი როგორ მიიღო სახლშიო და ან ჯამსუხმა გორდიდან სვანეთში ჩვეულებრივის ლენტეხის გზის მაგიერ როგორ გაჰყვდა ჯვარზე ლახმულისაკენ გამოვლათ, სადაც წინათ თავისდღეში ვერ გაჰყვდავადო გავლასო, ისლამი პირდაპირ გაცოფდა, აღარც დაიდო, ვადაწვევითა, მასე დარჩენილი სისხლი აუღო, იახლა ყმები, ჩაუსაფრდა და დაუწყო ღოდინი ჯამსუხის გამოვლას. ვერაინ მოასწრო ჯამსუხი გაეფრთხილებინა, თუ რა ხიფათს უშადებდა ისლამი, და ქვის უკან ამოფარებულ კაცის თოფის ნიშანში ამოდებულმა ტყვიამ იქვე დააწვინა, ხოლო მეორე ტყვია მის შვილს თენგიზს ხელში მოხვდა. დანარჩენები იძულებული იყვნენ თავისთვის ეშველნათ.

ტფილისიდან დაბრუნებულ კონსტანტინესა და ალექსანდრეს შინ საშინლად აწვილდა-დაწვილი დახვდათ ყველაფერი; ჯამსუხის მომხრენი სოფელ ფარს დაეცნენ, და სოფლის მცხოვრებლებს დიდი მეცადინეობა და დრო დასჭირდათ, სანამ მათ მოიგერიებდნენ და იქიდან გაფრეკავდნენ. თვითონ ისლამი, მიზეზი მთელი ამ ორომტრიალისა, მეზობელ მოუსვენარ დაღში გაიქცა.

რამდენსამე ხნის შემდეგ იმავე გორდში, იქ, სადაც ამას წინათ ჯამსუხის ცეკვის ყურებით ვსტკებოდით, დავინახეთ მისი ქვრივი ყველა შვილებითა და მოსამსახურეებითურთ: ქვრივი დედოფალსა სთხოვდა მფარველობასა და თავშესაფარს. სვანეთიდან გამოქცეულიყვნენ, რომ სულ არ ამოეწვიებოდა კონსტანტინეს; მხოლოდ და მხოლოდ კონსტანტინეს აბრალებდნენ ჯამსუხის

მოკვლას, ისლამი-კი ბრმა იარაღი იყო მის ხელშიო. დედოფალი, რომელმაც იშვილა საცოდავი მსხვერპლი სისხლის აღებისა, გულმხურვალედ მოეკიდა მის დაობლულ და სამშობლო კერადან გამოყრილ ოჯახობას, მით უფრო, რომ ჯამსუხის ქვრივმა ორი მეტად ძვირფასი საჩუქარი მიართვა; ყაწიბი და კვერთხი თამარ დედოფლისა (ესენი, როგორც წმინდა ნიკოეზი, რამდენსამე საუკუნეს განმავლობაში დადემქველიანების გვარში ინახებოდა). განსაკუთრებით შესანიშნავი იყო ბიზანტიური ხელოვნებით ნაკეთები ყაწიბი; სულ ოქროსი იყო, მინანქრებიანი და ზედ გამოსახული იყო მაცხოვარი, ღვთისმშობელი და წმინდანები. კვერთხიც ოქროსი იყო შეტყვილი, მხოლოდ ნამუშევარი ისეთის ხელოვნებით არ იყო. ჯამსუხის ქვრივს ეკატერინემ ლენსუში ერთ-ერთ თავის მამულში მიუჩინა ბინა საცხოვრებლად და თან ბრძანა მისთვის და მის ოჯახის წევრებისათვის სრული უღუფა ეძლიათ, მისცა ფული და ყოველივე რაცა სჭირდათ, და ამავე დროს კავკასიის მთავრობასა სთხოვა – დაეფარნათ ეს საცოდავები და დაეკმაყოფილებინათ; თან კონსტანტინე დადემქველიანს საშინლათა სწვევლიდა.

მაგრამ მთავრობას მაშინ ამ საქმისათვის როდი ეცადა: მთელს მხარეზე მოქურუშებულიყო ცაი და საცა იყო, უნდა დაეჭქქა. უკვე იცოდნენ, რომ ოსმალის ჯარი შავი ზღვის ნაპირათ უნდა გადმოსულიყო ხმელეთზე, მხოლოდ არ იცოდნენ – სახელდობ რა ადგილას უნდა გადმოსხდარიყვნენ; ელოდნენ ჯარის გადმოსხმას ან ქობულეთში და ან აფხაზეთის მხრიდან. მცირეობისთვის რაზმი გურულთა ორ კოლონად იყო გაყოფილი და მტრის თვალსამას ორივე მხრიდან დაუწყეს ღოდინი. ამიტომ ფიქრიც კი ზედმეტი იყო იმაზე, რომ რაზმის ამ ნაწილებისაგან თუნდაც მცირე ნაწილი გამოეყოთ სამხედრო ექსპედიციისათვის თავისუფალ სვანეთში. თავადი ივანე მუხრან-ბატონი, გენერალ-გუბერნატორი ქუთაისისა, რომელიც გურულთა რაზმს მეთაურობდა, ჯამსუხის ოჯახობის საქმის გამო იძულებული იყო, ჯარის მაგიერ, სვანეთში გაეგზავნა ბოქაული თავადი მიქელაძე და დაეჯავლებინა – კონსტანტინე და ალექსანდრე ქუთაისში ჩამოეყვანა. მაგრამ ამან არ გასჭრა: დადემქველიანებმა ბოქაული ახლოს არ გაიკარეს და ქუთაისში ჩამოსვლა არც-კი უფიქრიათ. ალექსანდრე დადემქველიანს ნიკეგოროდის დრაგუნთა პოლკის მიერ მოცემულის შეგებულების ვადა გაუთავდა და პოლკი რაზმის უფროსის მუხრან-ბატონის საშუალებით მოითხოვა დაუყოვნებლივ დაბრუნებულიყო; მუხრან-ბატონმა სვანეთში ხელახლა გაგზავნა კაპიტანი დემიანოვიჩი, მაგრამ იმან იმდენი გააკეთა, რაც მიქელაძემ. მძანი დადემქველიანები დემიანოვიჩს, მისისავე თქმით, უზრდელათ დახვედრიან, ხოლო ალექსანდრეს თავი მოუვადემყოფებია, ნამდვილად კი სრულებით კარგათა ყოფილა. მისთვის რაპორტი გადაუცია და უთხოვინა რაპორტი დემიანოვიჩის რაზმის უფროსისათვის გადაეცა.

ამის შემდეგ დიდხანს არ გაუვლია, რაც ომერ-ფაშამ თავისი ჯარი აფხაზეთში გადმოსხა, და გაიმართა მისი ცნობილი ლაშქრობა, რომლის ასპარეზად ექვსისთვის განმავლობაში გადაიქცა მთელი რიონის მხარე, რა თქმა უნდა, ყველა სხვა შინაური საქმეები განზე იქმნა გადადებული.

ინგურზე ბრძოლის დროს ომერ-ფაშას 30.000 კაცი ჰყავდა, ჩვენ-კი ოთხჯერ ნაკლები. როგორც მკითხველებმა იციან ჩვენის მოგონების პირველ თავებიდან, ამ ბრძოლის დროს მუხრან-ბატონი იძულებული შეიქმნა ცხენის-წყალს გამოსცილებოდა, და მთელი სამეგრელო მტერს დარჩენოდა ხელში.

აფხაზეთის მთავარი მიხეილ შერვაშიძე, რომელიც ამ დროს აფხაზეთში დარჩა, მეტად ორაზროვან როლს თამაშობდა. ჩვენს შტაბში მისგან სხვადასხვა პროექტები მოდიოდა მტრის ზურგს უკან სამხედრო მოქმედების შესახებ და თხრობებოდა – ჯარები მომსაშველეთი, და იმავე დროს იმავე შტაბში ცნობა ჰქონ-

დათ ჯამსუშებისაგან მიხეილ შერვაშიძის მიერ ომერ-ფაშასთან გამართულ მოლაპარაკების შესახებ. მიხეილ შერვაშიძეს უკან კიდევ სხვები მოჰყვეოდნენ და ამ სხვებში, იმავე ჯამსუშების ცნობით, ერივნენ ძმანი კონსტანტინე და ალექსანდრე დადემქველიანები, რომელნიც ოსმალეთის ჯარის მთავარსარდალს ალერსიანად მიუღია. ან და რა გასაკვირველი იყო, ასეთი საქმე მომხდარიყო იმ მხარეში, რომელიც მტერს ჰქონდა დაპყრობილი და ექვსისთვის განმავლობაში ჩვენის მხრივ არაერთი სერიოზული წინააღმდეგობა უნახავს.

1856 წლის მარტში დროებითი ზავი იყო შეკრული; ომერ-ფაშამ სამეგრელო დასცადა და ამას მოჰყვა ცნობილი პარიზის ტრაქტატი, რის შემდეგაც მოხდა იმპერატორ ალექსანდრე ნიკოლოზის ძის კურთხევა.

შემდეგ კავკასიაში ადგილი ჰქონდა მეტად დიდ ცვლილებას: მურავიოვის მაგიერ მეფისნაცვლად დაინიშნა თავადი ა. ი. ბარიატინსკი და ხმა გაერცვლდა – კავკასიის მართვა-გამგეობის საქმეში დიდი ცვლილება მოხდებოდა.

ახალი მეფისნაცვალი კავკასიაში ხამად არ იყო. თავისი სამსახური აქ დაიწყო 1835 წელს კირასირთა პოლკში კორნელად, გენერალ ველიამინოვის რაზმში, მერე მთიელთა წინააღმდეგ მოწყობილ ექსპედიციაში ყაზახურსთა ასეულის უფროსად იყო. ამ დროს თოფის ტყვიამ მარჯვენა გვერდში გაუარა და იძულებული შეიქმნა 1836 წელს საზღვარგარეთ წასულიყო, სადაც 1838 წლამდე დარჩა. ეს პირველი, ეგრე ვსთქვათ, სამხედრო მონათველა ახალგაზრდა თავადისა, რომელიც მას აგრე ძვირად დაუჯდა გულში ღრმად ჩარჩა და იმ დროიდან კავკასია უფრო და უფრო იხიდავდა თავისკენ. 1845 წელს ისევე ჩნდება კავკასიის ჯარების რიგებში და პოლკის უფროსის ხარისხით უფროსობს ყაბარდოს პოლკის მესამე ბატალიონის დარბოს ექსპედიციის დროს ანდლის სიმაღლეთა ადუბაში. მთელის რაზმის თვალწინ მოხდა ამ სიმაღლეთა აღება; დამსწრენი მოგვითხრობენ, რომ ბარიატინსკის მეთაურობით ბრძოლა ისე სწრაფათ და საუცხოლოთ მიმდინარეობდა, რომ როცა მთიელები დაამარცხა ყაბარდოს პოლკმა, მაყურებელი დააეწყვიდათ მანძილი, რომელიც მათ მებრძოლთაგან ჰყოფდა, ტაში დაუკრეს და “ვაშა” შემოსახეს. ბარიატინსკიმ ამ ბრძოლისათვის გიორგის მეოთხე ხარისხის ჯვარი მიიღო. ხელახლა მოხდა ტყვია ფეხში, ასე რომ იძულებული იყო ხელახლა წასულიყო საზღვარგარეთ ჭრილობის მოსარჩენად და აქ 1847 წლამდე დარჩა.

1856 წელს, როგორც კი ზავი შეიკრა, გენერალ მურავიოვმა ითხოვა სამსახურიდან დათხოვნა და ხელმწიფემ მის ალაგას დანიშნა თავადი ა. ა. ბარიატინსკი.

ოცი წლის განმავლობაში ბარიატინსკიმ გაიარა კავკასიის ბრძოლის საომარი სკოლა. და ეს სკოლა საუცხოვოდაც გაიარა. ეჭირა მეტად დიდი და და პასუხსაგებ თანამდებობა როგორც დაბალი სამსახურისა, ისე უმაღლესისა – მთავარი შტაბის უფროსობა. ამის წყალობით ბარიატინსკის დიდი გამოცდილება ჰქონდა სამსახურისა. ხსიათითაც მეტად თვისებიანი იყო, იცნობდა თითქმის ყველა მოსამსახურეებს კავკასიის როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო უწყებაში. ამის წყალობით შეეძლო შეგნებულათ აერჩია მათს შორის თავისი უმახლობელესი თანამშრომელი მათი ნიჭისა, სპეციალობისა და ცოდნის მიხედვით. ეს მისი გამოცდილება ყველაზე უფრო დამტკიცდა მაშინ, როცა თავის მარჯვენა ხელათ აირჩია გენერალი ევლოკიმოვი. ბარიატინსკის ასეთი მომზადების წყალობით, ვორონცოვის მიერ განზრახულის და ბარიატინსკის მიერ მკაფიოდ შეთვისებული გრანდიოზულის პლანის განხორციელება კავკასიის საბოლოოდ დაპყრობისა სერიოზულად იყო უზრუნველყოფილი.

კაცობრიობის ისტორია კოლხეთით იწყება



კლიმენტი შელიას წინამდებარე სტატია დაწერილია მისი ახლახან გამოსული წიგნის „კოლხეთი – ჩვენი სამყაროს კარიბჭე“ და მისივე უკვე კომპიუტერზე აწეული მოთავალი წიგნის „კაცობრიობის ისტორია კოლხეთით იწყება“-ს მიხედვით

იბერიად იწყება კოლხეთით, კოლხეთშია ქართული და მსოფლიო ცივილიზაციის სათავე.

პროფ. ლევან სანიკიძე.

კოლხეთი – კაცობრიობის ცივილიზაციის აკვანი

აშშ-ს მეცნიერებმა ადამიანის გენეტიკის სპეციალისტებმა (სახელმძღვანელო პროფ. ბრაიან საიქსის) ადამიანის მიტოქონდრიული ანალიზის საფუძველზე აღმოაჩინეს რომ ევროპული დიდი ნაწილის წინაპრები კავკასიიდან არიან წამოსული (კავკასიაში მაშინ კოლხები ცხოვრობდნენ). მიტოქონდრიული გენი მართლაც ადამიანის გენეტიკას. აღნიშნული აღმოჩენა აღტაცებით მიიღო მსოფლიოს სამეცნიერო საზოგადოებრიობამ. ევროპის „დის“ კლანებიდან უძველესი და უმდიდრესია ქსენია-ზანას, ან ქართული მითოლოგიით „დალის“ კლანი, რომელიც ჩამოყალიბდა კავკასიაში (კოლხეთში) 25 ათასი წლის წინ და ბოლო დიდ გამყინვარებამდე გავრცელდა მთელს ევროპაში. ის თითქმის ორჯერ უფრო ძველია, ვიდრე მომდევნო ევროპის კლანები, რომელთა ასაკი 17 ათასი წელია. განსაკუთრებით საინტერესოა ის, რომ ქსენია-დალის გენები აღმოჩნდა ჩრდილოეთ ამერიკის ზოგიერთი ინდიელთა ტომის წარმომადგენელთა შორის. მეცნიერთა დასკვნით, ქსენია-ზანას-დალის კლანი, ევროპის ათისების შემდეგ, მსოფლიოს დიდი გამყინვარების დროს ყინულით დაფარული ოკეანით ჩრდილოეთ ამერიკაში გადასულა და იქაც დაფუძნებულა. ვლადიმერ ალფენიძემ, 1999 წელს წამოაყენეს დებულება, რომ ქართულმა ტომმა კოლხუამ, კოლუმბამდე მრავალი საუკუნით ადრე ამერიკა აღმოაჩინა და იქ ატლანტიდური ცივილიზაცია დაამკვიდრა. სენსაციური დამთხვევაა, ის რაც, 2007 წელს დაადასტურა ამერიკელმა მეცნიერებმა, მანამდე დიდი ხნით ადრე, თქვა ვლადიმერ ალფენიძემ. ამერიკელ მეცნიერთა აღმოჩენით, კავკასია (კოლხეთი) მსოფლიოში ადამიანთა მოდემის გავრცელების მთავარი კერა ყოფილა, რომ თანამედროვე ევროპელთა რასა მუტაციის გზით კავკასიაში ჩამოყალიბებულა და შემდეგ აქედან გავრცელებულა მთელ ევროპაში და ამერიკაში.

კოლხ-ლახ-ჭანები მსოფლიოს უპირველესი ქვეყნის მაცხოვრებლები იყვნენ, რომლებმაც შემდგომში წამყვან როლს ასრულებდნენ ძველი დროის მსოფლიო ისტორიაში, მათ დედამიწაზე პირველმა საფუძველი ჩაუყარეს რეკონსტრუქციას, კულტურას, ცივილიზაციას, კაცობრიობის წინსვლა-განვითარების შარა-გზას, კაცობრიო-

ბის ისტორია კოლხეთიდან იწყება.

* * *

ზვიად გამსახურდია ნაშრომში „საქართველოს სულიერი მისია“ (1990) წერს: „ენათმეცნიერული მონაცემებით, უწინარეს ყოვლისა, შუმერები რომ არაინდოევროპელები არიან და მხოლოდ ქართველური ენები ენათესავენა შუმერული ენას, დღესდღეობით დაამტკიცა დიდმა ქართველმა მეცნიერმა მ. წერეთელმა. პელაზგებზე პირდაპირ არის ჰეროდოტესთან და სხვა ბერძენ ისტორიკოსებთან ნათქვამი, რომ ისინი იბერები იყვნენ.“

აღმოსავლეთ ცივილიზაციის ანბანური კვლევის ცენტრის „შუმერის“ პრეზიდენტი ქართული ანბანის მკვლევარი ზ. ქაფიანიძე წერს: ქართულ-მეგრულ-სვანურ-ეს ერი ენის შვილები და შუმერის ენაა, რომელმაც დასაბამი მისცა მსოფლიოს ყველა ენას, კულტურას და რელიგიას რომ მეგრულს, სვანურს, ქართულს ერთი ფუძე აქვს, ეს სამივე ერთად არის ის ენა, რასაც შუმერული ენას ეძახდნენ და არის დღესაც. ეს ერთი დიდის შვილები – მეგრული, სვანური და ქართული – ძვირფასი შუმერული ენა, უნდა შეუნახოთ თანამედროვე და მომავალ თაობებს, რომ ჩვენი ისტორია 7600 წელზე მეტი ხნისაა, საქართველოში ეს კარგად არ იციან და ისიც არ იციან, თუ რატომ არის ქართული მეგრული სვანური ერთი და იგივე და რომ ძველი დაკარგული ისტორიის აღდგენას ებრძვიან და არ უნდათ გაიგონ რაშია საქმე (ზურაბ ქაფიანიძე, „რატომაა ქართული, მეგრული სვანური ერთი და იგივე?“ გვ. „ჯორჯიან თაიმსი“, 2005, 8-15 სექტემბერი).

პროფესორმა მისაკო წერეთელმა პირველად მოიხსენია ებრაელი არქეოლოგი იულიუს ოპერეტი (1912, „გეოგრაფიკი“), რომელსაც სპეციალური სტატია მიუძღვნა ცნობილმა ურნალისტმა და მკვლევარმა ნათელა ფოფხაძემ (ნათელა ფოფხაძე, „ქიანა ენგური ანუ სამეგრელო“ გვ. „დოსკურია“, 2004, დეკემბერი, №19).

ოპერეტის სურათი და ბიოგრაფია გამოქვეყნებულია „ოუფურ ენციკლოპედიაში“. დაიბადა გერმანიაში (გარდაიცვალა 1905 წელს). მოღვაწეობდა გერმანიაში და საფრანგეთში. საფრანგეთის მთავრობის დაავლებით არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებდა ძველ სამხრეთ საქართველოში. ქვედა მესოპოტამიის ქალაქ ერეკლეში (იოფლე ბოლა ლურსმუხლი დამწერლობის მესამიერკვლად) მდებარე ღვთაება ენქის ტაძარი „ინგური“ პროტო-შუმერული პერიოდისა. ძვ.წ. XXII-XXI საუკუნეების მიჯნაზე მეგრულ-ლახების ერთი ნაწილი გადასახლდა ქვემო მესოპოტამიიდან ზემო მესოპოტამიაში და ღვთაება ენქის (ე-ს, აი-ს) კულტი და ტაძარი, „ინგური“ („ინგირი“) თან „აბალიტანეს“. ქვეყანას ევ, აია ერქვა, მთავარ ქალაქსაც იგივე სახელი ეწოდებოდა. ახე რომ, აივლებს (ელაგლებს) დიდი მდინარის ნაპირზე ტაძარი აუგიათ და მდინარისათვის, ტაძრისათვის და ქვეყნისათვის სახელი „ენგური“ („ინგური“) დაუნათლებიათ. გამოდის, რომ ღვთაება ეთქმის ტაძარი „ენგური“ პალესტინაში, ისტორიაში პირველი ტაძარი, ქართული (მეგრულ-ლახური) ყოფილა.

თავდაპირველად კოლხეთს რქმევია „ენგური“, „ინგური“. მაგრამ როგორც მისაკო წერეთელი მიუთითებს „ოპერეტმა ლურსმულ დამწერლობას შუმერული უწოდა. ქვეყნის სახელწოდება „ენგური“ შეცვალა სიტყვით „შუმერი“, ხოლო ქვეყნის მცხოვრებელთა სახელწოდება „ენგურელი“ სიტყვით „შუმერული“.

იულიუს ოპერეტის მიერ „შუმერად“ სახელწოდებული სახელმწიფო, – წერს ნ. ფოფხაძე, – არის სამეგრელოს სამეფო. „ენგური“, „ეგრი“ როგორც მდინარეს, ისე ქვეყნის სახელწოდებაა. თავდაპირველად მდინარეს რქმევია „ეგური“ მიუთითებს ვახუშტი ბატონიშვილი ხოლო ლეონტი მროველის მიხედვით „ეგური“ ქვეყნის დასავლეთ საქართველოს სახელწოდება ყოფილა („ფარნავაზ მეფედ იქცა ქართლისა და ეგურს ზედა“).

იმასაც წერენ, რომ ი. ოპერეტმა ქვეყნის სახელწოდება „ენგური“ იმიტომ შეცვალა „შუმერი“, რომ სამხრეთ საქართველოდან უკმაყოფილო წავიდა.

მეცნიერებს დადგენილი არ ჰქონდათ შუამდინარეთში „შუმერების“ მოსვლამდე ვინ ცხოვრობდა, ამიტომ მათ „პროტო-ეგურა-ტელები“ უწოდეს. ტომონიმია არ არის შუმერული. მაგალითად ტიგროსის ძველი სახელწოდება „ოლიგან“, ეგურატის - „ბურანანი“. შუმერული სახელწოდების არ არის უძველესი ქალაქი ერეკლე, „სანამ ე.წ. შუმერები მოვიდოდნენ შუამდინარეთის სამხრეთში, მანამდე ამ ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ ნამდვილი შუმერები, იგივე ლახ-მეგრელები, რომლებსაც ჰქონდათ თავიანთი კულტურა, მყავდათ თავიანთი ღმერთები თავიანთი ტაძრებით.“ – წერს მკვლევარი ბ. სოფია (ბადა (ნეკუსი) სოფია, ლახ-მეგრელები ჩვენი წელთაღრიცხვამდე ისტორია, თბ., 2006, გვ. 73).

ღვთაება მარდუკის მთავარი ტაძარი ესანგია და სატაძრო გოლარი ზიქურთი (ზიკურთი) - „ეითემენანტი“ ბაბილონის ცენტრში შვიდსართულიანი ყოფილა. პეროდოტე მას რეასართულიანად თვლიდა. ის თვლიდა მიწისქვეშა ერთ სართულს, რომელსაც ერქვა „ქალღმერთი“ („შემოკვლე“).

ინგლისელი არქეოლოგის ლეონარდ ულის მიერ მესოპოტამიაში გათხრების შედეგად მოპოვებული მასალებიდან ჩანს, რომ იქ ძვ.წ. XXV საუკუნის შემდეგაც ცხოვრობდნენ ბანანურ (მეგრულ-ლახურ) ენაზე მოლაპარაკე ხალხები, და ურის III დინასტიის დაცემის გამო, გლოვის ნიშნად შექმნეს ლიტერატურული ნაწარმოები „ურუსი გარა“ („ურის ტირილი“ – „ურის ვადება“) ნ. ფოფხაძე აღნიშნავს, რომ „ქორთუების, ანუ ქართველების აღმნიშვნელი ცნება „კოლიდან“ მიმდინარეობს. „კოლხი“, „კოლხა“, რომელიც ქართული ლურსმული დამწერლობით მოღწეული წერილობით წყაროებით, ჩვენი სახელმწიფოს უძველეს დედაქალაქად არის აღიარებული; ის ჩვენი ქვეყნის მეფემ ანმარემ დააარსა. ანმარე მეფის ზეობის ხანა მისივე დროის საბუთებით ცნობილია ძვ.წ. 3185-3120 წლები. მისი სურათი, სამეფო გვირგვინით და კვრთხით, გამოქვეყნებულია ინტერნეტითაც არაქართველ მეცნიერთა მიერ. მეფე ანმარე („ან-ზევა“, „მარე“-კაცი, „ზევის კაცი“) განაგებდა საქართველოს გარდა მიმდებარე ტერიტორიებს: სამხრეთით – მეგრელთა ყურემდე (ამჟამინდელი სპარსეთის ყურე), დასავლეთით – ნილოსის ხეობის ჩათვლით („წითელ“ და „შავ“ მიწებს), ვრცელ ადგილებს მეწამული ზღვიდან კასპიის ზღვამდე მოქცეული ტერიტორიებს, კავკასიის იბერიის ანუ ივერიის ნახევარკუნძულის (პორტუგალია-ესპანეთი) ტერიტორიების, ასევე ხმელთაშუა ზღვის აუზის სივრცეები – უძველესი დროიდან დასახლებული იყო ქართველებით (კოლხებით) და მათი მონათესავე ტომებით, და ცივილიზაციის აკვნად სამართლიანად არის გამოცხადებული, აქ ჩაისახა და გაიფურქნა მიწათ-

მოქმედების გამომგონებელი ერის – ქართველთა ეროვნული კულტურა (ნათელა ფოფხაძე, „ქართველთა ან ქართველთა აღმნიშვნელი ცნება კოლხი“-ის მიმდინარეობის შესახებ) ქართუ ანუ საქართველო ერთიანი, ერთობლივი უნდა იყოს, გახ. „თუთარჩელა“, 2005, 8-10 აპრილი)

„ქიმეთი“, ნილოსის ხეობის უძველესი მოსახლეობის ენაზე „შამიწიან ქვეყანას“ ნიშნავდა – გეორგიას (გეორგია). ანმარეს შემდგომი მეფე იყო მარედიხა. ამ სიტყვის პირველი ნაწილი სვანურ-ქართულით კაცს („მარე“) ნიშნავს. „ღისა“ მეგრული-ქართულით მიწას, ე. ი. მიწისაგან შექმნილი, მიწის მუშა. ჩანს, რომ ქვეყნის სახელი „ენგურ“ ანუ „სამეგრელო“, მისი დედაქალაქის – კოლხას ცნებაზე უძველესია. დედაქალაქი კოლხის სახელი მთელი ქვეყნის სახელი გახდა (კოლხეთი).

დედაქალაქი სახელი შექმნიდა ქალაქს და ქვეყანას „კოლხა“, „კოლხეთი“ ერქვა, მაგრამ დიდი ხნის შემდეგ სახელი გადაერქვა და „ნიმროდი“ უწოდეს, ანმარეც გადაიქცა ნიმროდად. ეს გააკეთეს იუდეველებმა, უძველეს დროში, თანხმობის ხმოვნების წერის დროს დაწესებული შეცდომის გამო. მაგრამ ის კი ცნობილია, რომ მეფე ანმარემ ღმერთებამდე ასამაღლებად დიდი ტაძარი ააგებინა (აგებდა) – ბაბილონის ტაძარი ანუ გოლოლი. ისიცაა აღსანიშნავი, რომ ქართველთა დიდი ტაძრის მაკეტი ქალაქ ნიუ-იორკში უდიდესი „კარნეგ“-ს საკონცერტო დარბაზის სცენაზე დადგეს 2001 წლის სახალწლო ზემიზე (1891 წლის 5 ივნისის ნიუ-იორკში გაიხსნა ცნობილი საკონცერტო დარბაზი კარნეგი პოლი, ორკესტრს პეტრე ჩაიკოვსკი დირიჟორობდა).

ათასწლეულების შემდეგაც ქ. კოლხა ქვეყნის დედაქალაქი იყო. მაგალითად, ნაბუქოდონოს მეფობის დროს (უცხოელები შეცდომით ნაბუქოდონოსორად მოიხსენიებენ), რომელსაც ტირან მეფედ მიიჩნევენ. ეს სწორი არ არის. ის თავისი ქვეყნის ერთიანობისა და მთლიანობისათვის თავდადებული მებრძოლი იყო. დაამარცხა ქვეყნის მტრები. მასზე, ხელისუფლების დაკვეთით, ჯუჯუხე ვერდემ დაწერა ოპერა „ნაბუქო“. ის ნაბუქო ხალდე, ანუ იგივე ჩვენი ქვეყნის მეფე იყო.

2009 წლის 4 და 6 იანვარს თბილისის ზაქარია ფალიაშვილის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში გაიმართა ჯუჯუხე ვერდის ოპერის „ნაბუქოს“ პრემიერა. თეატრის რეპერტუარში ეს ვერდის მეექვსე ოპერაა. „მშობლიურ“ ისტორიაზე დაფუძნებული პიესის მოხედვით ჯუჯუხე ვერდის მიერ შექმნილი „ნაბუქოს“ პრემიერა 1842 წლის 9 აპრილს შედგა მილანის „ლა სკალაში“, რომელსაც უდიდესი წარმატება ხელაწილად. ქართველი ხალხის, ასევე პრემიერაზე დამსწრეთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ შეიძლება არ იცის (ვინც იცის, ისინიც არ ამბობენ), რომ აღნიშნულ ოპერაში აღწერილია ჩვენი ქვეყნის ისტორიის ერთი მნიშვნელოვანი, წარმატებული მონაკვეთი. ჩანს თეატრის ხელმძღვანელობამ და ოპერის დამდგამლებმა შეგნებულად შეარჩიეს ვერდის „ნაბუქო“.

ძვ.წ. XIV საუკუნის შუა წლები ჩრდილოეთ საქართველოს სამეფო მითანს (ანუ მითანის მითანეთის) მეფე იყო რატი, მთავარსადალი კი მეფის ძმა არაშური. რატის ასული თათუ ქიმეთის (ეგვიპტის) მეფემ ფარაონმა ეხნატონმა (ეხნატონი) შერთო ცოლად. მითანის სამეფოს დედაქალაქი იყო ფაზისანა, რაც ენახოვანს ნიშნავს. იმავე მნიშვნელობის იყო სახელწოდება „ბაბილოვანი“ (ბაბილო – ვაზის

ღერძის რტო). ეს სახელწოდება შემდგომ გავრცელდა ქვეყნის, სამეფოს სახელწოდებაზე – ბაბილო, ბაბილონი. ახ.წ. IX საუკუნეშიც, როცა ის მტრებმა დაიპყრეს – ბაბილონი კოლხეთის ქალაქი იყო. ხოლო ახ.წ. VIII საუკუნეში დაარსებულ ქ. ბაღდადასც სწორად ბაბილონად იხსენებდნენ. ბატონიშვილი თათუ ქიმეთის (ეგვიპტის) მეფის მეუღლედ გახდომისას, ჩვეულებრივ ახალი სახელი დაარქვეს – ნეფერტიტი (რომელიც, როგორც ფიქრობენ, უცხოეთიდან ჩამობრძანებული მსოფლიოს დედაქალაქი ბაბილონს ნიშნავს). ანმარეს, ცნობილია, რომ თავზე ებურა ერთიანი ქიმეთის სახელმწიფო გვირგვინი, რომელიც ტრადიციის მიხედვით ათასწლეულების შემდეგ ებურა იქაურ მეფეებს. ეს გვირგვინი ებურა ჩვენი დიდი წინაპრის მეფე რატის ასულ თათუსაც, რომელსაც ნეფერტიტი უწოდეს და მიუვლი მსოფლიო მას ამ სახელით იცნობს.

შემდეგ გამეფდა თათუ – ნეფერტიტი, რომელსაც თანამეცადრედ ჰყავდა უფროსი ქალიშვილი ანქისეა – ათენა. 3 თუ 4 წლის შემდეგ ნეფერტიტი გარდაიცვალა. ის დაკრძალულია ქიმეთის მეფეთა და დედოფალთა პანთეონში. შემდეგ ტახტზე დასვეს 8-10 წლის თუთ-ქანქი-ათენი (ტუტანამონი, თუთანქამონი), რომელიც ქვეყნის პრემიერმინისტრის და უძაღლესი ქურუმის კოლხი აიას საშუალებით მართავდა ქვეყანას. ეს გავლენიანი ფარაონი 18 თუ 19 წლის ასაკში დაიღუპა. ამ დროიდან ნეფერტიტის ბიძა აიე ათი წელი მშვიდად მართავდა ქვეყანას.

ფარაონი აიას ძმის – მეფე რატის ქალიშვილი – თათუ ნეფერტიტის ასული (უმცროსი ქალიშვილი) მენი-ათენა, საქართველოს დედოფალი, ქადაშინ მეფის მეუღლე იყო. ცხოვრობდა ამჟამინდელ სამხრეთ ერეკლეში. „ძვ.წ. 540 წელს ქალღმერთ ბაბილონი, სირია და პალესტინა შემოიერთეს და წარმოქმნეს დიდი იმპერია“ (აკად. ბეკოლიდი - „სირია და ბაბილონი“).

კლიმენტი შელიას ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (გაგრძელება შემდეგ ნომერში)

გიორგი სიჭინავა

რინა მოკო პელაზგური ინა შხვანერ თოლით მორწყე ენა მსოფლიო ელამ გური, მიბურჯუანს გოთანაშა მა სიზმარევი პელაზგური. თუერე ინგარც პირამიდა ათაურე – კელასური, ელო ვამოთხუ გოთანაშა მა სიზმარევი პელაზგური. ინგარი დო ცხენწყარ შქას ქელებზე დო ქელებზე დო, ფსუაშ გოფანუა მოკო, რინა მოკო პელაზგური.

ქროლვა მინდა პელაზგური იგი სულ სხვა თვლით მიმხერს. სხვანორად უმხერს გული... და მბორტებს მთელი დამე მე სიზმრები პელაზგური. იქით ტირის პირამიდა, ხოლო აქეთ – კელასური, არ მეშეგება მთელი დამე მე სიზმრები პელაზგური. ცხენწყარს და ენგურს შორის მომწვედუელა ჩემი სული, მე კი ფრთების გაშლა მინდა, ქროლვა მინდა პელაზგური. გადმოაქართულა ედემ კვირტიამ

დემოკრატიის ნიღბით ზოგალიბერალიზმსა და სიკრძალოდ იარაღს!

ჩათვალა. ვაფრთხილებდი – შევარდნაძემ დსთ-ში შესვლის გადაწყვეტილება მანამ არ მიიღო, ვიდრე აფხაზეთი და ოსეთი არ დაუკარგა ქვეყანას და ვიდრე მის სავარძელს საფრთხე არ შეექმნა. ვაფრთხილებდი, რომ არ შეიძლებოდა რუსეთთან ურთიერთობის დაძაბვა.

მაგრამ მკითხველმა ძალიან კარგად იცის, რომ სააკაშვილს სხვისი აზრი არ აინტერესებს. ბრძენ კი დაინახავდა, რომ საქართველოს გეოსტრატეგია თავისთავად გამაწყვავებდა მასთან დაკავშირებულ ყველა პოლიტიკურ საკითხს. სწორედ რუსეთისა და ამერიკის ინტერესთა შეჯახების შედეგი გახლდათ სააკაშვილისა და მისი დანაშაულებრივი გარემოცვის მიერ 2008 წლის აგვისტოში პროვოცირებული ომი, რომელიც ორ დღეში დამთავრდა საპარტიკულად და სახარალოდ საქართველოსათვის – დამარცხდა დაიკარგა ტერიტორიები და საქართველოს ტერიტორიაზე აღმოცენდა ორი დამოუკიდებელი სახელმწიფო.

ახლა რაც შეეხება პრეზიდენტის რეზიდენციის თემას, რომლის თაობაზეც 2004 წელს გამოვაქვეყნე ვრცელი წერილი გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“:

“კიდევ ერთი, რა აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა... ახალი საპრეზიდენტო რეზიდენციის შექმნა? სახელმწიფო კანცელარიის არსებულ შენობაში მოთავსდება რამდენიმე დიდი ქვეყნის სამეთაურო აპარატი... ამისათვის გათვალისწინებულია 10 მილიონი ლარი, მაგრამ შემხვედრი დამატებითი სამუშაოები ხუთჯერ მეტი იქნება... სჯობდა რეზიდენცია კურორტოლოგიის ინსტიტუტის შენობაში გადმოგეტანათ. შენობაც უკეთესია, მისი სარესტავრაციო ხარჯები გაცილებით ნაკლები იქნებოდა. ამავე დროს, სალოცავებიც სულ რაღაც 200 მეტრზეა განლაგებული: სომხური ეკლესია, მეჩეთი, სინაგოგა, სიონი...”

მაშინ არ ვიცოდი, რომ კურორტოლოგიის ინსტიტუტის შენობა სააკაშვილის მამის საკუთრება გახლდათ და იგი საკუთარ ოჯახს არ დააზარალებდა. არც ის მეგონა, რომ რეზიდენციისათვის ავლაბარში მოქცეულ კვარტალში გაიშენებოდა და მისი აგება 800 მილიონზე მეტი დაჯდება. და ეს ისეთ დაქცეულ და მიწასთან გასწორებულ ქვეყანაში, როგორც საქართველო!

ქალაქ თბილისის კრწანის რაიონის მაგისტრალზე მოგასვენებთ, რომელსაც მე ძალიან კარგად ვიცი. აქ მდებარე სახლების 50 პროცენტი მკვეთრად ავარიულია, 20 პროცენტი – ამორტიზებული, ყოველდღე ინგრევა საცხოვრებელი სახლები, არის ადამიანთა მსხვერპლი. ქვეყნად ეკონომიკური კრიზისი მიმდინარეობს და ამ დროს პრეზიდენტი ლამის მილიარდი ლარის ღირებულების სრა-სასახლეს იშენებს. არა მგონია, ეს ნორმალური ადამიანის საქციელია ჰგავდეს!

თუმცა, თუ ჩვენ ყველაფერ ამას ვითმენთ, გამოდის, რომ უარესის ღირსები ვართ!

საკაშვილმა თავისი ხუთწლიანი “მოდერნიზაციის” დამტკიცება, რომ “ვარდების რევოლუციის” უკან სიონისტური ძალები – “300-თა კომიტეტი” – “პეტერსონ ბელქნაფი” და სხვა შავნელი ძალები დგანან. განა მათ არ დააჯილდოვეს სააკაშვილი “მალტის ორდენით”, რაც მის მასონებისადმი მიკუთვნებას ნიშნავს? სწორედ ამან ათქმევინა ირანის რესპუბლიკის სულიერ დიდურს ალი შამენეის შეურაცხმყოფელი სიტყვები საქართველოს მიმართ: “ირანი ვინმეს საქართველო ხომ არ ჰგონია, რომ თავის ჭკუაზე აგვათამაშოს”, რაზედაც ჩვენს ხელისუფლებას პასუხი არ გაუცია. განა შეიძლება, ამის შემდეგ საქართველოს პრეზიდენტი რაიმე ეროვნულ ღირებულებაზე ელაპარაკო?

რა თქმა უნდა, არა! გვახსოვს სააკაშვილის თავხედური ტრაბახი – ჩემი პრეზიდენტობისას აფხაზეთს და სამაჩაბლოს დავიბრუნებო. დღეს ცხადია, რომ მას ამის რეალური სურვილი არ გააჩნდა. ამიტომ, ეს და მისი სხვა ომიანი დამპყრობი ილუზიად დარჩა. თუ როგორ აღდგინა მან ტერიტორიული მთლიანობა, ეს მისი საქმიანობის

შედეგიდან ჩანს, თუნდაც იმით, რომ კონფლიქტების მოგვარებაში მონაწილეობდნენ ადამიანები, რომელთაც არავითარი კავშირი არ გააჩნდათ აფხაზეთთან და სამაჩაბლოსთან (მოლაშხია, იაკობაშვილი და სხვები). რეალური შედეგის მომხიანი ხალხი კი ახლოს არ გააკარეს საქმეს. ვერ გამოვიდა, რა ნიშნით გაამწვეს რეინტეგრაციის მინისტრად იაკობაშვილი. აუტანელია მისი ქედმაღლური დამოკიდებულება ოსი და აფხაზი ხალხისადმი. როგორ შეიძლება ოსი სახალხო დიპლომატიის წარუძღვოს, როცა აცხადებს, რომ არ იცის და, არც უნდა რომ იცოდეს, კონფლიქტის მეორე მხარეს მდგარი მხარეების ხელმძღვანელთა ვინაობა.

კოდორის ხეობას ზემო აფხაზეთი დაარქვეს, იქ მდგარ მოხალისე დამცველთა რაზმი დაშლეს და კრიმინალურად შეარაკეს და იქ სამხედრო ტექნიკა და კონტრიბუტი შეიყვანეს, სეპარატისტების გასაღიზიანებლად განმუხურში პატრიოტთა ბანაკი მოაწვეს...

საკაშვილმა ძალის გამოუყენებლობის ხელშეკრულებას ხელი არ მოაწერა, ინტერვენციაში რუსების დადანიშნულება სცადა, თავად კი განაცხადა, რომ კონფლიქტის ზონაში კონსტიტუციური წესრიგის აღდგენა ხდებოდა (იგივე განაცხადა გენერალმა ყურაშვილმა).

ომის დაწყებას ნამდვილად უძღოდა პროვოკაციები ოსი სეპარატისტებისა და რუსი სამხედროების მხრიდან, მაგრამ ამის თაობაზე საქართველოს ხელისუფლებას განცხადება არ გაუკეთებია. გაიხსენეთ: როცა ამერიკასა და ჩინეთს შორის ურთიერთობა დაიძაბა ტაივანთან დაკავშირებით, ჩინელებმა 1000-მდე ვაფრთხილება გაუგზავნეს ამერიკელებს, მაგრამ ომი არ დაუწყიათ.

საკაშვილი მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ აყვირა – რუსული ტანკები გვიტევენო. ალბათ იმიტომ, რომ პასუხისმგებლობა თავიდან აეცილებინა. ამბობდნენ იმასაც, რომ ამერიკასა და რუსეთს შორის არსებობს მოლაპარაკება ჩაურევლობის თაობაზე, რომელიც რუსეთმა დაარღვია. სინამდვილეში კი, 2008 წლის ივლისში, კონფლიქტის რაიონისა და მედვედევის მოლაპარაკების შემდეგ ამ უკანასკნელმა გააკეთა განცხადება, რომ თუ საქართველო ძალისმიერი გზით შეეცდება პრობლემების გადაჭრას, რუსეთი გვერდზე არ დარჩება.

ამ საკითხებს ვრცლად აშუქებდნენ ქართველი მეცნიერი ელიზბარ ჯაგელიძე, ჟურნალისტი არნო ხიდირბეგიშვილი და სხვები. ამ საკითხებს, 2002 წელს, დიდი ადგილი დაუთმო თავის წიგნში “რამ დაგვძლავა, რა გადაგვარჩენს...” ცნობილმა პოლიტოლოგმა ალექსანდრე ჭაჭიამ. ბატონი ალექსანდრე ტელუარს “კავკასიაში” გამოცემისას, გაზეთებში “სახალხო-დასავალი”, “ქრონიკა” და სხვა მასობრივი საინფორმაციო საშუალებებისათვის მიცემულ ინტერვიუებში ხაზგასმით მიუთითებდა, რომ კონფლიქტების ძალისმიერი მეთოდით მოგვარება ჩვენთვის დამღუპველი იქნებოდა.

ჩვენს ხელისუფლების მისწრაფებაზე, საბოლოოდ გაფორმებინა საქართველოს დაშლა, მეტყველებს ის, რომ მან არ გამოიყენა რეალური შესაძლებლობა და დემონსტრაციულად წაურთა ჭაჭიას კონსტრუქციულ წინადადებას – შეეწყობა ცეცხლი და დაეწყო მოლაპარაკება რუსეთთან. 26 აგვისტოს ჭაჭიამ კიდევ ერთხელ გაიმეორა თავისი წინადადება რუსეთის ხელისუფლებასთან პირდაპირი დიალოგის გამართვის თაობაზე, მაგრამ ამასაც არავინ მოჰქცია ყურადღება. ამის ნაცვლად საქართველოს ხელისუფლებამ რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვიტა.

თუ ვინმესთვის არის ტრაგედია აფხაზეთისა და სამაჩაბლოს საქართველოს შემადგენლობიდან გახვლა, უპირველესად იგი ალექსანდრე ჭაჭიას ტრაგედიაა, რადგან აფხაზეთი მისი ოდაბადეა, იქ არიან დასაფლავებული მისი მამა და წინაპრები და მას საფლავებთან მისვლის საშუალება არ გააჩნია. მას არც სეპარატისტები უყურებენ კარგი თვალით, რადგან არ იქონებენ საქართველოს გამოღიანების

ჭაჭიასეულ ვარიანტს. თან მოვალაგე ჟურნალისტებიც გამოვინდინე, რომლებიც ჭაჭიას “კრემლის აგენტობას” აბრალებენ (ჯერ კიდევ საკითხავია, ვინ არის კრემლის აგენტი – მიხეილ სააკაშვილი, რომელმაც სეპარატისტებს საქართველოს ოცი პროცენტი დაიურედ გადაუფორმა, თუ ალექსანდრე ჭაჭია, რომელიც წლების მანძილზე დაუღალავად იბრძვის საქართველოს გამოღიანებისათვის).

ალექსანდრე ჭაჭიას არასოდეს მიუტოვებია გასაჭირში თავისი სამშობლო, არასოდეს ცდილა მიეღო სხვა ქვეყნის მოქალაქეობა, რაც საქართველოში მის მიმართ დაწესებული შეზღუდვების გადალახვისა და საკუთარი პოლიტიკური შესაძლებლობების გამოვლენის ფართო გზას გაუხსნიდა. ჭაჭია არის ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი, პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ეროვნული სოციალური და ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, რუსეთის ფედერაციის სოციალური და ჰუმანიტარული აკადემიის აკადემიკოსი, ნიუ-იორკის აკადემიის წევრი, მრავალი სამეცნიერო წიგნისა და სტატიის ავტორი. და საქართველოს ხელისუფლება ყოველი დაუშვებელი მეთოდით ცდილობს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებას ჩამოაშოროს ასეთი განათლებული ადამიანი. მაშინ, როცა ბედკრული საქართველო ისეთი მარტივად მოაზროვნე ადამიანების ხელში იმყოფება, როგორებიც არიან ვილაურები, ხაჩიძეები, ცისკარიშვილები, კირკიტაძეები, არველაძეები, ხერხეულიძეები, წიკლაურები, სხვანი და სხვანი...

ალექსანდრე ჭაჭია ტრადიციულ ქართულ ოჯახში აღიზარდა. მისი ბაბუა – ესტატე სამურზაყანოში ქართულად წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ერთ-ერთი დამაარსებელი და ქველმოქმედი იყო, რომელიც უცხოეთში მოსწავლენიტივი ქართველ ბავშვებს პირადი სახსრებიდან უნიშნავდა სტიპენდიებს. იონა მეუნარგია მას “სამეგრელოს ბერძენს” უწოდებდა. მიუხედავად მის წინააღმდეგ აგორებული წილისშემამებლური ბინძური კამპანიისა, ალექსანდრე ჭაჭია მაინც შედგარად უძღვებდა სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს”, აკეთებს უამრავ სასიკეთო საქმეს მისი მშობლიური კუთხისა და საქართველოსთან დახლოების დაახლოებისათვის (ყველაფერს რომ თავი გაგანებოთ, მხოლოდ მის მიერ ზუგდიდში დადგმული ზვიად გამსახურდიას ძეგლი გადასწორინდა ყველაფერს). თუ კრემლის აგენტები ამდენ სასიკეთო საქმეს სწადიან საქართველოსათვის, მაშინ, ვერ გამოვიდა, რა პრეტენზია შეიძლება გვექონდეს რუსებისადმი.

საქართველოში დღეს მიმდინარე დამანგრეველი პროცესების უგულვებლყოფა ქვეყნის დაღატაკის ტოლფასია. ჩვენი დიდი უბედურება მაშინ დაიწყო, როცა პრეზიდენტმა ბუშმა “წითელი ხაზი” გაუწყო რუსებს კავკასიონზე. ახლა ამერიკელი ბრაიზები და რაიები კი ცდილობენ თავის მართლებას, მაგრამ უკვე გვიანია. საკომპენსაციოდ ამერიკამ უზარმაზარი თანხები გამოჰყო, მაგრამ იგი ხალხამდე არ მისულა – ხელისუფლებამ ჩაიჭირა. ჩვენ კი გაბრაზებულ რუსეთს შეგვატოვა პირისპირ.

ოპოზიციურმა პარტიებმაც უნდა შეიგონონ – პრეზიდენტის გადადგომა აუცილებელია, მაგრამ მისი განხორციელება თქვენზეა დამოკიდებული. როცა ხედავთ, რომ საპროტესტო გამოსვლებით მიზანს ვერ აღწევთ, მაშინ სხვა მშვიდობიანი გზა უნდა მოძებნოთ სააკაშვილის ხელისუფლებიდან ჩამოსაშორებლად. საამისოდ კი აუცილებელია ოპოზიციური ძალების გაერთიანება და არა დაქსაქსვა, როგორც ეს დღესაც, რაც ხელისუფლების წისქვილზე ასხამს წყალს.

საკაშვილი და მისი გარემოცვა განსაკუთრებით გააქტიურდა ბაიდენის ჩამოსვლის შემდეგ. ხალხს კი საპროტესტო მუხტი მოემატა, რადგან იცინა, რომ ბაიდენის ხმადალი დაპარაკი მხოლოდ პოლიტიკური ყვევა გახლდათ და სხვა არაფერი. სწორედ ამ დროს არის აუცილებელი ოპოზიციის გაერთიანება, და არა დაშლა-დანაწევრება და სახელმწიფოებრივი მრწამსის პირად ამბიციებზე გადახურდავება. საზოგადოებისათვის დღემდე უცნობია ცალკეული ოპოზიციური პარტიების პოლიტიკური პროგრამებისა და სამოქმედო

კონცეფციის შინაარსი (თუ კი მათ სავრთოდ გააჩნიათ ამგვარი რამ). ლამის ყველა პოლიტიკური ძალის ძირითადი დევიზია პრეზიდენტ სააკაშვილის გადადგომა, მაგრამ არავინ ამბობს თუ რა მოხდება შემდეგ, სახელმწიფო მოწყობის რომელ მოდელს აირჩევენ და სავარჯიშო თუ შიდა პოლიტიკურ სფეროში წინსვლის რომელ კურსს აიღებენ საქართველო...

მხოლოდ იმის მტკიცება, რომ შევარდნადიდის რეჟიმი ამერიკელთა დაკვეთით ჩანაცვლა სააკაშვილის რეჟიმმა და საქართველოსათვის სასიკეთო არაფერი კეთდება, მსოფლიოს ვერ შეუქმნის რეალურ წარმოდგენას სააკაშვილის ორაპრობას და პოლიტიკურ თუ სულიერ არამდგრადობაზე. ოპოზიციური ძალების ანალიზი კი შორს ვერ მიდის...

უნდა ვისაუბროთ იმაზე, რომ ქვეყნის საგარეო ვალი ისე ასცდა 8 მილიარდ დოლარს, რომ მხოლოდ მიზერული რაოდენობის სამუშაო ადგილები შეიქმნა, დასაღვინა სად მიდის ასეულ მილიონობით დოლარი, რომელიც ლონდონის ბირჟიდან ფასიანი ქაღალდების გაყიდვით შემოვიდა, ან რომელიც ამერიკელებმა გამოგვიგზავნეს, რომ კაბალურ ვალებს პროცენტები ერცხება, რაც საყოველთაო გადატაკებას გვიქცადის ქართველებს და სხვა...

ქვეყნის მოსახლეობის 70 პროცენტი სიღარიბის ზღვარს დაბლა იმყოფება, ქალაქი ქალაქს აღარ ჰგავს, სოფელი – სოფელს. ხალხი სტოვებს ქვეყანას, 85-ლარიანი პენსია უკვე ცინიზმის სახეს იძენს, სოფელში გლეხი აღარ დარჩა, რომ მოსავალი მოიყვანოს, ბიუჯეტის შესრულება მხოლოდ ფისკალურ პოლიტიკაზე დაფუძნებული, კატასტროფულად იკლებს ქვეყნის მოსახლეობა, იზრდება თვითმკვლევლობა რიცხვი, მარტოხელა დღეებსა და უმწყო ქალბატონებს სხვა გზა არ რჩებათ, გარდა იმისა, რომ პროსტიტუციით ირჩინონ თავი, მთელ მსოფლიოში ნავთობის ფასი იკლებს, მაგრამ საქართველოში საწვავი მაინც ძვირდება, რადგან ამ დარგს პრეზიდენტის ძმა დავით სააკაშვილი და მისი უახლოესი გარემოცვა აკონტროლებენ...

აი, რა ინფორმაციის გატანაა საჭირო ხალხში!

ერის ტრაგედია გახლავთ ის, რომ გაქრა ზნობრივი ორიენტირი, იგნორირებული მასმედია, დემოკრატია ჩანასახშივეა მოგუდული, ქვეყანაში საქმილიკოდა ქცეული კლასიკური პოეზია და პრეზიდენტი პროპაგანდას უწევს ვიდაც კაკალაშვილის ლექსებს, განათლების საფუძვლები შერყეულია, მეცნიერება დაწინაურდა-შეურაცხყოფილი, ქართული წიგნი – მკვდარი, ხალხი ინფორმაციულ ვაკუუმშია მოქცეული.

ერთი საგაზეთო წერილი ნამდვილად არ ეყოფა იმ უბედურების ჩამოთვლას, რაც საქართველოს და ქართველ ხალხს სატანისადმი სულმიყიდული ხელისუფლების “მოდერნიზაცია” შედეგად დაგატყდა ხალხს. ამიტომ, კიდევ ერთხელ მინდა დავიძახო სიბერემორტუელი ადამიანის ხმით:

“იჩქარეთ, ხალხნო, ვიდრე კიდევ დრო და შანსი გაგვანია – საქართველოა გადასარჩენი”!

გიორგი (გონი) ცაბავა
საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა აკადემიის ნამდვილი წევრი – აკადემიკოსი
რედაქციის კომენტარი:

რაც შეეხება საქართველოში საწვავზე გაზრდილ ფასებს, ხალხში იმასაც კი ამბობენ, რომ აპრილ-მაისში მოწყობილი საპროტესტო გამოსვლების ჩასახშობად ხელისუფლებას ძალზე ძვირი დაუჯდა ოპოზიციის მოსყიდვა და ახლა ამ გზით ცდილობენ დანახარჯის ანაზღაურებას. მითხარით: ესენი ოდნავ მაინც თუ განსხვავდებიან კომუნისტურ-კომკავშირული მენტალიტეტისაგან – “ხალხის დედაც... ოღონდ ჩვენ ვიყოთ კარგად” ნეტა ასე არ იყოს, მაგრამ თუ ეს ასეა, მაშინ მართლა დაეღუპულვართ ამგვარი პოზიცია-ოპოზიციის ხელში. ამიტომ, სულაც არ არის საკვირველი, თუ რატომ ამბობენ უარს საქართველოში მიმდინარე პოლიტურ პროცესებზე ჩართვაზე ალექსანდრე ჭაჭია და მისნაირი მოუსყიდავი და ხელსუფთა პოლიტიკოსები...

გაზეთი "ილორი" შექმნა რეპრიკას "მსოფლიოს საშპეტისო ფეხბურთელები" გაზეთი "ილორი" შექმნა რეპრიკას "მსოფლიოს საშპეტისო ფეხბურთელები"

იოჰან კრუიფი მფრინავი ჰოლანდიელი

კარგი ფეხბურთელი მატჩის დროს მხოლოდ 5-7 წუთის განმავლობაში ფლობს ბურთს, ხოლო იმის მიხედვით, თუ რას აკეთებს დანარჩენი 83-85 წუთის განმავლობაში, შეიძლება მისი ჭეშმარიტი ოსტატობის დადგენა... იოჰან კრუიფი კი ამ მხრივ ნამდვილად შეუდარებელი იყო.

ის, რასაც მოედანზე იოჰან კრუიფი აკეთებდა, ყოველთვის არ იყო გასაკვირი მაყურებლისათვის, უფრო სწორად – გასაკვირი არ იყო ფეხბურთის სპეციალისტებისათვისაც კი და მიუხედავად ათწლეული დასჭირდა იმას, რომ საფეხბურთო სამყაროს გაეახერხებინა კრუიფის ფენომენი, რათა აუცილებელ მოთხოვნად ექცია ექსტრა-კლასის მოთამაშეების იმიჯის შექმნაში.

იოჰან კრუიფი ეგრეთწოდებული "ტოტალური ფეხბურთის" ყველაზე მასშტაბური და, გნებავთ, ტიპური წარმომადგენელი გახლდათ, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მისი თამაშის სტილი რაიმე ჩარჩოებში იყო გამოკეტილი. "ყველაფერს მაინც ნიჭიერება წყვეტს, რაც უთუოდ უნდა ესაზღვრებოდეს თანამედროვეობას, მაგრამ ნიჭი მხოლოდ მარადიულობის კუთვნილებაა".

ეს სიტყვები ცნობილ ქართველ ჟურნალისტს, სპორტულ მიმოხილველს ბატონ ალექსანდრე ელერდაშვილს ეკუთვნის, რაც შეხანიშნავად ახასიათებს ამ მართლაც დიდ ფეხბურთელს.

იოჰან კრუიფი დაიბადა 1947 წლის 25 აპრილს ამსტერდამის გარეუბანში მდებარე პატარა ებრაულ დასახლება ვიდენ-სტრაატში. მის მშობლებს მოკრძალებული ბიზნესი ჰქონდათ – პატარა საკონდიტრო მაღაზიას ფლობდნენ.

პატარა იოჰანი სწავლას დიდ ყურადღებას არ უთმობდა და დიდი ხანი სადამოძღვე დასდევდა ბურთს გარეუბნის ქუჩებში. 1959 წელს, როცა მამა გულის შეტევით გარდაიცვალა, დედამისმა კონომიკური გაჭირვების გამო მაღაზია გაყიდა და საფეხბურთო კლუბ "აიაქსში" მრეცხავად დაიწყო მუშაობა. ამ დროს სტადიონის ხელმძღვანელობა ბალახის მოშლელს ეძებდა და ამ ვაკანსიაზე დედის თხოვნით იოჰან კრუიფი მიიღეს. მისთვის მთავარი იყო საფეხბურთო მოედანთან ახლოს ყოფნა და ამიტომაც გახდა ბალახის მოშლელი. ფეხბურთის თამაშსაც, რა თქმა უნდა, ძველებური მონდობით განაგრძობდა. მართალია ძალზე გამხდარი იყო, მაგრამ ფიზიკურად მასზე ბევრად ძლიერ ფეხბურთელებს იოლად უმკლავდებოდნენ.

სკოლის მასწავლებლების მუდმივი უკმაყოფილებით გაბუზრებული მან 10 წლის ბავშვი "აიაქსის" ერთ-ერთ რიგით მწვრთნელს, ინგლისელ ვიკ ბაკინგემს მიუყვანა გასასინჯად, რომელსაც გამხდარი ბავშვი არ მოეწონებოდა.

წონა, მაგრამ დედის ხათრი არ გაუტეხა და მოედანზე შეუშვა. მოხდა სასწაული – იოჰანი 300 ფეხბურთელ ბავშვს შორის საუკეთესოდ სცნეს და საფეხბურთო სკოლაში უყოყმანოდ ჩარიცხეს.

16 წლია ასაკში იოჰან კრუიფი უკვე პოლანდიის უძლიერესი კლუბის "აიაქსის" ძირითად შემადგენლობაში მოხვდა პირველად 1964 წლის 15 ნოემბერს "გროინგენში" წინააღმდეგ გამართულ მატჩში გამოჩნდა მე-14 ნომრით.

ასე დაიწყო ლეგენდა, რამაც საბოლოოდ იოჰან კრუიფს XX საუკუნის ევროპის საუკეთესო ფეხბურთელის ტიტული მოუპოვა.

1966-68 წლებში "აიაქსი" სამჯერ ზედიზედ გახდა პოლანდიის ჩემპიონი. შემდეგ სეზონში კი ევროპის ჩემპიონთა თასის ფინალამდეც მიადგინა, მაგრამ "მილანთან" 4:1 დამთმობა იოჰან კრუიფი კი უკვე მთელი საფეხბურთო ევროპის თვალთახედვის არეში მოექცა და მასზე ბევრმა მდიდარმა კლუბმა დაიწყო ნადირობა. 1966 წელს იოჰან კრუიფმა პირველი მატჩი ჩაატარა პოლანდიის ნაკრების შემადგენლობაში (უნგრელებთან მატჩი დამთავრდა ანგარიშით 2:2).

1971 წელს "აიაქსმა" მეორედ მიადგინა ევროპის ჩემპიონთა თასის ფინალს და დაამარცხა საბერძნეთის "პანათინაიკოსი" ანგარიშით 2:0, რაც იოჰან კრუიფის კიდევ ერთ დიდ აღიარებად იქცა. ასევე მოიპოვა ევროპის ჩემპიონთა თასი "აიაქსმა" 1972 და 1973 წლებში, კრუიფს კი მეორედ გადასცეს "ოქროს ბურთი".

1973 წლის 22 აგვისტოს კრუიფი "ბარსელონაში" გადავიდა, რომელიც იმ დროს გაჭირვებას განიცდიდა. პირველივე მატჩში ბარსამ "გრანადა" დაამარცხა ანგარიშით 4:0, სადაც კრუიფმა ორი გოლი გაიტანა. სწორედ იოჰან კრუიფის დამსახურება გახლდათ ის ამბავი, რომ იმავე სეზონში "ბარსელონა" ესპანეთის ჩემპიონი გახდა, თანაც სასწაული მოახდინა და მისი მუდმივი "მწაგვრელი" გუნდი მადრიდის "რეალი" ანგარიშით 5:1 დაამარცხა.

1974 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე პოლანდიამ უძლიერესი გუნდი გამოიყვანა. ფინალამდე პოლანდიელები ყოველგვარი პრობლემის გარეშე მივიდნენ, სადაც ისინი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებს უნდა დაპირისპირებოდნენ.

გამარჯვებას პოლანდიელებს უწინასწარმეტყველებდნენ. გერმანელებმა ნაკრების კაპიტან კრუიფს უხეშად მოთამაშე ფოგსი და უპირისპირეს, მაგრამ იგი მაინც ვერ შეაჩერეს, და როცა კრუიფი გაჭირვებაში ჩავარდნილმა პიონესმა მოცვლა საჯარიმო მოედანზე, მან თავად გაიტანა პენალტი და პოლანდიელები დაწინაურდნენ. მაგრამ გერმანელებმა მაინც მოახერხეს ამ მატჩის მოგება და მსოფლიო ჩემპიონები გახდნენ.


1978 წელს კრუიფმა დასტოვა პოლანდიის ნაკრებიცა და "ბარსელონაც" და სათამაშოდ აშშ-ს გუნდ "ლოს-ანჯელეს ატლეტიკში" გადავიდა, შემდეგ კი "ვაშინგტონ დიპლომატსში" გადაინაცვლა.

1981 წელს იოჰან კრუიფი ევრო-

პაში დაბრუნდა და საფეხბურთო კარიერა ნაკლებად ცნობილ ესპანეთის "ლევანტეში" გააგრძელა. შემდეგ იგი ჯერ პოლანდიის "აიაქსში" გადავიდა, შემდეგ კი "ფეინორდში". 1984 წელს ტექნიკურ დირექტორად დაუბრუნდა "აიაქსს". 1987 წელს მან "აიაქსს" ევროპის თასების მფლობელთა თასი მოაპოვებინა და შემდეგ მწვრთნელად გადავიდა "ბარსელონაში". სწორედ მისი დამსახურება გახლდათ, რომ 1992 წელს "ბარსაში" ჩემპიონთა თასი მოიპოვა, როცა "უემბლიზე" დაამარცხა "სამპდორია" ანგარიშით 1:0.

1996 წელს დატოვა "ბარსელონას" მწვრთნელის პოსტი, მაგრამ ამ გუნდთან ყოფნის 7 წლის განმავლობაში ზედიზედ გახდა ეს გუნდი ესპანეთის ჩემპიონი.

გიორგი ჯალაღანია



ილორი

სკოლის მოსწავლე მიხო მასწავლებელს ეუბნება:
– იცოდე, თავი გამანებე, თორემ...
– თორემ რას იზამ? – დამცინავად ეკითხება მასწავლებელი.
– რას ვიზამ და ხვალ ჩემს მშობლებს მოვიყვან...

ბავშვობა ის დროა, როცა, როცა ყველა უსიამოვნება მშობლების ბრალია.
ასაკოვანი კი მაშინ ხდებით, როცა ყველაფერში ახალგაზრდები არიან დამნაშავენი.

დაქალი დაქალს ურეკავს:
– აუუ, რა უნდა გითხრა, დათოს ცოლმა თავისი ყველა დალატის შესახებ მომიყვა.
– ალბათ ჩაიწერე...
– რა თქმა უნდა! აბა იმდენს რა დაიმახსოვრებდა!

რუსი ფიქრობს:
"ნამდვილი მეგობარი ის არის, რომელსაც შეუძლია შენი ფიქრების წაკითხვა მაშინაც კი, როცა შენ ჯერ კიდევ არაფერი გაგიაზრებია, მას კი უკვე ხელში უჭირავს არყის ბოთლი და მაცივრიდან მუხავე კიტრი გამოაქვს..."

სიჭმრების ასსნა დანიულ წინასწარმეტყველის მიერ

ვაგრძელებთ ნაწევრების ბეჭდვას "ეგრემ ვერდის" წიგნის იმ მონაკვეთიდან, სადაც შეკრებილია სიჭმრების ასსნა დანიელ წინასწარმეტყველის მიერ.

- კურდღელი – მშინობისა ან სხვა ცუდი ნიშანია;
- კლიტე – კარგია და რაიმე საქონელი შეიმატო;
- კვერციხი – საზიანო საქმე დაგემართოს;
- კამეჩი ნახო მორვეში – ახალ ამბავს გაგებ;
- კოცნა ვინმესი – კარგია და რაიმე დოვლათი შეიმატო;

- კოცნა მეკდრისა – ძალიან ცუდი და საშში ნიშანია;
- კოცის ნახვა – კარგია, ცარიელი კი ცუდია;
- ღამაზი სახის ნახვა – ძალიან კარგია;
- ღელვის ჭამა – ძალიან ცუდია;
- ღიმონის ჭამა – სნეულების ნიშანია;
- ღეკვით თამაშობა – ბედნიერების ნიშანია;
- ღოცვა ან საყდარში შესვლა – ბედნიერებას მოგიტანს.

ეს ფოტოსურათი, რომელიც გაზეთ "კვირის პალიტრას" ქალბატონმა ნათელა ხორავამ გადასცა და შემდეგ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა, ბატონმა მერაბ კალანდაძემ გამოიკვლია, ჭეშმარიტად ისტორიული ღირებულების მქონეა, რადგან მასზე ასახული არიან ნაპოლეონის იმპერიის მეგრელი ჯარისკაცები, რომლებიც სამეგრელოდან მოხვდნენ საფრანგეთში. ყველაფერი დაიწყო იმით, რომ ეგვიპტის ალექსანდრიის ნაპოლეონი მოიხიბლა ქართველი მამულელების სიმამაცით და მათი გარკვეული ნაწილი მიიმხრო. მამულეუქთა ეს გადაწყვეტილება იმანაც განაპირობა, რომ ეგვიპტის სულთნები გასაულებლად იყვნენ მისეული ქართველ მამულეუქებს. მათ შორის განსაკუთრებული მოწიფებით ახსენებენ ქართველ რუსტამს (რაზმაძეს), რომელიც ეგვიპტიდან გააყვა ნაპოლეონს და ერთხელ იმპერატორი შეთქმულთაგან სიკვდილსაც კი გადაარჩინა (იგი პარიზშია დაკრძალული). ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ რუსეთის იმპერიაში ეს ფოტოსურათი ღია საფოსტო ბარათად გამოიცა წარწერით "მეგრელები ბოროდინოს ომში". როგორც სწავს, მაშინ რუსეთშიც სხვა კატეგორიებით აზროვნებდნენ და ერთმანეთში არ ურევდნენ ორ მცნებას "მტრები" და "მოწინააღმდეგეები". ამიტომაც მიაგეს პატივი ბოროდინოს ომში ორივე მხარეს მემობარ ქართველთა სიმამაცესა და ვაჟაკობას. მართლაც სხვა დრო იყო, სხვა სიღამაზე...



რ. შალამბერიძე

გაზეთში გამოქვეყნებული პუბლიკაციის ავტორებს უკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე

რედაქციის მისამართი: თბილისი, მესამე ნადიკვარის №11 სარეგ. №01018002930

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
მთ. რედაქტორის მოადგილე: ღვინტი ქობალაძე
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოლოყიშვილი

anaklia@web.de
e-mail: elisabetthal@yahoo.de
ჩაქალაქის განთავსება
899-57-33-22
72-37-35
38-41-97